

659 /
1972/2



ଅନେକାରଣ୍ୟ

ଫିଲ୍ମଟ୍ୱୀ

୧. ଆଶେଷପା — ସାହିତ୍ୟ ବ୍ୟାକପରିଚ୍ୟା	
ଲେଖକ —	3
୨. ଏବାଗାତାପା — ଲେଖକଙ୍କାଙ୍କ
୩. ସାହିତ୍ୟରେ ଉତ୍ସବାତିକ, କବିରା, ମନୋରାଧାରା ଓ ସାମଜିକାତିକ ମନୋରାଧାରା	7
୪. କ୍ଷେତ୍ରବିଜ୍ଞାନରେ — ଲେଖକଙ୍କାଙ୍କ
୫. କ୍ଷେତ୍ରବିଜ୍ଞାନରେ — ଲେଖକଙ୍କାଙ୍କ	34
୬. କବିତାରେ — ଲେଖକଙ୍କାଙ୍କ
୭. ମନୋରାଧାରା — କବିତାରେ	38
୮. ମନୋରାଧାରା — କବିତାରେ
୯. ମନୋରାଧାରା — କବିତାରେ	45
୧୦. ଆଶେଷପା — କବିତାରେ
ମନୋରାଧାରା	46
୧୧. ମନୋରାଧାରା — ଲେଖକଙ୍କାଙ୍କ
୧୨. ମନୋରାଧାରା — କବିତାରେ	51
୧୩. ମନୋରାଧାରା — କବିତାରେ
ମନୋରାଧାରା ମୋହାରୀ	53

ବ୍ୟାକପରିଚ୍ୟା ବିବରଣୀ

୧. ବିଜ୍ଞାନବିଜ୍ଞାନରେ — ଲେଖକଙ୍କାଙ୍କ
	55

ବ୍ୟାକପରିଚ୍ୟା

୧. କାମକାଳୀଜ୍ଞାନରେ — କାମକାଳୀଜ୍ଞାନରେ ବିଜ୍ଞାନବିଜ୍ଞାନରେ ଉତ୍ସବାତିକାରୀ ସାହିତ୍ୟରେ କାମକାଳୀଜ୍ଞାନରେ ବିଜ୍ଞାନରେ „କାମକାଳୀଜ୍ଞାନରେ“	57
୨. ଶାଶ୍ଵତାଜ୍ଞାନରେ — ଶାଶ୍ଵତାଜ୍ଞାନରେ ବିଜ୍ଞାନବିଜ୍ଞାନରେ ଉତ୍ସବାତିକାରୀ କାମକାଳୀଜ୍ଞାନରେ	62
୩. ପ୍ରକାଶକାଳୀଜ୍ଞାନରେ — ପ୍ରକାଶକାଳୀଜ୍ଞାନରେ ବିଜ୍ଞାନବିଜ୍ଞାନରେ ସାହିତ୍ୟରେ କାମକାଳୀଜ୍ଞାନରେ	73

ଲୋକିରାତିରୁଲୁ—କ୍ଷେତ୍ରବିଜ୍ଞାନରେ ଓ
ସାହିତ୍ୟରେ ବିଜ୍ଞାନରେ କାମକାଳୀଜ୍ଞାନରେ
ପ୍ରକାଶକାଳୀଜ୍ଞାନରେ

ବ୍ୟାକପରିଚ୍ୟାରେ ବ୍ୟାକପରିଚ୍ୟା
ବ୍ୟାକପରିଚ୍ୟାରେ ବ୍ୟାକପରିଚ୍ୟା
ବ୍ୟାକପରିଚ୍ୟାରେ ବ୍ୟାକପରିଚ୍ୟା

წ 0 8 6 0 6 თ ა რ ო

ა. თოდაპა — შრომითი რე-
ზერვების ერთიანი სახელმწი-
ოო სისტემის შექმნის ის-
ტორიიდან

ბ. თავარითაღილაპა — გაფრთხე-
და მშერობელთა მატერია-
ლური კოთილდღეობის ზრდა
აპარაში

79

35

ა. სურველაპა — საურადღებო
ნაშროვი 91

ბ. გეგელაპა — გეჩაითა შრო-
მის ფინანსურობის საპირობები 94

რედაქტორი ა. შონია

სარედაქტოო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (3. მგ.
მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.
ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.6.1972 წ., საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.
შეკვეთის № 2494, ემ 01453. ქალალდის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავრპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 22).

აჭარის შურნალ-გაზეთების გამომცემლობა

ღვაწლ ანანიძე

ს პ ძ მ ო ს ი მ დ ე რ ა

რა ძალუმად ისმის
 ბაღში ხეთა სუნთქვა,
 ეს მხურვალე სითბო
 სურდა მიწას ეგრძნო,
 რომ მშვიდობით ზეცა
 იყოს ასე სუფთა,
 ყველას გულით მინდა
 ჩავეხვიო, ვეძმო.

გზა ვერ გაიკვალოს
 ჩემ გულისკენ სევდამ.
 საქარიშხლო ნისლი
 ტაზე არსად ჩანდეს,

ზღვის ბილიკი ლურჯი
 დამილოცოს დედამ,
 და რუს მეცევზესთან
 ზღვაში ვშლიდე ბადე!

ნაცალული კლდეზე
 მზემ აქცია ელგაღ,
 სანდევარდოდ ქედანს
 უბმობს მოლალური,
 მოყვრისა და მოძმის
 ყველგან შესაძენად,
 ბადაგი ვარ ქვევრის
 რთველზე დანაწური.

მზის სადღეგრძელო

მესროლე ლექსი თუნდაც უაზროდ,
 რომ გავკრა ამ სულს, ვით პვეს აბედი-
 გახლეჩილია ღამე შუაზე, —
 მარცხი უზნეო და უცაბედი.

როგორც საწნახელს წვენი საღვინე,
 შემომწოლია ფიქრი მბურღავი,
 გადავიხრისე ყბები აღვირზე,
 ვეძებე სიტყვა, სიტყვა უხმარი.

მსურდა ბალლივით გაღვიძებისას
 არტახებიდან ღამესნა მკლავი,
 რომ მეთქვა რამე დაღლილ ვნებისა
 და მომეწვართა ოცნების ქალი.

თუ დრომ სამოყვრო წარბი შეჰყარა,,
 რას გვიზამს მარცხი, თვალშეშარავი.
 მზით ავსებულა ჩემი ქვეყანა,
 ჩემი უკვდავი ოქროს კარავი.

თუნდაც უაზროდ, თუნდაც უაზროდ,
 ლექსი, რომ გავკრა სულს ვით აბედი,
 თენდება ჰეი, უნდა მოვასწრო
 მზის სადღეგრძელო და ალავერდი!

ხოშგელდი, ძმაო, ამ ნაძვის ძირას
 ჰე ერთხელ შველმა დამბადა თურმე,
 ჩემი აკვანი აქ მდგარა წინათ
 და ტყე ყოფილა ჩემი მეურვე.
 ისე მოვწოვე ძუძუ ირმების,
 ისე ავიგსე ძარლვი თბილი რძით, —
 რომ მხოლოდ ნიჭი დამყვა სიმღერის
 და დევთა ხმების დავდექ პირისპირ.
 გაგიმხელ ბარემ,
 თურმე ამ ნაძვაა
 ერთხელ კვარივით ჩამომათალეს.
 ყაყაჩოს ცეცხლი დამწვავს, თუ დამწვავს,
 თორემ, სიმღერას რა მოათავებს.
 ჯიხვებს მოვტაცე გულდაჯერება
 და გამოვშრიტე ირმებს ჯიქნები,
 რომ დამბადებელს უნდა შევება
 და სიკვდილამდე ვერ დავმშვიდდები.
 ხოშგელდი, ძმაო, სხვა თუ არა მწამს,
 ეს ღრე მდინარე ასე მატარებს.
 მე სიყვარული დამწვავს, დამლანძავს,
 მაგრამ სიმღერას რა მოათავებს.

სვეტიცხოველი

ზარებს ჰქითხეთ, ყელგაბზარულთ, ქარის ფრთით რომ
 ნანაობენ,
 და ემბაზებს, სადაც მორცხვად ჩვილთა ჩრდილნი ბანაობენ.
 მტკვარსაც ჰქითხეთ, მტკვარსაც ჰქითხეთ, მტკვარი ჩვენი
 მირონია.
 სამოსხოდან შოთას ლოცვა მტკვარმა ჩამოგვირონია...
 მაგრამ, ღროთა ურწმუნოთა ბანს რაც აძლევს, ვიცი, ვიცი,
 რომ ტაძრევანს ივერიის სულ სხვაგვარი სწამს მერმისი.
 რომ არრა აქვს ავსასმენი და არრა სჭირს საცრემლისი.

რომ სიბრძნე და სიღრადე სულში უდუღს ქართველს მისი...
 ეს ტაძარი მოხვეწილი, ანგელოზთა არის ბუდე,
 დაუკარი, თუ გსურს ცაში არწივთ გუნდი აგუგუნდეს.
 დაუკარით ერთხელ კიდევ, ლადოს ხმაზე დაუკარით,
 რომ აგვიხდეს ასახდენი, ოცნებანი სანუკვარი.
 ეს ხატები ნაცნობ ხმაზე თვალებს ცრემლით გალუმპავენ,
 და ხატებიც რწმენას ჩვენსას თავს მიწამდე დაუკრავენ,
 და იტყვიან, რომ ცხოვრება ტკბილზე ტკბილი ზღაპარია,
 რომ მე ვკვდები და თვალებზე უკვდავება მაფარია,
 რომ ხატები ამოძრავდნენ,
 ოხრავენ და ცრემლს ითხოვენ,
 გული, გული ამომგლიჭეთ
 და დაჰკიდეთ სვეტიცხოველს.

აღესანდრე სამსონი

შაბათი, პარე, ორშაბათი და სამშაბათი

სათაურის განმარტება ანუ შესავალი

შაბათი, კვირა, ორშაბათი და სამშაბათი — აი სულ ის ოთხი დღე, რომელთა განმავლობაში პატივცემული მკითხველები ჩვენი მოთხრობის გმირების თავგადასავალს გაეცნობიან.

დაინტერესებული პირების საყურადღებოდ ავტორი აცხადებს, რომ სიტყვა „გმირებში“ მხოლოდ და მხოლოდ „პერსონაჟები“ იგულისხმება, და ამ „პერსონაჟებს“ არავითარი საქმენი საგმირონი არ ჩაუდენიათ. ისინი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ ერთ ჩვეულებრივ პატარა ქალაქ კვერეთში.

რომ არ დაგვავიწყდეს, გეტყვით, რომ პატარა ქალაქი კვერეთი დიდი ზღვის ნაპირასაა გაშენებული.

რადგან საქართველოს ერთი ზღვა აკრავს, შეიძლებოდა „დიდის“ მაგივრად სიტყვა „შავი“ გვეხმარა და არავითარი საიდუმლოება არ გაგვეცა, მაგრამ რაყი თავიდან „დიდი“ ვთქვით, დიდადვე დავტოვოთ. სახელს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია ზღვა გვქონდეს!

რაც შეეხება სიტყვა „კვერეთს“, მის ნაცვლად ასევე შეიძლებოდა გვეთქვა ქალაქი... მაგრამ მოლით, ისევ კვერეთი იყოს, ამით არც ქალაქს მოუვა ზიანი და არც მოქალაქები გაგვიბრაზდებიან.

მაშ ასე, მოქმედება ხდება ზღვისპირა ქალაქ კვერეთში. როცა ჩვენ მოთხრობას ვიწყებთ, ამ ქალაქს ათი რესტორანის გარდა ათი ათასიანი სტადიონი აქვს და მისი გუნდი მეორე ლიგის პირველ ზონაში თამაშობს.

რესტორანებისა და სტადიონის გარდა, ქალაქში ბევრი სხვა დაწესებულებაც არსებობს, მათ შორის საპროექტოც.

ი სწორედ ამ საპროექტოში მუშაობს ერთი ჩვეულებრივი კაცი, რომელსაც ავტორმა ვაჩე ვაჩეიშვილი დაარქვა.

როგორც უველა დაწესებულებას, საპროექტოსაც თავისი უფროსი ჰყავს. ჩვენი საპროექტოსა და, მაშასადამე, ვაჩე ვაჩეიშვილის უფროსია ლევარის ყარამანოვიჩი, რომელსაც ხელქვეითები მარტო ყარამანოვიჩად იცნობენ და ჩვენც ასე დავუძახოთ.

ვაჩესა და ყარამანოვიჩის გარდა საპროექტოში მუშაობენ გრიშა, სერაპიონი, თამაზი და მათი კოლეგები, რომლებსაც შეძლებისდაგვარად თავის დროზე გავიცნობთ.

რომ არ დაგვავიწყდეს, დაწესებულებაში ორი ქალია — თალიკო და ვალიდა. ერთი მათგანი ახალგაზრდაა და ვაჩეს მოსწონს, ხოლო მეორეს, რომელიც არც თუ ისე ახალგაზრდაა, ვაჩე მოსწონს. ქალების გადამკიდე კაცი თუ რა დღეში ჩავარდება, მარტო ტარიელის მაგალითიც კმარა, ჩვენი ვაჩე ვაჩეიშვილი კი დიდი ტარიელი არ გახლავთ. უკვე გითხარით, ვაჩე ერთი ჩვეულებრივი კაცია, იგი მოწოდებულია ღიღი საქმეები აკეთოს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მხოლოდ საპროექტოში მუშაობს.

თქვენ არ იფიქროთ, რომ ამ საპროექტოში ზებგერით თვითმფრინავებსა და წყალქვეშა ნავებს პროექტებინენ. ამ დაწესებულების მასშტაბი ქალაქ კვერეთის ზომით შემოიფარგლება, ქალაქისა, სადაც ტიპობრივი პროექტით აშენებულ სახლებში ტიპიური მოქალაქეები ცხოვრობენ.

შესავალი ცოტა გაგვიგრძელდა და იქნებ ვინმემ კიდეც გვისაყველუროს, ასე დაწერილებით გმირების დახასიათება, რა საჭირო იყო.

ცოდვა გამხელილი სჯობია და ერთ საიდუმლოებას გაგანდობთ: იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ერთმა მშვენიერმა თეატრმა ავტორს ეს მოთხოვობა პიესად გადაკეთებინოს. აი მაშინ, ჩვენი ვრცელი შესავლის წყალობით, რეჟისორს როლების განაწილება აღარ გაუჭირდება.

შ ა გ ა მ ი

შედარებით დავიწყებთ: ზაფხულის ღამე ყანწლაულეველ თამადასავით გაიპარა და პატარძალივით მობრძანდა შაბათი დღე.

ხომ შეუდარებელია? თქვენ აწი ნახეთ!

აშოვიდა მზე, და რადგან კვერეთში ჯერჯერობით მრავალსართულია-
ნი სახლები არ მომრავლებულა, მის ამოსვლას ზოგიერთი უბნიდან კალკ-
გად დაინახავდა კაცი.

ზღვის პირას გაშენებულ ქალაქს აღმოსავლეთიდან მთები გადმოჰყუ-
რებდა. სწორედ ამ მთიდან ისეთი ლამაზი მნათობი გადმოგორდა, რომ
კვერეთელებს წუხანდელი წვიმა გადაავიწყა.

სერაპიონ ნიკურაძესაც გაუცინა ფანჯარაში მზემ და დარღიანი გუ-
ლი გაუთბო. ალბათ, თქვენ ითიქტებთ, შაბათს მუშაობა უწევს და იმაზე
დარღობსო. ნაწილობრივ მართალი ბრძანდებით, ორლიან დასვენებაზე
გისი სამსახური ჯერ კიდევ არ იყო გადასული, მაგრამ სერაპიონს სხვა
უფრო დიდი სადარდებელი აწუხებდა. დიახ, ბინის რიგში იდგა და ყოველ
გაწვიმებაზე ჭერს იყო მიჩერებული, არ ჩამომენგრესო. ცოლის საყვედუ-
რებზე მუდამ ერთნაირად უბასუხებდა, ახალ სახლში რომ გადავალთ,
ძაშინ ხომ ვერ დამიწყებ წუწუნსო. ახალ სახლში გადასვლამდე კი თით-
ქმის ყოველ ღამეს წვიმდა. სერაპიონი ცოლს ამშვიდებდა, გათენებულში იმხელა
მზე ამოღიოდა, რომ სერაპიონს აღარ ეგონა, კიდევ თუ გაწვიმდებოდა.

სწორედ ასეთი ლამაზი დილა იდგა ამ შაბათ დღეს. ზღვიდან მონა-
ბერი ნიავი სერაპიონის სახლის წინ დარგულ ქაფურის ხეებს ტოტებს
უშრიალებდა, ოღონდ ტოტებში ჩიტები არ გალობდნენ. სამაგიეროდ რა-
ღიო გადმოსცემდა დილის კონცერტს.

შუსიკამ სერაპიონს ახალგაზრდობა გაახსენა, როცა ცოლი არ ჰყა-
ვდა და არც მისი საყვედურები ესმოდა. ფიქტებმა ისე გაიტაცა, რომ ვერ
გაიხსენა, ჩაიში ორი კოვზი შაქარი ჩაყარა თუ სამი.

ტკბილეულობა სერაპიონს კი უყვარდა, მაგრამ რაც ექიმმა დიაბეტის
ნიშნები აღმოუჩინა, შაქრიანი ღვინის დალევასაც ერიდებოდა.

საუზმის შემდეგ სერაპიონმა კეფაზე გაშენებული თმა სარკეში კი-
დევ ერთხელ გაისწორა და ცოლს უთხრა, წავედი აბაო.

შენ კი წახვედიო, მიუგო ცოლმა, მაგრამ იგი რომ საყიდელი გვაქვს,
ხომ არ დაგავიწყდაო. ამ „იგის“ ყიდვას სერაპიონი ცოლს მაშინ პირდე-
ბოდა, როცა კარგ ხასიათზე იყო, ან პირიქით, ცოლი იყო ცუდ ხასიათზე.

დამიტკიცებენ პროექტს და ჩეჩქივით დაგაყრი ფულსო, ამაყად ამ-
ბობდა ასეთ დროს სერაპიონი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო პრო-
ექტის დამტკიცებას საშველი არ დაადგა და ყოველ დილა-საღამოს სერა-
პიონ ნიკურაძეს ერთი და იგივე საყვედურის მოსმენა უწევდა.

ამიტომ იყო, რომ კარგ ხასიათზე ამდგარი სერაპიონი სახლიდან ცუდ

ხსიათშე გამოვიდა და გულში ნატრობდა, ისეთი კაცი შემახვედრობდა რი მასზე ამოვიყაროვ. სხვათა შორის, საპროექტოს უფროსი სხვა უბანში ცხოვრობდა.

სერაპიონს ქუჩაში პირველად სანაგვე მანქანა შეხვდა. ზუსტად მისი სახლის წინ გაჩერდა და იმხელა რეკვა ატეხა, ზოგიერთი იფიქტებდა, აღ-დგომა დილა გათენებულაო.

— ნაგავი, ნაგავი! — ყვიროდა მენაგვე.

— რა გიხარია ამისთანა, მაწონი ხომ არ მოგიტანია! — იყვირა სე-რაპიონხმაც.

— აქეთ ხომ არ იძახი რამეს? — ძველი ნაცნობივით იკითხა მენაგვემ.

— იმას ვიძახი, სული რომ ამოგვაძვრე ყოველ დილას!

— სიახლე გახლავთ ეს, სერაპიონ ბატონო, ძველი ღრო ხომ არ გვინიათ!

— კი ჯობდა ძველებურად ყოფილიყო, როცა გინდოდა, მაშინ გადა-ყრიდი ხაგავს.

— ეს პროგრესული ფორმაა, — აუხსნა მენაგვემ, — ქალაქში მეტი სისუფთავე იქნება, ბუზი მოისპობა.

— იქნებ არ მინდა მე კოლექტიურად ნაგვის გატანა, მთელი ქვეყანა რატომ უნდა მიყურებდეს! — ისევ აუწია ხმას სერაპიონმა.

— მე ას მეჩეუბები, — გაბრაზდა მენაგვეც, — ჩემი დადგენილი ხომ არაა, კაცო, შენი ცოლი არ ყვირის და შენ რა გაყვირებს!

რადგან ხალხი მოგროვდა. სერაპიონმა პასუხის ნაცვლად ხელი ჩაიქ-ნია და სამსახურისაკენ გასწია.

სამსახურში სერაპიონი წვიმაშიც ფეხით მიდიოდა. ოქვენ არ იფიქ-როთ, ტაქსის ფული ენანებოდა ან ექიმების ჩემებას უჭერებდა, მანქანით სიარულს ფეხით სიარული სჭობიაო. სერაპიონს გზაზე ნაცნობებთან შე-ხვედრა და ახალი ამბების გაგება უყვარდა. ნაცნობები კი პერეთივით პატარა ქალაქში, მოგეხსენებათ, ბევრი შეხვდებოდა; ყოველ მეორე კაცი შლიაპას უხდიდა, ხოლო ყოველ მესამეს ხელს ართმევდა.

— ამბროსის გაუმარჯოს!

— ნესტორიჩ, როგორ გიყითხოთ?

— სალამი პლატონ მიხაილოვიჩ!

— ალისტრახო, ფულს როდის მაძლევ?

მევალე გალმიდან დაუქნევდა ხელს, დაგინახეო და ასე მისალმებებში ილეოდა სამსახურში მიმავალი გზა.

ასე იყო წინათ, მაგრამ ამ დილით გუნებაშამხდარი სერაპიონი ნაცი-
ნობებს კი არა, მანქანებსაც ვერ ხედავდა და ერთხელ კინაღამ აუართა-
შიც მოყვა.

— სერაპიონ, რა დაგემართა, შე კაცო? — ჰკითხა გაყვირვებულმა
შოფერმა.

— მაგი არაა შენი საქმეო, — მიუგო სერაპიონმა და წითელ შუქზე
ვაგრძელა გზა.

შოფერმა დაასკვნა, თბილისის „დინამომ“ თასი რომ ვერ აიღო, ალ-
ბათ იმაზეა გაბრაზებულიო, და სანამ მწვანე შუქი არ აინთო, მანქანა ად-
გილიდან არ დაუძრავს.

ზედ სამსახურთან სერაპიონს გრიშა სეფერთელაძე შეხვდა. სერაპი-
ონმა გაიფიქრა, არც ამას შევხედავ ზედო, მაგრამ გაახსენდა, გრიშა მისი
ვანყოფილების უფროსი რომ იყო და ხელი ჩამოართვა, მურთაზოვიჩ, კა-
გამარჯობა შენიო! მრავლობითში სერაპიონი მარტო ყარამანოვის ელა-
პარაკებოდა.

გარშემო სხვა ვინმე არავინ იყო, მაგრამ გრიშა სეფერთელაძემ ჯერ
ერთი ბინედ-მოიხედა, მერე სერაპიონი განზე გაიყვანა და ჩურჩულით
უთხრა.

— მოსწი აქეთ ყური...

ისეთი სახე ჰქონდა, კაცი იფიქრებდა, საპროექტოს აფეთქებას აპი-
რებსო.

ჩურჩულით ლაპარაკი და ყურის მოწევა გრიშა სეფერთელაძეს ისეთ-
ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული, რომ ყველას ჩვეულებრივ ამბად მია-
ჩნდა. აშიობ იყო, სერაპიონმა არ უთხრა, ყურის მოწევა რად გინდა,
ჩვენს გარდა სხვა არავინაა.

სერაპიონმა ყური მისწია, უფრო სწორად, თავი გადასწია და ახალი-
ამბის ბოლობინში მეძებარი ძალივით გაინაბა.

გრიშასაც თვალებში ნეტარება ჩასდგომოდა, მაგრამ არ ჩქარობდა.
ვნახავ ერთი, სერაპიონი სანამდე გაუძლებსო.

სერაპიონმა ერთ წუთსაც ვერ გაუძლო.

— ჰო, ოქვი, კაცო, ნუ მომკალი!

— წუხელ თურმე ჩვენი ვალიდა... — ჩურჩულით დაიწყო გრიშამ
და გაჩერდა.

— ჰო, ვალიდა... რა ვალიდა? — ახლა სერაპიონი ამუშავდა.

— მოსწი აქეთ ყური, რა გაყვირებს...

— ვერ ხედავ, მოწეული რომ მაქვს? — გაბრაზდა სერაპიონი, —
აღარ შეტყვი ბოლოს და ბოლოს რა მოუვიდა ვალიდას?.. გათხოვდა?

— შენ ამ დილით მარცხენა ფეხზე ხომ არ ამღვარხარ? — სხვა საუ-
პარო წამოიწყო გრიშაშ.

სერაპიონს ისევ გაახსენდა, უფროსს რომ ელაპარაკებოდა.

— მარცხენა ფეხი არ მახსოვს, მაგრამ სახლში წყალი ჩამოდის და
ცოლი მეჩხუბება.

— მე ვიფიქრე, კბილი ტკივა-მეთქი...

სერაპიონს ვალიდას ამბავი აღარ აინტერესებდა.

— კბილი კი არა, თავი მტკივა... როგორ ატყობ, აღარ მაძლევს ბინას
ყარამანოვიჩი?

გრიშამ „მზიური“ ამოიღო და მცხეთური ასანთით მოუკიდა.

— „ზაჟიგალკა“ არა გაქვს? — დაინტერესებდა სერაპიონი.

— „ზაჟიგალკას“ ქართულად სანთებელა ჰქვია, — გაახსენდა გრიშას
ვაჩე ვაჩეიშვილის ნასწავლი.

— ჰოდა, მიჩურნია შენთვის ეს სანთებელა, — გაუწოდა სერაპიონმა,

— ნუ გერიდება, ჩემდა მაინც თეთრი შაშვია, პაპიროსს მე არ ვეწევი და
გაზის მოსაკიდებლად მაგი არ ვარგა.

ნაჩუქარ ცხენს რომ კბილი არ გაესინჯებოდა, ეს ანდაზა გრიშა სე-
ფეროთელაძემ კარგად იცოდა, მაგრამ სანთებელა მაინც დიღხანს ათამაშა
ხელში.

— ამ პალმების მაგივრად შიშველი ქალები რომ დაეხატათ ზედ, კი
აჯობებდა, მაგრამ შენი მაინც მაღლობელი ვარ, — თქვა და საჩუქარი
ჭიბეში ჩაიღვა.

სერაპიონმა იფიქრა, ახლა კი დამიღდვა შესაფერი მომენტიო.

— ჰოდა, მაძლევს თუ იცი ბინას ყარამანოვიჩი?

გრიშას არ ესიამოვნა ასე უცებ გათამამება და შორს დაიჭირა.

— აბა მე საიდან უნდა ვიცოდე?

— მაგი კი არა, ამ ზღვაში რამდენი გემია ჩაძირული, იგი იცი შენ,
— უთხრა სერაპიონმა. გულში იმას დარღობდა, სულ ტყუილად დავკარგე
სანთებელაო.

ჩაძირული გემების რა მოგახსენოთ, მაგრამ გრიშა სეფეროთელაძემ
სხვა თითქმის ყველაფერი იცოდა, რაც პატარა და კოპწია ქალაქ კვერე-
თში ხდებოდა. იცოდა ვის უპირებლენენ მოხსნას უახლოეს ხანში და ვის
დანიშნავდნენ მის აღგილას, ვისი ცოლი ვისი ნათესავი იყო და ვისი
შვილი ჩაირიცხებოდა იმ წელიწადს უმაღლესში.

მართალია, ზოგიერთ მის პროგნოზს ფეხბურთის გულშემატკივრის
აცნებასავით ახდენა არ ეწერა, მაგრამ გრიშა სეფეროთელაძეს მაინც ყოვ-

ლისმცოდნე კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მარტო ის ფაქტი რა/ ერთგული გამოიყენება

ლირდა, რომ საყავეში ახალ ამბებს გრიშასაგან გებულობდნენ. ხელ-წამოსაკრაგი ადგილი ეჭირა საპროექტოში, ყოველ შემთხვევაში, მთლად უფროსის მეტე თითონ იყო უფროსი და ვაჩე ვაჩეიშვილის გარდა ხელ-ქვეითები მამის სახელით მიმართავდნენ.

ხელქვეითები იმასაც ფიქრობდნენ, მთლად უფროსს რომ რაიმე შე-ემთხვას, მის ადგილზე აუცილებლად გრიშას დანიშნავენ.

რაღაც უფროსს ჯერჯერობით არც აწინაურებდნენ და არც ინფარქტის ნიშნები აღმოაჩნდა, გრიშა სეფერთელაძე საპროექტოში ისევ მეორე კაცად რჩებოდა. ამ ამბავს გრიშა თითქოს მნიშვნელობას არ ანიჭებდა, მტრებმა კი უფროსთან მაინც დაასმინეს, თქვენს სიკვდილს უცდის, მაგრამ სხვების დასანახავად პირში სულ გიბერავსო.

ყარამანოვიჩს ამ ფაქტისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია, რადგან კარგად იცოდა, რომ არც ერთ მოადგილეს არ ელიტსებოდა უფროსის სავარძელი, მოადგილე ყოველთვის მოადგილედ ამთავრებდა თავის კარიერას და მოადგილის კარილან გაღიოდა პენსიაში. ამიტომ სხვების დასანახავად გრიშას საქციელი პირიქით მოიწონა.

— ნიჭიერი კაცი ყოველთვის დაწინაურებაზე უნდა ფიქრობდეს, ხომ გახსოვთ, კუტუზოვმა რა თქვა, შევარცხვინე ის ჯარისკაცი, მარშლობაზე რომ უარს იტყვისო!

ბევრი რომ არ გავაგრძელო, გრიშა სეფერთელაძე ყარამანოვიჩის ერთგული კაცი იყო და როცა უფროსი შვებულებაში მიდიოდა, ერთ თვეს თავის სკამისაც უტოვებდა.

ყოველივე ეს, ცხადია, მშვენივრად იცოდა სერაპიონ ნიკურაძემ, და სწორედ ამიტომ ჰქითხა, თუ იცი, უფროსი ბინას როდის მომცემსო.

ბინის მიღებაზე თუ ხელფასის მომატებაზე სერაპიონის შეკითხვები გრიშას ყელში ჰქონდა ამოსული, ამიტომ მწარედ უნდოდა რაღაცა გპასუხა, მაგრამ ნაჩუქარი სანთებელა ელო ჯიბეში და ენას კბილი დააჭირა.

— პო, თქვი, შე კაცო, რას გაჩუმებულხა! — ვალარ მოითმინა სერაპიონბა.

— მაშ ბინა გინდა, ჩემო სერაპიონ? — შორიდან დაიწყო გრიშამ.

— მინდა კი არა, გავთავდი კაცი მაგის მოლოდინში.

— შენი პროექტი რას შვება, თუ დაამთავრე?

— რომელი პროექტი? — დაიბნა სერაპიონი.

— აი ის, შენ და ყარამანოვიჩი რომ ერთად მუშაობდით.

— მაგ პროექტზე მარტო მე ვმუშაობ.

- გეტყობა, გეტყობა...
- ყარამანოვიჩი რა შეუაშია?
- შეუაში კი ორა, თავშია, ხომ გაითვალისწინე მისი შენიშვნები?
- აბა რომელი ერთი გავითვალისწინო, გადამეტიდა და ესაა!
- გრიშამ ისევ პაპიროსი, ამოილო და ნაჩუქარი სანთებელათი მოუკიდა.
- რა მაგის პასუხია და, რამდენი წლისა ხარ, ჩემო სერაპიონ?
- ორ წელიწადში პენსიაში უნდა გავიდე.
- დაიწყებ მერე უბინაო პენსიონერი საჩივრების წერას, გრიშას თუ ერგებოდა, მე რა დავაშავეო.
- მართალი მითხარი, მურთაზოვიჩ, დავაშავე რამე? — შეეხებია სერაპიონი.
- კი დააშავე.
- მაინც რა, პატიოსნად რომ ვმუშაობ და ხმამაღალ სიტყვას რომ არავის ვეუბნები?
- მოსწი აქეთ ყური, სერაპიონ.
- ა, ბატონო, მოვწი... რა თქვი მაგი, მურთაზოვიჩ, სისხლი და ოფლი დაშიქცევია, ცოდვა არა ვარ!?
- უბინაოდ რომ დარჩები, ცოდვა მაშინ იქნები.
- არ დავრჩები, — იყვირა სერაპიონმა, — ახლა კი ვიცი მე, რა უნდა გავაკეთო!

აქ მკითხველმა შეიძლება იფიქროს, ყარამანოვიჩმა ბინაში ქრთამი მოსთხოვა და შეურაცხყოფილი სერაპიონი მიღიცაში გაიქცევაო.

არაფერი ამის მაგარი! ჯერ ერთი, ყარამანოვიჩმა ქრთამი კი არა, პროექტის თანავტორობა მოითხოვა და მეორეც — სერაპიონი მიღიცაის ნაცვლად საპროექტოში შევიდა, თუმცა მაგიდას მიუჭდა და რადგან სამუშაოს დაწყებას კიდევ ათი წუთი აკლდა, მღელვარე ფიქრებს მისცა თავი. საფიქრებელი კი, როგორც დაინახეთ, სერაპიონ ნიკურაძეს ძალიან ბევრი ჰქონდა.

გარეთ კი ისევ ანათებდა ცხრათვალა მზე, შრებოდა ნაწვიმარი ქუჩები და სამსახურში ნელ-ნელა შემოდიოდნენ თანამშრომლები.

როგორც უკვე მოგახსენეთ, კვერეთის საპროექტოში ორადორი ქალი მუშაობდა: ახალგაზრდას ვალიდა ერქვა, ხოლო არც თუ ისე ახალგაზრდას — თალიკო.

იმ შაბათ დღეს, როცა ჩვენი მოთხოვა დაიწყო, ვალიდა და თალიკო ჯერ კიდევ არ წაჩინებოდნენ ერთმანეთს, სამსახურშიც ერთად მოვიდნენ და თანაც ფრიად მეგობრულ ვითარებაში. ცხადია, გზაში დაწყებულ

საუბარს ასე აღრე ვერ დაამთავრებდნენ, და ამიტომ ვალიდა თავის თა—
ხში მისვლამდე თალიკოს კაბინეტში შეჩერდა.

კაბინეტი ვთქვით, თორემ აღრე უბრალო გასასვლელი იყო. ამ გასას-
ელელში ყარამანოვიჩის ბრძანებით ჯერ მაგიდა დადგეს, მერე მაგიდაზე
ტელეფონები დაწყვეს, ხოლო კიდევ მერე თალიკო მოიყვანეს. ამის მე-
რე მხოლოდ გრიშას ჰქონდა პირადი მდივნის გარეშე უფროსის კაბინეტ-
ში შესვლის უფლება.

ახლო ნაცნობების შენიშვნაზე, ასეთი შეუხედავი პირადი მდივანი
რამ აგაყვანინაო, ყარამანოვიჩი მხოლოდ იღიმებოდა. აბა იმას ხომ არ
იტყოდა, მე კი არა, ჩემთა მეუღლემ აიყვანაო. კაცმა რომ თქვას, თალიკო
არც ისეთი შეუხედავი იყო და ყარამანოვიჩი ზოგჯერ იმაზეც ფიქრობდა,
კინოში წასვლა რომ შევთავაზო, უარს ხომ არ მეტყვისო.

რასაკვირველია, ასეთი ფიქრები მხოლოდ ფიქრებად აჩებოდა, რად-
გან კვერეთში ცოლ-შვილიან კაცოან კინოში წასვლას გაუთხოვარი კი
არა, ქმარგნაშვები ქალიც ვერ გაბედავდა. კინ და თეატრი საერთოდ
არც ყარამანოვიჩის უყვარდა და ფეხბურთის გარდა ტელევიზორში არა-
ფერს უყურებდა.

ყარამანოვიჩის მაგივრად ვაჩე ვაჩეიშვილს რომ ერთი სიტყვა ეთქვა,
თალიკო კინოში კი არა, სახლშიც წაყვებოდა, მაგრამ ვაჩე არაფერს აძ-
ბობდა და მოლოდინში წასული თითოეული დღე ახალ სადარღებელს
უჩენდა თალიკოს. ეს დარდი ჯერჯერობით გულში დაგუბებულიყო, სახე-
ზე კი კოსმეტიკის წყალობით მაინცდამაინც ვერაფერს შეატყობით.

ამიტომ იყო, რომ სამსახურში მოსვლისთანავე სარკეს ეცა, მაგრამ
არც ლაპარაკი შეუწყვეტია.

- ეს რა სურათი ვნახე წუხელ, მთელი ღამე არ მძინებია...
- ამდენ პუდრს ნუ ისვამ, — ურჩია ვალიდამ.
- თალიკომ სარეკე კარგახანს არ მოიცილა.
- არ მომწონს ჩემი სახე, დღეს ფორმაში ვერა ვარ.
- უძილობამ გიქნა, ალბათ.
- შენხელა რომ ვიყავი, ჩემი ვალიდა, უძილობა რას დამაკლებდა,
შვიდი ქორწილი ზედიზედ გამითენებია, ახლა...

- არც ახლა გამოიყურები ცუდად, — დაამშვიდა ვალიდამ.
- გულს მიკეთებ, არა?
- გულის გაკეთება ღმერთმა დაგიფაროთ!
- არ მიყურებს ჩემი ღმერთი მე, — ამოითხრა თალიკომ, — ნათ-
ხოვარ გიტარასავით მაქვს ნერვები დაწყვეტილი... იცი შენ, რა არის ნა-
თხოვარი გიტარა?

— მე მხოლოდ მაგნიტოფონი მინათხოვრებია მეზობლისაგან, ყოველ
წუთში მორბოდა, აბა ეს არ გამიღუჭო და აბა ისო... წამებაა პირულპირი
თალიკო ფანჯარასთან მივიღა და შეით განათებულ ქუჩას გადახედა.
— ეს ერთფეროვანი ცხოვრებაც წამება არაა? ყოველთვის ერთი და
იგივე...

— მაინც რა გაქვს მხედველობაში? — დაინტერესდა ვალიდა, რომ-
ლისთვისაც ცხოვრება სრულებით არ იყო ერთფეროვანი და მოსაწყენი.
თალიკო ფანჯარა გააღო.

— თუნდაც ეს ხალხი წყლის კიოსკთან, ხუთკაპიკიან სიროფს რომ
სვამს... ერთი და იგივე სიროფი, ერთი და იგივე სახეები...

სიროფზე თალიკო მართალი იყო, მაგრამ სახეებზე ვალიდა არ დაე-
თახება.

— იქნებ ამ ხალხში ვინმეს დანახვა გსიამოვნებს?

ვალიდას ასეთი შეკითხვის საფუძველი ჰქონდა, რადგან სხვებთან
ერთად იმ მომენტში ხუთკაპიკიან სიროფს ვაჩე ვაჩეიშვილიც სვამდა.

— მაინც ვინ გყავს მხედველობაში? — დაინტერესდა თალიკო, რო-
მელსაც ვაჩე არ დაუნახავს.

— არავინ... აბა კარგი სურათი იყო?

— ზღაპარში მეგონა თავი, ყველა ლამაზი და ერთმანეთზე უკეთე-
სი, ზრდილობიანი და დარბაისელი. ამისთანა ხალხს მარტო კინოში თუ
ნახავ.

— რატომ, ზოგჯერ ცხოვრებაშიც შეგხვდება, — თქვა ვალიდამ.

— ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დაწესებულებაში არა... ერთი ინჯინე-
რი თამაშობს, ვარეგნულად ვერაფერი ბედაურია, ვაჩესავით წვერგაუპა-
რსავი დადის, მაგრამ...

— ვაჩე ყოველ მეორე დღეს იბარსავს წვერს, — თითქოს სხვათა
შორის შენიშნა ვალიდამ, მაგრამ ჯობდა, არაფერი ეთქვა.

— შენ რა, — ტყვია შეეპარა ხმაში თალიკოს, — ვაჩემ გითხრა,
წვერს როდის ვიპარსავო!

ვალიდას რა ეცინებოდა, მაგრამ თალიკოს ჯიბრზე გაიცინა.

— მაგას თქმა რად უნდა, თუ კი დაუკვირდები, ადვილად შენიშნავ.

— გოგო, ამხელა სამსახურში სხვა საქმე არაფერი გაქვს, კაცს რომ
პირში არ უცურო?

„გოგო“ როგორ მაკაღრაო და აღარც ვალიდამ დაუთმო.

— რატომ-ბრაზობთ, ქალბატონო თალიკო?

— მე შენი ქალბატონი არა ვარ!

— აბა დეიდას ხომ ვერ შეგვადრებთ?

— შეს ჯიხაზე არ გავგრაზდები, მოვკვდები და არ გავგრაზდები! —
დაექადნა თალიკო, მაგრამ სიტყვა ვერ შეუსრულა. იმხელას ყვიროდა,
საერთო ოთახში კარებიც რომ არ გაეღოთ, ერთი სიტყვა არ დარჩებოდათ
მოუსხენელი.

თალიკოს დასამალავი უკვე არაფერი ჰქონდა.

— რა გინდა ამ მამისტოლა კაცთან, რატომ გადარიე?

— ვინ გადავრიე? — მიამიტად იკითხა ვალიდამ.

— არ იცი ხომ? — ვაჩე ვაჩეიშვილი!

— თქვენ გადაგირიეთ, არა? — ისე გაიციან ვალიდამ, რომ თალიკომ გულზე ხელი იტაცა, ხანჭალი ხომ არ დამარტყაო.

— ახლა გამასწარი, თორემ არ ვიცი რას ვიზამ! — გააფრთხილა ვალიდა, მაგრამ ინიციატივა უკვე მის მოწინააღმდეგებს ჰქონდა აღებული.

— ნუ გრახობთ, ქალბატონო თალიკო, თორემ ნაოჭები გაგიჩნდებათ
და პულრიც ვეღარ გიშველით.

წინადაღება კი არა, ტყვია იყო. თალიკო მოცელილივით დავარდა
იატაკზე. ვალიდას, სამელნეს გამომიქანებსო, კი ეგონა, მაგრამ ასეთი
ფინალი ვერ წარმოედგინა. შეშინებულმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა,
მიშველეთო, იყვირა. ყვირილი რად უნდოდა, სასეიროდ მომზადებული
გრიშა, სერაპიონი და თამაზი იმავე წამში გამოჩნდნენ.

— რა მოხდა, რა ამბავია!

— მიშველეთ! — ისევ ყვიროდა ვალიდა.

სხვებთან შედარებით საჭმის ვითარებას თამაზი დეტალებში იყო
გაცნობილი და ამიტომ პირველი გამოერკვა.

— შენ გაჩუმდი, შველა თალიკოს უნდა!

როგორც კი ვალიდა გაჩუმდა, სერაპიონმა იყვირა.

— ვქნათ რაღაცა, რას გავჩერებულვართ!

— სასწრაფოს ნომერი როგორაა? — იკითხა გრიშამ.

— სასწრაფო ნოლ ერთია, — გაიხსენა სერაპიონმა.

ამის გამონე თალიკოს გული კინალამ ხელმეორედ წაუვიდა.

— ნოლ ერთი სახანძრო რაზმია, — სვენებ-სვენებით თქვა მან, —
სასწრაფოში ნოლ სამი უნდა დარეკო.

— აგაშენა ღმერთმა! — გაეხარდა სერაპიონს, — რადგან ხმა ამოი-
ლე, აწი არაფერი გიჭირს.

— რა ქენი, მურთაზოვიჩ, დარეკეთ საავაღმყოფოში? — იკითხა
თამაზშა.

— დაკავებულია.

— კიდევ დარეკეთ.

— კიდევ დაჭავებულია.

ამ ლაპარაკში თალიკო წამოდგა.

— მართლა სიკვდილს მიპირებთ, თქვე უბედურებო, ამდენ ხასს სას-
წრაფოს რომ ვერ შეატყობინეთ?

„უბედურო“ მრავლობითში იყო ნათქვამი, მაგრამ გრიშამ თავი ისე
დაიჭირა, მე არაფერი გამიგონია.

— მოგვილოცავს გადარჩენა, პატივცემულო თალიკო... მაინც რა ხმა
იყო ასეთი, მიწა იძრა მეგონა.

— კი, მოჭრილ მუხასავით დაგორდა, — დაემოწმა სერაპიონი.

— თქვენ გნახეთ დაგორებული კუბოში, — ერთბაშად გასწირა ყვე-
ლა თალიკომ, — ჩანთაში ვალიდოლი მაქვს და მომეცით.

თამაზმა ვეღარ მოითმინა.

— რატომ იწყევლებით, ქალბატონო თალიკო?

— ის გირჩევნია, შენს ქალბატონს მოუარო!

თამაზის ქალბატონმა წყალი და ვალიდოლი მოიტანა.

— შენი მოტანილი არ მინდა! — იუარა თალიკომ.

ვალიდას ადრინდელი შიში უკვე გაქრობოდა.

— წავიდეთ ახლა, აწი არაფერი უჭირს, — თქვა მან.

წასვლით მხოლოდ თამაზი და ვალიდა წავიდნენ, გრიშა და სერაპიო-
ნი კვლავ თალიკოს შესცექეროდნენ.

— რას შემომჩერებიხართ, პირველად მნახეთ თუ? — იკითხა მან.

— ნუ იყვირებ და ასეთ პოზაში ნამდვილად პირველად გნახეთ, —
თქვა სერაპიონმა.

თალიკომ მაინც იყვირა.

— დამეკარგეთ აქედან!

ამ ყვირილში ტელეფონმა დარეკა.

— ვის ვუთხარი მე, დამეკარგეთ-მეთქი?

— ტელეფონი რეკავს. — შეახსენა გრიშამ.

— საპროექტოა... ვინ გნებავთ, ამხანაგო?! მე ელიზაბეტ ტეილორი
ვარ. დიახ!... თქვენ კიდევ აქა ხართ?

ბოლო წინადადება გრიშასა და სერაპიონის მისამართით იყო ნათქ-
ვამი.

— სანამ გაგვლახავდეს, გავასწროთ, — თქვა სერაპიონმა და ორივე
საერთო ოთახში შევიდა.

— ხალხი კი არა, ნამდვილი ჭიალუები ხართ! — მიაწყევლა თალი-
კომ, — სწორს ამბობს თქვენზე ვაჩე, არარაობები ხართ და მეტი არაფე-

რიო... მაგი გაჩეც დიდი ნაგავია... ლამაზმა თვალებმა გადარია, ხომ? მე
შეგას უტევენებ!

თალიკოსა და ვალიდას ჩხუბმა ერთფეროვანი ცხოვრებით მოწყე-
ნილ საპროექტოს დილიდანვე სალაპარაკო გაუჩინა. მომხდარ ფაქტს
ყველა თავისებურად ხსნილა. სიმართლის შეტყობა ვალიდასაგან შეიძ-
ლებოდა, მაგრამ იგი ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებდა.

— მაინც რა უთხარი ასეთი, კინალამ წერილი რომ წაიღო? — ვეღარ
მოითმინა თამაზმა.

ვალიდას ნახაზიდან თავი არ აუწევია.

— ძალიან გაინტერესებს?

— ძალიან.

— ნერვების დასამშვიდებელი წამალი მასწავლეო და არ ვასწავლე.

— სულ ეს იყო?

— შენ წარმოიღვინე!

— მე კი მგონია... — ღრმაზროვნად დაიწყო თამაზმა.

— რა გვონია?

— არაფერი.

— მე კი მგონია, დღეს კინოში ვეღარ წაგალთ! — მოუჭრა ვალიდამ.

— სერიოზულად ამბობ? — გაფუჭდა თამაზი.

— ძალიან სერიოზულად.

თამაზმა საათის ჭიბიდან ბილეთები ამოიღო.

— შეცხრამეტე რიგის შუა სკამებია, შენ რომ გიყვარს.

— შეგიძლია სხვა დაპატიჟო.

— ნასესხები მანეთიანით მაქვს ნაყიდი, უარს ნუ მეტყვი.

სხვა ღროს ვალიდას, ალბათ, გული მოუბრუნდებოდა, მაგრამ ახ-
ლა აღარ დაინდო.

— ქალბატონ თალიკოს სთხოვე, კინოზე გიუდება პირდაპირ.

— მაგი რატომ გიუდება, კი ვიცი მე, მაგრამ შენც დაგიმახსოვრებ
დღევანდელს ძალის ნაკენივით.

— ქარგად დაიმახსოვრე, არ დაგავიწყდეს.

თამაზმა ისე ამოიხრა, ვალიდას მაგივრად ცრემლები კინალამ გრი-
შას და სერაპიონს მოადგათ.

— კინოს ბილეთები ხომ არ გინდათ? — შეეპატიჟა მათ თამაზი,

— რა კინო გაღის? — დაინტერესდა სერაპიონი.

— „ერიდე ავტომობილს“.

— არაბულია? — იყითხა გრიშამ.

სერაპიონმა აუხსნა.

— არაბული რომ იყოს, აქლემი იქნებოდა. ალბათ, ამერიკულია.

— ჩვენებურია, „მოსფილმის“. — უთხრა თამაზმა.

— ერიდეო, მერე რატომ გვეუბნებიან? ალბათ, „ზაპოროჟეცის“ ყიდვას ერიდეო... მე, ძმაო, ლატარიაში რომ მოვიგო, მაგ კონსერვის კოლოფში არ ჩავჭდები.

გრიშა არ დაეთანხმა.

— ახალ „ზაპოროჟეცზე“ არ ითქმის მაგი, „მოსკვიჩს“ არ ჩამოუვა-
რდება.

ტექნიკურ სფეროში გადასული საუბარი თამაზმა შეაწყვეტინა.

— გინდათ თუ არა ბილეთი, გამაგებინეთ?

გრიშამ შორს დაიჭირა.

— დღეობაზე რომ არ ვიყო დაპატიჟებული, კინოში მარტო მაინც ვერ წავალ. ჩემს მეუღლეს კი არაბულის გარდა არც ერთი ფილმის ნახვა არ უნდა... დედა, დედა, „შავი სათვალე“ რომ გადიოდა, სერაპიონ, გახსოვს შენ მაგი?

— კრაკადილებმა რომ კაცი შეჭამეს, იმაზე მეუბნები?

— რომელი კრაკადილი, ნიანგი? — იკითხა თამაზმა.

— ნიანგი კი არა, შავი სათვალე რომ ეკეთა კაცს, — გატაცებით ყვებოდა გრიშა, — მოიძრობდა, ანგელოზის პატრიონი იყო, გაიკეთებდა და ცოლი ზოვპარკის მაიმუნად გადააჭირევდა...

კინოხელოვნებაში ნაკლებად განსწავლული არც სერაპიონი აღმოჩნდა.

— ტყუილია მაგი, „ფანტომასისთანა“ კინო აწი აღარ გავა ნამდვილად.

— ესე იგი, არ გინდათ ბილეთები, ხომ? — კვლავ შეეკითხა თამაზი.

— ჩვენ რომ გვეხვეწები, ვალიდას თქმა ვერ გაუბედე? — დაინტერესდა გრიშა.

— ვალიდას თავი სტკივა... ხანდახან მეც მიჭურნებს პატარა.

— ვერაა კარგი საქმე!

— თავის ტკივილი მე მკითხე, — გაახსენდა სერაპიონს. — შაქრიანი ღვინო შვება ყველაფერს. წინათ სვამდნენ ამ სუფთა ყურძნის წვენს და ქე იყო კაცი ჩიტივით.

— წინათ არც შაქარი იყო, სერაპიონ ბიძია.

— ჰოდა, მაგ შაქარმა დაგვლუპა ჩემო ბიძიკო. ანდა იქნებ რადიაციის ბრალია ყველაფერი. რას იტყვი შენ, გრიშა, ატომის ბომბი რომ არ გაძოებონებინათ, თავის ტკივილი იქნებოდა ვითომ?

ამ პრობლემებზე გრიშამ თავისი ავტორიტეტული აზრი გამოიქვა
და ნელ-ნელა საუბარი მეცნიერულ სფეროში გადაიზარდა.

მერე ალბათ ახალ მოდებზე იმსჯელებდნენ და სულ ბოლოს იმითაც
დაინტერესდებოდნენ, თბილისის „დინამი“ რომელ ადგილზე გავაო.

ერთი სიტყვით, ჟაპროექტოში შემოქმედებითი ცხოვრება დუღდა.
შართალია, ამ დუღილს ძირითად საქმიანობასთან უშუალო კავშირი არ
ჰქონდა, მაგრამ გონების გახსნას უწყობდა ხელს. გონებაგახსნილ ხალხს
კი ყარამანოვიჩი დიდად აფასებდა, მხოლოდ უკიდურესი გაბრაზების
დროს თუ დაუყვირებდა თანამშრომლებს, ლაყბობას შეეშვით და საქმეს
მიხედვთო.

იმ შაბათ დღეს ყარამანოვიჩი სამსახურში უკიდურესად გაბრაზებუ-
ლი არ მოსულა, ოღონდ წუხანდელ ნაქეიფარზე თავი ოღნავ სტკიოდა.

— გაზეობი არ მოუტანიათ? — ჰკიოთხა მან თალიკოს.

— ყველა მაგიდაზე დაგიწყვეთ.

— „ლელო“ რომ არ არის? — გადაათვალიერა ყარამანოვიჩია.

— „ლელო“ გუშინ არ გამოსულა.

— ჰიდა, ცუდია, რომ არ გამოსულა, ფეხბურთის ანგარიში სამი
დღის შემდევ არ უნდა წაიკითხოს კაცმა... გრიშას დამიძახეთ ერთი.

გრიშას მოსვლამდე ყარამანოვიჩმა ადგილობრივ გაზეთს გადახედა,
ზფრო სწორად, სამგლოვიარო განცხადები წაიკითხა, როგორც ქეშმა-
რიტ კვერეთელს, აინტერესებდა, ვის ტირილში მომიწევს ამ კვირას
წასვლათ. გაზეთს რომ მორჩა, მეუღლეს დაურეკა, მეხორცეს ჩემი სა-
ხელით კარგი სუკი შეარჩევინეო.

სუკზე ლაპარაკში რომ იყო, გრიშაც შემოვიდა.

— როგორ გაფუჭდა ხალხი, ყარამანოვიჩ, ყასაბთან პროტექცია რა-
ტომ უნდა გვირდებოდეს, ხორცი გინდა, შვილს სამედიცინოზე ხომ არ
აწყობ!

ყარამანოვიჩი იმ წელიწადს ნამდვილად აპირებდა შვილის სამედი-
ცინოზე მოწყობას და ამიტომ გრიშას სიტყვები არ ესიამოვნა.

— ყველაფერზე ნუ იცი შენ წუწუნი!

გრიშა მიხვდა, კარგად ვერ გამომივიდაო და შეცდომის გამოსწორე-
ბაზე ფიქრობდა.

ამასობაში ყარამანოვიჩმა პაპიროსი ამოილო, რომელსაც გრიშამ იმ
წამსვე სერაპიონის ნაჩუქარი სანთებელათი მოუკიდა.

— მაჩვენე ერთი, — დაინტერესდა უფროსი.

— ძალიან უბრალოა, შიშველი ქალიც არ ახატია ზედ.

— კარგად კი ეკიდება და...

— ქვას თუ უშოვი, არაფერი უჭირს, — აუხსნა გრიშამ.
 — ამდენს რომ მალაპარაკებ, შენით ვერაფერი უნდა მიხვდე? — გა-
 ბრაზდა ყარამანოვიჩი.

— ასეთ უბრალო საჩუქარს როგორ გაკადრებთ, — თავი მოიკატუნა
 გრიშამ, აბა იმას ხომ არ ეტყოდა, ნაჩუქარის გაჩუქება არ შეიძლებაო.

ყარამანოვიჩმა სანთებელა მაგიდის ყუთში ჩაგდო და კარებთან მი-
 სული გრიშა შეაჩერა.

— ჰო, მართლა, იცი რატომ დაგიძახე?
 — ალბათ პროექტი გინდათ, მაგრამ დამთავრება ვერ მოვასწარი,
 ყარამანოვიჩ.

— რომელ პროექტზე მელაპარაკები?

— თქვენ რომ ხუთშაბათს სამინისტროდან დაგირეცეს.

ყარამანოვიჩმა კალენდარი გადაფურცლა.

— რა რიცხვია მერე დღეს?

— მომკალით, მაგრამ ორშაბათამდე ვერ ჩაგაბარებთ.

— ვიცი მე შენი ორშაბათი, გამიზარმაცდი და ისაა!

— როგორ გეკადრებათ! — არ დაეთანხმა გრიშა.

ყარამანოვიჩმა ბორჯომი დაასხა. გრიშა მიხვდა, ხაში აქვს ამ დილას
 ნაჭამი და ის მოაწყურებდაო. როგორც ყველა უფროსი, ყარამანოვიჩი
 ბორჯომს დიდ პატივს სცემდა, სუფრაზე საქართველოს საღლეგრძელოს
 რომ დალევდნენ, მოხდენილად ჩაურთავდა, ღვინისა და ბორჯომის სამ-
 შობლოს გაუმარჯოსო. თუ ვინმე ეტყოდა, არც ნაბეღლავია ცუდიო,
 ყარამანოვიჩი მაინც ბორჯომს ამგობინებდა.

ახლაც ნეტარებით დალია ღმერთების სასმელი.

— სხვა რა არის ქვეყანაზე ახალი?

— ქვეყანაზე არ ვიცი და ჩვენს სამსახურში ხალხი იატაკზე გორავს.
 ყარამანოვიჩმა წარბები შეათამაშა.

— თუ კაცი ხარ, დალაგებულად მელაპარაკე.

— ჩვენს თალიკოს ამ დილით გული წაუვიდა. ძლივს მოვაბრუნეთ-

— გული წაუვიდაო?

გრიშა ჩურჩულზე გადავიდა.

— ყარამანოვიჩ, მოსწით აქეთ ყური... ნამდვილად ასე იყო. ეჭვია-
 ნობის ნიადაგზე მოუვიდათ ჩხუბი თალიკოსა და ვალიდას.

ყარამანოვიჩს ეჭვის მიზეზი თამაზი ეგონა, მაგრამ გრიშამ რომ ვაჩე
 ვაჩეიშვილი უხსენა, მაგას ვერ დაგიჭერებ ნამდვილადო, იყვირა. ანდა
 როგორ დაიჭერებდა, როცა ვაჩეს ლირსებას მხოლოდ გარეგნული პორ-

ტრეტით ზომავდა, ეს პორტრეტი კი არც თუ ისე ლამაზი შტრიხებით დაეხატა ბუნებას.

გრიშა უფროსისაკენ გადაიწია.

— კიდევ მოსწით ერთი ყური.

— რად იცი ეს ყურში ჩურჩული, ჩვენს გარდა სხვა გვისმენს ვინმე თუ? — არ მოეწონა უფროსს.

— რა ვქნა, ყარამანოვიჩ, ჩვეულება მაქვს ასეთი და რატომ მიწყრებით?

— გიშყრები კი არა, მოგხსნი კიდევაც, სამსახურში წესრიგს თუ ვერ დამიმყარებ. სახელმწიფო დაწესებულებაა აქ, ცირკი ხომ არაა!

გრიშამ ვერ შეატყო, უფროსი ნამდვილად გამიბრაზდა თუ უბრალოდ ფასს მაძლევსო.

— როგორც გითხარით, ვაჩე ვაჩეიშვილის მიზეზით დაწყებულა ყველაფერი.

— ვაჩეიშვილი და ვაჩეიშვილი, არ დაიკერეთ ყველამ ენაზე! რამდენ-ჭერ გაგაფრთხილე, კარგად მიმიხედე მაგ კაცს-მეთქი, სულ მოიშალა დი-სციპლინა!

— მე რა უნდა მიგიხედოთ, როცა თქვენი სიტყვაც არ სჯერა, — შეაპარა გრიშამ.

ყარამანოვიჩმა მაგიდაზე მუშტი დაარტყა, მაგრამ არც თუ ისე ძლი-ერად, ფანქრები რომ გადავარდნილიყო.

— დავაჯერებ, მაგისთანებისათვის კი მომივლია მე!

— თვითონ ჯანდაბას, მაგრამ სხვებიც აღერღა, სერაპიონს არ ასვე-ნებს! — მოახენა გრიშამ.

— შენ სერაპიონს უთხარი, რაც ევალება იგი გამიკეთოს თორემ! მაგი გლახა მე ვერაფერს დამაკლებს და არც სხვების მეშინია, — იცოდე!

გრიშამ ისევ დააპირა წასვლა, მაგრამ ყარამანოვიჩმა ისევ შეაჩერა, რადგან ვერა და ვერ გაიხსენა, რისთვის დაიბარა სულ პირველად ეს კაცი. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა.

— რა ქნა თბილისის „დინამომ“ გუშინ?

გრიშას დაცლილი ჰქონდა, ფეხბურთზე რომ ლაპარაკს დაიწყებდა, უფროსს ბრაზი გადაუვლიდა.

— დავიჯერო ახლა, ეგ თამაში არ გინახავთ, ყარამანოვიჩ?

— არ მინახავს.

— ტელევიზორი თუ გაგიფუჭდათ, დაგერეკათ ჩემთვის და ოსტატს მოგიყვანდით.

ყარამანოვიჩმა აუხსნა, თბილისელები მესტუმრნენ და რესტორანში წავიყვანეო.

რესტორანი რომ უხსენეს, გრიშამ ძალების მოზღვავება იგრძნო.

— მაგ თბილისელების ამბავი კი ვიცი მე, თავს მოგჭრიან, კისერი თუ არ მოსტეს. დედაქალაქში რომ ცხოვრობენ, ვითომ ყველაფრის პატრონი მაგენი არიან: მეტრო ჩვენ გვაქვსო, თბილის გარდა საქართველოში ღვინის სმა არ იციანო.

— მაგენის ტრაბას დაუჭერებს ახლა ქუთაისი და ზესტაფონი! — გაეცინა ყარამანოვიჩს და გრიშასაც ცა გაეხსნა.

— არც კვერეთში ვართ ნაკლები ხალხი, ყარამანოვიჩ, ისე ხომ დახვდით გაუკაცურად?

— შევარჩენდი ვითომ რამეს! მანქანაში ისე ჩავყარე, ერთმანეთს ვეღარ ცნობდნენ.

— ვაზა თუ დააჯახეთ ჭოლოს თქვენებურად?

— ვაზამდე ვინ მიგყვა!

— აგაშენათ ღმერთმა, გისახელებიათ ჩვენი ქალაქი!

ყარამანოვიჩს შექება ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ალარ მეტყვი ახლა, რა ქნა თბილისის „დინამომ“?

— ორით ნოლი მოიგო, მაგრამ მოგებას გააჩნია, დახიეს ყველაფერი ჩვენებმა, სიხარულით კინალამ ტელევიზორი გავტეხე.

ყარამანოვიჩის უზარმაზარ კაბინეტს ათასგვარი ნახაზები და მაკეტები ამშვენებდა, ერთი ნახაზისათვის კედელზე ფარდა ჩამოეფარებინათ და გარეშე ხალხს საიდუმლო პროექტი ეგონა. სინამდვილეში ფეხბურთის ცხრილი იყო გაკრული. ყარამანოვიჩმა ფარდა გადასწია და ცხრილში თბილისელებს ორი ქულა ჩაუწერა.

— შენ ეგებ ხუმრობ, გრიშა? ორი ქულა და ისიც მოსკოვში!

— ნეტავ ყოველთვის ასე ვეუმრობდე. პენალტიც რომ მოეცათ, სამი იქნებოდა, მაგრამ მსახი გაგვახარებს ჩვენ?! არ გვინდა, ბატონო, ისედაც ვუგებთ და რა ვქნათ ახლა...

— ქართველებმა თუ მოვინდომეთ, ვერაფერი დაგვიდგება წინ! — კვერი დაუკრა უფროსმა.

— მარტო ჩემს მაგალითს გეტყვით, ყარამანოვიჩ. ცოლოურში ვიყავი წინა შაბათს დაპატიჟებული და ერთი ზესტაფონელი კაცი შემომაკვდა. სუფრა რომ აიშალა, სამლიტრიანი ყანწი გამომიგზავნა... თვითონ კი დაყვა ზედ, მაგრამ მე ხომ არ შევრცხებოდი იმხელა კამპანიაში. შევუძახე თავს, გრიშა, გაიჭირვე ერთი გაჭირვება, შენს წინაპრებს მაგაზე უარესისათვის ვაუქლიათ-მეთქი. დავხუჭე თვალები და გადაუძახე ყანყრა-

ტოში... ნამთვრალევზე რომ ხაში შეგერგება, ისე შემერგო, წვეთი არ და-
მიქლია... მთელი ხალხი პირდალებული შემომცქეროდა, ეს ვინ ყოფილაო.
დავცალე და ასე ვიცი მე-თქვა, დავაყოლე. იმხელა ტაში ატეხეს, ჩემი
თავი გიორგი სააკაძე მეგონა.

უფროსს, ეტყობა, ბევრჯერ ჰქონდა მოსმენილი გრიშასაგან ამგვარი
ამბები.

— მაგი უველაფერი კარგი, მაგრამ ახლა რამდენი ქულა გვაქვს ჩვენ?

— ოცდაოთხი. ერთი მაგდენი რომ მეორე წრეში ავიღოთ, ჩემპიონი
გავხდებით და ისაა!

ყარამანოვიჩი გრიშას უკვე ალარ უსმენდა, იგი ჩემპიონობაზე ფიქრმა
გაიტაცა. თუ ლმერთი ოქროს მედლებს გაიმეტებდა, რამხელა ბეღნიერება
ელოდა წინ, რა სადლებრძელოებს დაახვავებდა სუფრაზე! გამარჯვება მი-
სი საპროექტოს თანამშრომლებსაც შემოქმედების ახალ სტიმულს მის-
ცემდა, შეიქმნებოდა ახალი პროექტები, რომელთა მიხედვით აშენდებო-
და ახალი სახლები და შიგ ახალი მცხოვრებლები შევიღოდნენ, გადაიხ-
დიდნენ მერე ისინი ახალმოსახლობას, ასწევდა ყარამანოვიჩი ჭიქას და
ამაყად იტყოდა, დიახ პატივცემულო კვერეთელებო, ეს სახლი ჩვენი პრო-
ექტითა აშენებული... მიტომაც გამოვიდა ასეთი მშვენიერი.

პროექტმა ვაჩე ვაჩეიშვილი გაახსენა და ისე გააურეოლა, „საეროს“
დალევისას რომ იცოდა ხოლმე.

მაინც რამ შეაძლა ასე ვაჩე ვაჩეიშვილი? თხოვნით არ შეუწუხებია
როდესმე, ზის თავისითვის და კაცს არაფერს უშავებს... არაფერს უშავე-
ბსო, ტყუილია მაგი! სიმართლის მოყვარული ვარო და ხალხს უბუნტებს...
საკუთარი თავისითვის ვერ მოუვლია და სხვისი დაცვა უნდა. მოკლელ,
არც ზრდილობა აქვს და არც უფროს-უმცროსობა იცის, ერთ სიტყვას
არ შეგარჩენს, იმისთანას გეტყვის, მაღას წაგიხდენს და უმტკიცე მერე
ცოლს, რატომ არ ჭამ სადილს ოჯახში.

ყარამანოვიჩის ფიქრები ახლა სამსახურიდან სახლში გაფრინდა. ცუ-
ცა უკვე ბაზრიდან დაბრუნდებოდა, კარგი სუკი თუ იშოვა, საღილად ერთი
კაცის დაპატიუებაც შეიძლება, სახლის ღვინოს გაასინჯებს და ცოტას შე-
ჭურჭებიან. მერე ყავას დააყოლებენ და ჭორებს მოუყვებიან ერთმა-
ხეთს. როგორ გააფორმებს ახლა ყარამანოვიჩი თალიკოს და ვალიდას
ჩეუბს! ცუცა იმ წამსვე მეზობლებში გადავა და ახალ ამბავს შეატყობი-
ნებს, მეზობლები კიდევ სხვა მეზობლებს ეტყვიან და ხეალისთვის ეს ამ-
ბავი მთელ კვერეთს ეცოდინება, ერთ დღეს სალაპარაკოდ ეყოფათ. მერე
ლმერთია მოწყალე, ან ვინმე ცოლს გაშორდება, ან ვინმეს სამსახურიდან
მოხსნიან და ახალი თავშესაჭრევი გამოჩნდება.



ფიქტურული გართული უფროსი გრიშამ შეუმჩნევლად დატოვა დატოვა დანეტილან გამოვიდა. თვითონ რომ კარგ ხასიათზე იყო, თალიკოსაც ამი-ტომ ჰქონდა, გული რას გიშვება, კიდევ ხომ არ გაწუხებსო.

თალიკოს ზედაც არ შეუხედავს.

— აბა გავიაროთ, უსაქმოდ ნუ გავჩერდებით! — ისე უთხრა, თითქოს გრიშას კი არა, მაცივარს ელაპარაკებაო. ამ მაცივარში ყარამანოვიჩის ბორჯომი ელაგა.

— ორ ბილეთს იშოვიდა კაცი მეორე სეანსზე, გადასარევი სურათია თურმე, ავტომობილში არ ჩაჯდეო.

— ცოლ-შვილი როგორ გყავს ოჯახში, გრიშა ბატონო?

— რომ დამცინი, არ შეიძლება თანამშრომელმა თანამშრომელს კინოში და-ძმურად წასვლა შესთავაზოს? — გაიკვირვა გრიშამ.

— მერე ცოლის არ გეშინია?

— ქალაქგარეთ კლუბში თუ წავალთ, საშიში არაა.

— არც ჩემი გეშინია? — თვალი გაუსწორა თალიკომ.

— შენი კი მეშინია.

— ხომ არ დაგვიწყდა, რამდენი წლისა ხარ?

— ვაჩერე ცოტა უფროსი კი ვარ, მაგრამ...

— შენ ვაჩეს თავი დაანებე!

— მე კი დავანებებ, შენ იკითხე, თორემ...

— კვლავ გინდა გულზე გამხეთქო? — ხმას აუწია თალიკომ — და-გავიწყდა აქ რომ ვეგდე უსულოდ?

გრიშა მაგიდისაკენ გადაიხარა.

— ერთ რაღაცას გეტყვი, მაგრამ, იცოდე, არ წაიქცე.

თალიკოს გადაწყვეტილი ჰქონდა, რაც შეიძლება მკაცრად ელაპარაკა, მაგრამ ქალურმა ცნობისმოყვარეობამ ბოლოს მაინც ხმა შეურბილა.

— რა უნდა მითხრა ასეთი?

— მოსწი აქეთ ყური! — და გრიშა ჩურჩულზე გადავიდა.

— ტყუილია მაგი და მეორეჯერ არ გამაგონო! — თითქოს დაბეჭითებით თქვა თალიკომ, მაგრამ გრიშამ მშვენივრად იცოდა, რა ახალი დარღი გაუჩინა ქალს მისმა სიტყვებმა.

თალიკოდან წამოსული გრიშა ვალიდას მიადგა.

— ვიყლავთ თავს ხომ, ლამაზო!

— რა ბრძანეთ, გრიშა ბიძია? — იკითხა ლამაზმა.

— მოსწი აქეთ ყური, ბიძიკო.

ვალიდას ყური არ მიუწევია.

— მაგი ვიცი უკვე მე!

— რა იცი? — გაუკვირდა გრიშას.

— ვაჩე რომ ჩემთვის გიუდება.

— ვინ გითხრა მერე?

— ვაჩებ.

— ვაჩე კანტის ფილოსოფიას კი აგიხსნიდა, მაგრამ მაგას არა, — სი-
ცილი აუტყდა გრიშას და ამ სიცილის მიზეზით სხვებიც დაინტერესდნენ.

— რა მოხდა ამისთანა, ჩვენც შეგვატყობინეთ, — მაგიდიდან წამოდ-
გა სერაპიონი.

— გრიშამ კინოში წამოსვლა შემომთავაზა, — აუხსნა ვალიდამ.

სერაპიონმა ხელი ჩაიქნია, რა მწარე ენა გაქვსო. გრიშა თამაზთან მი-
ვიდა და უთხრა:

— შენ, ბიძიქო, მართალი არ გეგონოს, რაც ვალიდამ თქვა.
თამაზმა ვააფრთხილა.

— სხვათა შორის, მე პირველთანრიგოსანი მოკრივე გახლავართ.
გრიშამ იმ წამსვენახა გამოსავალი.

— შენთან რინგზე გამოსვლა არ მომიწევს, სხვადასხვა წონისა ვართ.
სიტყვამ მოიტანა და, გამოსავალს გრიშა ყოველგვარ სიტუაციაში
ახერხებდა. ქალაქში კაცი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. კვაჭობას-
თან ერთად გრიშა იმასაც ამტკიცებდა, ქალებში დიდი გასავალი მაქვსო,
მაგრამ მისი დონეუანობა საკუთარი მეუღლის გარდა არავის სჯეროდა.

სერაპიონის მაგიდა საერთო ოთახის კუთხეში იდგა და გრიშა ახლა
იქ გაჩერდა.

— იცოდე, ყურს არ მოვწევ, ისე მითხარი, — გააფრთხილა სერაპი-
ონმა. სანთებელა რომ აჩუქა, ის თუ ალაპარაკებდა გაბეჭდულად.

— იქნებ არ მინდა ყველას გასაგონად გითხრა, — ეწყინა გრიშას.

— მაინც ქვეყანას მოსდებ და რა მნიშვნელობა აქვს.

ასეთ სიტყვებს გრიშა არ მოელოდა.

— ესე ივი, მე ენის მიმტანი კაცი ვარ, არა?

სერაპიონმა უკან დაიხია.

— მასე არ მითქვამს მე.

— ზოგიერთებს ავიწყდება, განყოფილების უფროსი ვინაა აქ!

— რა გაბრაზებს, შე კაცო, ამისთანა რა ვთქვი, — შეწუხდა სერაპი-
ონი.

— დისციპლინა მოიშალა და მეტი არაფერი! სად არის ამდენ ხანს
ვაჩე ვაჩეიშვილი?

მართლაც სად უნდა ყოფილიყო ამდენ ხანს საპროექტოს რიგითი თა-
ნამშრომელი, როცა უფროსიც კი რა ხანია კაბინეტში იჯდა.

ვაჩე ვაჩეიშვილი ჰუმანური ტრადიციების კაცი იყო და საპროფესიო მეცნიერი რეჟიმი მანამანც გულებ არ ეხატებოდა. მართალია, ობიექტური მიზეზების გამო სამსახურში ხანდახან ავგიანებდა, მაგრამ ამ დანაკლის ბეჭითი შრომით სწრაფად ანაზღაურებდა. არასოდეს დარჩენია თავისი საქმე გაუკეთებელი.

მგონი უკვე გითხარით, რომ ამ დილით ვაჩეს წყლის კიოსკთან მოვკარით თვალი. როცა წყურვილი მოიკლა, წიგნის მაღაზიაში შეიარა, რაც ახალმოსული ლიტერატურა იყო, ყველაფერი შეიძინა. „ლიტერატურა-ში“ შეგიძლიათ როგორც ტექნიკური, ასევე მხატვრული წიგნებიც იგულისხმოთ. ვაჩე ადგილობრივი მწერლების წიგნებსაც არ ტოვებდა წაუკითხავს, თუმცა სუფრაზე ყველას პირში ეუბნებოდა, უნიჭობი ხართ და ქალალს ტყუილად აფუჭებოთ. მწერლები ვალში არ რჩებოდნენ, სვეტიცხოველი არც შენ ავიშნებიაო.

პირველი, ვისაც წიგნებით დატვირთული ვაჩე სამსახურში შეხვდა, თალიკო იყო.

— უფროსს არ უჰკითხივარ? — თვალით ანიშნა ყარამანოვიჩის კაბინეტზე.

— გამარჯობა! — შეახსენა თალიკომ.

— სოფელში ხომ არა ხარ, გამარჯობას ყოველდღე რა გათქმევინებს! თალიკომ აუხსნა.

— გამარჯობა ყოველდღე უნდა თქვა, წვერიც ყოველდღე უნდა გაიპარსო.

— მე წვერს ყოველ მეორე დღეს ვიპარსავ.

— მაგი ვიცი მე.

ვაჩემ იაზრა, ჩხეუბის მიზეზს ეძებსო.

— აბა კარგად იყავო.

თალიკომ ვეღარ მოითმინა.

— ნამდვილი დინოზავრი ხარ, მიუხვედრელი დინოზავრი!

— სხვათა შორის, ადამიანი მაიმუნიდან წარმოიშვა, — შენიშნა ვაჩემ.

— წყალი არ გაუვა, ორივეს ერთი წინაპარი გვყავდა!

თალიკოს რომ ვაჩე მოსწონდა, მთელმა საპროექტომ იცოდა, ხოლო ვაჩეს რომ ვალიდა მოსწონდა, ამასაც ბევრი ხედებოდა გუმანით, თუმცა კონკრეტული ფაქტები არავის მოეპოვებოდა. ამიტომ ზოგჯერ ვალიდასაც ეჭვი ეპარებოდა, იქნება ყავაზე რომ მირჩიეს, მართალი არ გამოდგეს და თამაზს ხელი არ უნდა გავუშვაო. კაცმა რომ თქვას, არც იყო ხელგასაშვები, ვაჩეზე უფრო ლამაზიც იყო და ახალგაზრდაც. ამ უპირატესობის

მიუხედავად, თამაზს გული საგულეში მაინც არ ჰქონდა და სიმთვრალეში ვაჩე ვაჩეიშვილს ხმამაღლა ელაპარაკებოდა.

სერაპიონმა რომ შემოსული ვაჩე დაინახა. ოთარიჩს ჩემი სალაშიო, მიაძახა.

— ხომ გითხარი, ჩემთან იჩიბას შეეშვი მეთქი! — დაუბლვირა ვაჩემ და სკამი გამოსწია, — სანამ დავჭდებოდე, გეკითხებით, ნემსი ხომ არ მიგიმაგრებიათ?

— როგორ გეკაღრება! — იუარა სერაპიონმა.

— არც წყალი დაგისხამთ?

— მასეთი ხუმრობა ჩვენთან უკვე აიკრძალა! — ისე დაბეჭითებით თქვა გრიშამ, თითქოს არც კი ახსოვდა, სერაპიონს წინა დღეს რომ პაპი-როსში თოფის წამალი ჩაუყარა.

— კი მაგრამ, ვინ აკრძალა? — დაინტერესდა ვაჩე.

— შევწყვიტოთ მაგ თემაზე ლაპარაკი, საჭმე გვაქვს აქ გასაკეთებელი!

— გრიშა, შეგიძლია უფროსს მოახსენო, ვაჩე ვაჩეიშვილმა სამსახურში დააგვიანა-თქვა.

გრიშამ უცებ იფეთქა.

— შენ გგონია, ვერ მოვახსენებ? რაც მევალება, ყველაფერს გავაკეთებ!

სხვა დროს ამ სიტყვებზე ვაჩეც კაი მაგარ-მაგარს ეტყოდა, მაგრამ ახლა რატომღაც დაუყვავა.

— ყოველდღე რატომ გინდა ვიჩხუბოთ, ჩემო გრიშა, არ ჯობია ერთ-მანეთს გაღიმებული ვუყუროთ?

— უმცროს-უფროსობა არ იცი, ვაჩე, შენ და იმის ბრალია ყველა-ფერი!

— ორი უფროსი ერთ პატარა დაწესებულებაში ნამდვილად არაა საჭირო, აჯობებს ყარამანოვიჩს დაუთმო ჩემი თავი.

სანამ გრიშა საპასუხოს იტყოდა, სერაპიონმა სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

— რა მაგის პასუხია, ოთარიჩ... ბატონო ვაჩე, და ხალხს რომ ნერვები აქვს აშლილი, რაღიაცის ბრალია მაგი?

ვაჩემ სერაპიონი დაამშვიდა.

— ნუ გეშინია, ჩვენისთანა ხალხს რაღიაცია ვერაფერს დააკლებს!

— რა ვიცი, გული გამიხეთქეს, მზეს ჭორფლი გაუჩნდაო, კალიები გამრავლდაო, ზღვაში ტანი არ დაიბანოო... რა გვეშველება, თუ იცი?

სერაპიონის ხერხმა გასჭრა, კონფლიქტს მიღწეული სიტუაცია განადგურდება.

— ძველი ბერძნები იტყოდნენ, ბედისწერა განაგებსო ყველაფერს, ჩემო სერაპიონ... მათვის სამყაროს საიდუმლოება ამოუხსნელი იყო, თუმცა დღესაც, ატომის საუკუნეში, განა ძველ ბერძნებზე მეტი ვიცით რაიმე? — დაიწყო ვაჩემ და სერაპიონს გალაქტიკის საიდუმლოებანი გადაუშალა. ყველანი სულგანაბულნი უსმენდნენ. თამაზს შური კლავდა, ამის ხახევარი რომ ვიცოდე, ვალიდა ვეღარ დამიმაგრდება.

სერაპიონმა აღტაცება ვერ დამალა.

— შენისთანა ნასწავლი კაცი დასვა უნდა პურ-მარილზე და ალაპარაკო ლამაზად!

— მაგისთანა კაცი ჩვენს პურ-მარილზე როგორ წამოვა, — უკბინა გრიშაშ.

— დამპატიუე ოდესმე და უარი გითხარი? — იყითხა ვაჩემ.

— შენ ჩემთან ღვინის სმას როგორ იკადრებ!

ვაჩე არ მოეშვა.

— რომ ვიყადრო?

— გამომიჭირე ხომ სიტყვაში!

— არ წახდე, გრიშა, უარი არ თქვა, — შეაქეზა სერაპიონმა.

— არ შემაშინოს ახლა ერთბაშად!

— იცოდე, მარტო მე არ წამოვალ, — გააფრთხილა ვაჩემ.

— აბა, ნათესავებს ხომ არ დაგიპატიუებ?

— ნათესავები რა შუაშია, აგერ ჩვენი ლამაზი კოლექტივით გესტურებოდით.

— არაა ცუდი სიტყვა! — გაეხარდა თამაზს.

გრიშამ ხელი ასწია.

— მტერი ჩავარდა თქვენს პირში! ყველამ გაიგონეთ, კვირას მთელს ჩვენს ლამაზ კოლექტივს ოჯახში ვახშმად ვპატიუებ!

გრიშას სიტყვებს თამაზი და ვალიდა ტაშით შეხვდნენ. მხოლოდ სერაპიონმა გამოვქვა ეჭვი, შაქრიანი ღვინო გექნება.

— ვერ დამიწუნებ, რვა ნომრის მასალაა, — დაამშვიდა გრიშამ.

შხამი რომ იყოს, მაინც დავლევო, თქვა ვაჩემ და რადგან ეს საკითხი მოგვარებულად ჩათვალა, ახალნაყიდი წიგნები გადაშალა.

— ამდენი ფული სადა გაქვს, ვაჩე ბატონო, ყოველდღე რომ წიგნებს ყიდულობ? — დაინტერესდა სერაპიონი.

— შენ არ მასესხე!

თამაზი შეეკითხა, ერთ პატარა ოთახში ამდენი წიგნები როგორ გვევაო.

პატარა ოთახი რომ ახსენეს, სერაპიონმა ვეღარ მოითმინა.

— ჩემზე პატარა ბინა, ალბათ, არავის ექნება, ოთხი სული საკუჭნაოსხელა ოთახში გართ გამოყეტილი...

— მერე ხომ გპირდებიან, — დამშვიდა თამაზმა, — მეც პატარა ოთახი მაქვს, მაგრამ იმედით ვცხოვრობ.

სერაპიონმა ხელი ჩაიქნია.

— შენ რა გენალვლება, ჩემო ბიძიკო, ცოლი არ გაწუხებს და შვილი. ასეთი სიტყვები თამაზს ბევრჯერ ჰქონდა მოსმენილი.

— როგორ გონიათ, სულ ასე ცარიელ-ტარიელი ვივლი, რას იტყვი შენ, ვალიდა?

ვალიდამ უცებ მოუჭრა.

— მე იმას ვიტყვი, რომ ძალიან დიდი მასშტაბით ზომავ საკუთარ თავს... უფრო მინიატურული უნდა იყო, ეპოქის ასე სჭირდება!

თამაზი მაინცდამაინც ენამოსწრებული არ გაეჩინა ღმერთს, მაგრამ სხვა სიტუაციაში ამ სიტყვებს უპასუხოდ არ დატოვებდა. ახლა რომ პირში წყალი დაიგუბა, იმის ბრალი იყო, ვალიდას გამოჭერილი ჰყავდა და არ უნდოდა ახალი ჩეუბის საბაბი მიეცა.

ამასობაში ოთახში ყარამანოვიჩი შემოვიდა და კითხვით გართულ ვაჩეს პირდაპირ თავზე დაადგა.

— ახალ პროექტს ვამუშავებთ ხომ? — ისე მიამიტად იკითხა, რომ ვრიოშას გაუკვირდა, ამისთანებს ვინ ჭამს ახლაო.

ვაჩემ უფროსს აუხსნა, პროექტი კი არა, ახალი წიგნებიაო.

— წიგნების კითხვა შესვენების დროს-მეთქი, — საჩვენებელი თითო უჩვენა ყარამანოვიჩმა, — რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, ბრძანება გამოვაკრა თუ რა ვქნა ახლა?

— პაპიროსი მომაწევინეთ.

ეს სიტყვები ვაჩემ მკაფიოდ წარმოთქვა, მაგრამ სერაპიონმა იფიქრა, მომეურა, თორემ უფროსს როგორ გაუბედავდაო.

— რაო? — წარბები ასწია ყარამანოვიჩმა.

ვაჩემ დაამშვიდა.

— უფროსის ღირსება, ამით არ დაეცემა... სხვათა შორის, ფორდიც აძლევდა თავის ხელქვეითებს პაპიროსს.

ყარამანოვიჩმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და სიგარეტი გაუწოდა. ვაჩემ მადლობა გადაუხადა.

გრიშას ეგონა, ავტორიტეტის ამბავია და ერთ სიგარეტს ახლა მეც

უმიაწოდებსო, მაგრამ მოტყუვდა. ყარამანოვიჩი ისევ ვაჩეს ელაპარაკე

ერთობლივ
გამოიყენეთ

ბოლდა.

- ერთი რაღაც უნდა გითხრათ და წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?
- გიშენთ, ბატონო ლევარსი.

(ვაჩე უფროსს ყოველთვის ბატონოთი მიმართავდა და ყარამანოვიჩს ხანდახან ეჭვი ეპარებოდა, ხომ არ მაბითურებს მაგი შეჩვენებულიო).

უფროსი ბოლთას სცემდა ოთახში და ყველას გასაგონად ლაპარაკობდა.

— როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ორგანიზაცია სახლს აშენებს... შეიქმნა გარკვეული აზრი, რომ ბინის მისაღებთა პირველ სიაში ვაჩე ვაჩე-იშვილი შევიტანოთ.

ყველაზე აღრე გრიშა გამოერკვა.

— ნამდვილად კაცური საქმე გიქნიათ, ყარამანოვიჩ... ვაჩე, მომილო-ცავს!

ვაჩეს რომ სახეზე დიდი აღფრთოვანება ვერ შეატყო, უფროსს საშინლად გაუქვირდა.

— საწყვენი ხომ არ გაკადრეთ რაიმე?

— პირიქით, — უთხრა ვაჩემ, — მაღლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ბინა დღეს ჩემზე უფრო სერაპიონს სჭირდება.

— სერაპიონის საკითხს შემდეგ განვიხილავთ.

— მე რომ მოვკვდები, მაშინ, ყარამანოვიჩ? — ამოიკვნესა სერაპიონმა.

უფროსმა თავი მისკენ მიაბრუნა.

— თქვენ, მეონი, რაღაცა თქვით?

სერაპიონი ბრინჯივით დაიბნა.

— არაფერი ისეთი, ყარამანოვიჩ, მე მეგონა, რომ...

ყარამანოვიჩი ახლა სერაპიონს კი არა, ჭერს უყურებდა.

— რაკი ვაჩე ვაჩეიშვილი უარზეა, ცხალია ვერ დავაძალებთ, — თქვა მან და კარი გაიხურა.

ყველა ვაჩეს შემოეხვია, ამისთანა სულელი თუ იყავი, ვერ წარმოვიდგენდით. სერაპიონი ხომ სულ მუშტებს ირტყამდა თავში.

— ჩემი გულისათვის რატომ უთხარი უარი... ახლა აღარც შენ დალარც მე ხომ?

ვაჩე ნაპოლეონის პოზაში იდგა და საპროექტოს ნაცვლად თავი ვარტერლოოს ველზე წარმოედგინა.



— შენ გულს ნუ გაიტეხ, — დაამშვიდა მან სერაპიონი, — თამაზმა სერაპიონი
მართლე თქვა, კაცი იმედით ცხოვრობს ქვეყანაზე... ჰო მართლა, გრიშა,
პურ-მარილის ამბავი ხომ არ დაგავიწყდა?

— შენ კიდევ საპურმარილოდ გაქვს საქმე? — გაუკვირდა გრიშა.

— ქეიფი აწი იწყება... ჰოდა, ხვალ საღამოს მოდის შენს ოჯახში
ჩვენი ლამაზი კოლექტივი, იცოდე, შაქრიანი ლვინო არ გვასვა, სერაპიო-
ნი შეიძრალე!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პ ჭ ა რ ა ჭ ი

ჩემს მშვენიერ აჭარაში
იქნებ, იქნებ, ახლა, ახლა,
ქარს ძლიერ ღლის წვიმის თქეში,
ქარს სულში კლავს რაღაც დაღლა.
წვიმის წრიალს მისდევს მაღლა.
მისდევს, მისდევს, ნისლის გლოვა
იშლის სველი თმების გროვას.
ჩემს მოხატულ აჭარაში
ციცქნა პალმას წვიმა ლუმპავს,
ვაი თუ ჩემი გვირილები
თითო-თითო დამეღუპა...
ან იქნების ისევ, ისევ

მზე არიგებს სიხალისეს,
მზე იცინის ისე, ისე,
ზღვა ივიწყებს მწუხრს და
დაღლას,
თითქოს ჭავრი არ ჰქონია.
დაბლა, დაბლა ფრენს თოლია,
ო, ისეთი მზეა მაღლა,
ოქროს ბადეს შლიან ზღვაში,
ეს-ეს არის გადაირბენს
თეთრი, თეთრი ღრუბლის რაში...
ხან ასეა, ხან ისეა
ჩემს პატარა აჭარაში.

* * *

წყარო არა ვარ ჩამოვიპარო,
ჩემი ოცნების წკრიალა წყაროვ,
არცა ბინდი ვარ მოვიდე ჩუმად
და თბილი ნამი შემოგაყარო.
წვიმაც არა ვარ, მაისის წვიმა,
ვიქცე წვეთების ცხარე ჩურჩულად,
ნაკადად ვიქცე, მოვვარდე ჩუმად,
მოვყვე გალუმპულ ფოთლების ღერებს,
ჩემი ოცნების უშრეტო ღელევ!

ბ ა ხ ს ო ვ დ ე ს

სევდამ ცრემლი იცის.
 მწუხარებამ — დასასრული.
 ცრემლმა — დაშრობა.
 უსაზღვროა —
 ბეღნიერება.
 სიხარული,
 ახალგაზრდობა.
 როცა ეხურება სხივთა ყავარი
 ღრუბლების ფიცარს
 და ალიონზე მზე გამოსცრის
 ნაცარა ზეცას,
 თბილი ცვარ-ნამი შეაკრთობს ბალახს,
 კორდს გაუკრთება რული,
 სიცოცხლე დადის დედამიწაზე
 ტკივილით, სიყვარულით...
 ადამიანო, ქარაგმულ სულში
 ისმის ბუნების ჰიმნი,
 ქვეწარმავალთა ძრწოლვაც...
 ცოდვა და მადლი მედება ვალად
 სამყაროს წუთის ხსოვნას,
 ნუ დაივიწყებ ცოდვილი მიწის
 პატარა ცრემლის წონას...
 საფიცრად გყავდეს ქვეყანა შენი,
 დედის ალერსი თბილი,
 როგორც რუსთველზე ჭადრები დგანან,
 აგრე დაუდექ თბილისს.

პ რ ა ხ ს ო ვ დ ე ს

ზენა ქარის,
 ქვენა ქარის,
 ქარიშხალი სულში ქროდეს
 შენ არ მოხვალ ვიცი, ვიცი,
 არც მე მოვალ არასოდეს,

თუნდ წამწამის ყურყუმ ღერზე,
 თითო-თითოდ ცრემლი თრთოდეს,
 ვიცი, ვიცი, შენ არ მოხვალ,
 არც მე გიხმობ არასოდეს.

ღვარად, ღვარად, ნიაღვარად
გადიღვარა ველი,
ველით წვიმის გადარებას,
მოუთმენლად ველით.
მოდის, მოდის,
ასხამს, ასხამს,
ჩქარობს, ჩქარობს წვეთი

და ნისლების თეთრი ბადე
ლურჯ ნიაღვრებს ერთვის...
ცა სულ მალე გაიდარებს,
ეჭ, რა ვუყოთ გულებს,
ღვარად, ღვარად, ნიაღვარად;
ცრემლად დაღვარულებს..

შენ და ტირიფი

რად ჩაჩოქილა ტბაში ტირიფი,
რად გარინდულა ჩქამი,
ღრუბელ-ღრუბელა ზეცა ამდგარა
და სადლაც მიიჩქარის.
გულს ეშინია, სულ მარტო დავრჩით
მე და ტირიფის თმები,
საით წავიდეთ, ფიქრო მაღალო,
მიჩვენე შენი გზები.
მთვარე მოგვისწრებს, ღრუბლის ჩრდილები
ტბაში აქა-იქ მოთოვს,
შენი თითების თრთოლვა ჰქონია
მტირალ ტირიფის ფოთოლს.

ს ა გ ა ლ ო პ ე ლ ი

ქართლის ცაო — მთვარის სევდავ,
ელვავ, ელვავ, ღრუბლის ელდავ,
ქარო, ქარო, ქარტეხილო,
მწვანე ხევში ჩაგრეხილო,
ნისლო, ნისლო აბოლილო,
გორგასალის სულის დენთო,

ბებერ ციხის გულის პირის
სასოებავ ერთადერთო.
ბინდის ცვარით ავსებულო,
ჯამო, ჯამო დალოცვილო —
ქართლის დედის წმინდა ჯამო,
ნარიყალას ციხის თავზე



შეგვუფულო ღრუბლის ჭარო,
ვერ გყურები, ვერ გცილდები,
რომ ღალატი არ დამწამონ.
ვინ გაყიდის ერის მარილს,
დედის ცრემლებს ვინ იყიდის!
შაიათნოვას მხარზე დვია

სამთა ძმათა ძმობის ხილი,
ყველა გზებმა ჩამიარეს,
რომ საწუთროს გზა ამევლო,
გულზე მხვდება თქვენი ხმლები,
თქვენ, სამასო არაგველო!

შესხორ აომანაძე

52 ძგეუნის პაცი

შემოდგომის მზით გამობარი დღე იდგა.

ბიძია დურსუნი ეზოში, მსხლის ძირას ჯორკოზე ჩამომჯდარიყო და წალდის ახალ ტარს ნამგალა ჯიბის დანით ასუფთავებდა.

ერთი კვირა გადაულებლად წვიმდა. იმ დიღით გამოიდარა, და მერე როგორ, ცაში ღრუბლის ნატამალიც არ ჩანდა. ფერდობებზე ხალხი გამოფენილიყო. ზოგი სიმინდს იღებდა, ზოგი მოტეხილ ტაროებს არჩევდა. ვინ შეშას ჭრიდა მახლობელ ტყეში და ეზიდებოდა. ნამდვილი შემოდგომის სანატრელი, ოქრო დღე იდგა, სოფელში უქმად კაცს ვერ ნახავდით.

დურსუნ ბიძიასაც უშოვია საქმე, აბა რა ქნას, სხვა არაფერი არ შეუძლია. ცოდოა ასეთი შემდგომის მზიანი დღის დაკარგვა... თვალი ორსართულიანი სახლისაკენ გაურჩის — შუშაბანდში შვილიშვილები დახტიან. დედა ხან ერთს უჯვრდება და ხან მეორეს.

„გაწვალდა ქალი, — გაიფიქრა მოხუცმა, — ამათ პატრონს გარეთ ფეხი ვერ გაუდგამს... ჰო, რა ქალი მოიყვანა ბალანამ, ასეთ რძალს არ ვნატრობდი თავიდან?! სტუმრის მიღებაც იცის და ნათესავის... ძალვანი ქალია. ასეთი ქალი ქვაზე დაასახლებს კაცს, მერეც, ხუთი ბიჭი არ დაკარჭლა?!"

ბიძია დურსუნს ნაოჭიან სახეზე ღიმილი აუთამაშდა, ყაბალახი შეისწორა, წალდის ტარს ხელი გაუსვ-გამოუსვა, კარგად თუ გავასუფთავეოდა ახლა მეორე წალდის ტარი აიღო. იმ დროს მაღლა, მანდარინის ბალში

დეხის ხმა მოესმა, აიხედა, — თავისი ძმისშვილი, ორმოც წელს გადაც ლებული ისმაილი მოდიოდა, ხელში დიდი ნამგალი ეჭირა.

— ამ მზიან დღეს სახლში ხარ, ბიჭი?! — ირონიულად შეეკითხა მოხუცი, — შენსავით ღონე რომ მერჩოდეს...

— წუხელ სტუმრები მყავდა, დურსუნ ბიძია, და გამოვთვერით. ამფერი დაშვებული წვიმები იყო და დღეს თუ გადაიღებდა, არ მეგონა, ახლა გამელვიძა, მზით გაწიწინებული რომ დავინახე მიღამო, ნემსნაკრავივით წამოვვარდი ლოგინიდან. ბაღნები სიმინდის ასაღებად არიან წასული. აპა, მეც მივდიგარ.

— ვინ სტუმრები იყვნენ? — შეეკითხა მოხუცი.

— ცოლისძმები.

— რა საქმეზე?

— ქორწილიდან გამოიარეს.

— აი, იმ ბაღნის ქორწილში იყვნენ?! — ჩაიცინა მოხუცმა.


— ჰო, დურსუნ ბიძია, იმ ბაღნის ქორწილში. — მასაც ჩაეცინა ულვაშებში. — ბაღანაც კი გააბეჭეს... რა ვიცი, ყველამ თავისი საქმე იცის... ისე, დრო დიდად შეიცვალა, ყველა გაეშმაკდა დღეს. მასზე ოცი წლით უფროსი ქალი არ მოიყვანა იმ ბაღანამ?! იმ ქალის ძმაი, ჩვენს კოლექტივში თავმჯდომარედ რომ არის, მგონი ამიტომ გააკეთა ეს საქმე ბიძამისმა. ობოლი ბაღანაია, მასთან გაიზარდა და ხედავ რა ქნეს?! თავმჯდომარის სიძე გახადეს. ახლა კოლექტივის ბაღში მოუზომავენ მიწას, გაამდიდრებენ, ბიძაც ისარგებლებს თავმჯდომარის მოყვრობით, მარა, ის ბაღანაი თუ იცხოვრებს იმ დედაბერთან, ეს მითხარი შენ.

— მდა, — მოხუცი ძმისშვილს შესციცინებდა თვალებში.

— ხო, გაეშმაკდა ხალხი. კაცის გლახა ოქროდ ჩანს. დამპალ ტბორს აბა რად არ უერთდება მდინარეები? ყველა დიდი ზღვისაკენ მიიწევს. ჰოდა, ასეა ცხოვრებაც, — ყველა თავისთავზე ზრუნავს, აბა, რა საჭირო იყო მეტედამ ბაღანაი რომ მოანათვლინა იმას...

— მოანათვლინა თუ ხელის მომკიდედ დააყენა?! — შეესიტყვა მოხუცი.

— ხელის მომკიდედ, დურსუნ ბიძია, ხელის მომკიდედ... წუხანდელი ღვინისაგან თავი მიხურს... მამობილად გაუხდა ბაღანას და კოლმეურნეობის სატვირთო მანქანა საკუთრად ჩააბარა. სულ ხალტურაზე დადის. ახლა კი იმ ობოლი ბაღნის ბიძებმა ნახეს საშუარი. ბაღანას ისე მოიცილებენ სახლიდან, რომ ბევრს არაფერს მისცემენ... თავმჯდომარე კოლმეურნეობის ბაღში დაასახლებს. დიდ სახლს გაუკეთებს. არა აქვს, უჭირს თუ რა! რას იზამ, ასე გაეშმაკდა, დურსუნ ბიძია, ხალხი.



— შენი ცოლისძმებიც დაპატიჟეს ქორწილში? მერე საიდან საც?

— ყველას მოუსვეს ხელი, ვისთვისაც კი ერთი გამარჯობა უთქვამთ. ჩემი ცოლისძმები შორიდან იცნობენ იმ თავმჯდომარეს, სადღაც, რომელიღაც კრებაზე დაუნახავთ... ამ ობოლი ბალნის ბიძებსაც ასე, შორიდან... ჰოდა, ამ გზით ორი „ვოლგის“ ფული შემოსვლიათ... ასე თქვეს. „ვოლგა“ რაფერ გაძვირდა ხომ იცი!

— ჩემმა ბაღნებმაც ასე თქვეს, ორი „ვოლგის“ ფული მოუკიდათო.

— ჰო, კიდევ ახალი, სულ ახალი ამბავი, — თქვა ისმაილმა, — აერ ჩვენი სკენდერაი რომ არის, შაქირების ბიჭი, იმის გოგო არ მოუტაცებიათ წუხელის?

— ვისი, ვისი გოგო, ბიჭო? — რატომლაც არ დაუჭერა მოხუცმა.

— დაბლა, სკენდერას გოგო.

— მერე, ვინ წაიყვანა, ბიჭო?

— ვინ წაიყვანა, აგი არ ვიცი, დურსუნ ბიძია, მარა მოიტაცესო, კი ჩივინ. ჩემმა ცოლისძმებმა თქვეს, ქორწილში მოვიდა ამბავიო.

— მერე სხვის განაგონს რომ ამბობ, შენ არ იყავი ქორწილში?

— კი ვიყავი, მარა, ადრე წამოვედი, გულმა არ მიქნა, მეყურებია იმ დედაბრიზა. ხალხიც კი ფრუტუნობდა ხანდახან, ფული რომ მივულოცე, ხელად წამოვედი.

— ჩემს ბიჭს არაფერი არ უთქვამს. — მოხუცმა ყაბალახიანი თავი მოიფხანა, — უფროსი გოგო, იამზეი რომ ერქვა, იგი მოიტაცეს არა?

— ჰო. უფროსი გოგო.

— ვი რას გაიგონებს ყური! იგი ახლა იმ კვირას არ დანიშნა მეზობელი სოფლიდან სურიე შაქარიშვილის ბიჭმა?

— ჰოდა, მოსჭრა თავი კაძახს, შეაფურთხა ყველას! აგი მითხარი შერცხვენაც, აგი მითხარი თავის მოჭრაც, დანიშნულ ქალს რომ წაგართმევს დაცი.

— მდაა, — თქვა მოხუცმა და ჯიბიდან „პრიმა“ ამოიღო, ერთი ცალი ძმისშვილს მიაწოდა, ერთიც თვითონ გააბოლა.

— მეჩქარება, ყანაში მივღივარ, ისედაც დავიგვიანე, — უთხრა ისმაილმა და დიდი ეზოს რკინის ჭიშკარში გავიდა, შარაგზას გაჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ სკენდერ ნიუარაძის ეზოდან დაკლაკნილ ბილიკს ვიღაც თავ-ჩაქინდრული კაცი ჩქარი ნაბიჭით დაჰყვა, მერე ეზოში შემოვიდა და დაფიქრებულ მოხუცს თავზე მოულოდნელად დაადგა. როცა მიესალმა, მხოლოდ მაშინ აიღო თავი მოხუცმა და გაკვირვებული თვალით ჩამოართვა სალამი მეზობელს.

— სკენდერ, ამ დილით რაღაც გავიგე, მართალია? — ჰერიტა მო-
შუცმა.

— თავი მომჭრა, შემარცხვინა გოგომ, დურსუნ ბიძია. დანიშნული
რომ არ ყოფილიყო, ცოტას მაინც გაუძლებდა კაცი, ახლა კი... ახლა
მტრობა ჩამოვარდება გვარში. რა ვუთხრა ბიჭს. თავიდან ფეხებამდე ოქ-
როში ამოავლეს და ხომ ხედავ ყოლიფერს დაპერა წიხლი და სხვას გაე-
კიდა. გოგომ, აბა, შენ მითხარი, ერთს აჭამა სირცხვილი თუ ორს, რაც
ხდება, ქალის შარზე არ ხდება ყოლიფერი?

— მოიტაცეს ამბობ, ჰოდა, ვინ მოიტაცა არ იცი, სკენდერ?

— რავა არ ვიცი. — ნერწყვს ძლივს ყლაპავდა წვერმოშვებული ვა-
ჟკაცი, — სხვას რომ მოეტაცა, იმდენს არაფერს ვიტყოდი, რამიზ ხაბაზის
ბიჭმა არ წაიყვანა?! ჰმ, სისხლი ჯერ აღებული არც კი არის ჩვენში და...
თავს შევაკლავ და გოგოს უკან წამოვიყვან. აბა, მტერს რაფერ უნ-
და დაეუმოყვარდე?

— რომელ მტერზე, რომელ სისხლის აღებაზე ლაპარაკობ, სკენდერ?

— შეეკითხა მოხუცი.

— არ იცი?! შენ კი უნდა იცოდე ეს, დურსუნ ბიძია, დიდბაბუა
აყავს გალახული თურმე იმის დიღბაბუს და მშრალად დარჩია თურმე. მეც
ამიტომ მოვედი შენთან. ყველაზე მოხუცი, ყველაზე უფრო ჭკუის საკით-
ხავი კაცი შენ ხარ ჩვენს სოფელში, დურსუნ ბიძია, და შენ უნდა მომ-
ცე რჩევა.

— ბაღნები საიდან იცნობდნენ ერთმანეთს? თუ არ იცნობდნენ? ---
ეშმაკურად ჰერიტა მოხუცმა.

— წელს ორივემ ერთად დაამთავრა პედავოგიური ინსტიტუტი.

— ხუსივ შაქარიშვილის ბიჭი თუ იცნობდა შენ გოგოს, რომ დანიშნა?

— დაანახვეს თურმე, მარა ამაზე ხომ არ არის საქმე. მე და ხუსივ
ბაღნობიდან ვიცნობთ ერთმანეთს. იმფერი კაცი, მგონი, ამ დუნიაზე არ
მოინახება.

— დაანახვესო, არ გამავონო, კაცო, არც ის, თქვენ რომ ბაღნობიდან
იცნობთ ერთმანეთს. ახლა ის მითხარი, მართლა მოიტაცა? ხალხით, შეია-
რაღებული ვაჟკაცებით დაეცა სახლს, და ისე მოიტაცა, ძალით გაიყვანეს
ქალი? თუ იამზე თავის სურვილით გაპყვა?

— უცხო კაცი არ გაჟაჭანებულა ჩემს ეზოში, ისე გაიპარა გოგო! და-
ნა გამომისვა კისერში, თურმე გუშინ, იმ სასიკვდილემ მთელი დღე ალაგა
რაღაცეები ჩემოდნებში. კაცს არ უკითხავს, რატომ აკეთებდა ამას.

— ნიშნობაზე როგორ დაითანხმეთ?

— მანაც არ იცოდა და არც მე, დაგვეცენ ერთ საღამოს თავზე და

გინდა თუ არაო, ნიშანი შეგვაჩეჩეს. მე მომერიდა ხუსიე შაქარიშვილის
და უარი ვეღარ ვუთხარი.

— და აბა ახლა გაჩუმდი! — სიტყვა შეაწყვეტინა მოხუცმა, — ხუ-
სია შაქარიშვილს ბოდიში მოუხადე, ჩემი ბრალი კი არაა, გოგოს ბრალია-
თქო, უთხარი, შეირიგე. იამზეს კი ხელი შეუწყვე.

— კი მარა, სისხლი ალებული რომ არ არის?

— თუ კაცი ხარ, გაჩუმდი, რომელ სისხლის ალებაზე ლაპარაკობ?!
არაფერი ჩხები არ მომხდარა მათ შორის, ან რა სათქმელია დიდბაბუაშ
რაღაცა ქნა! წალაპარაკდნენ, მეტი ხომ არაფერი მომხდარა მათ შორის.
მართალია, არ შერიგებულან, ისე ჩავიდნენ საფლავში, მარა, მერე რა მო-
ხდა?! მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა. ახლა ერთად, ერთ სასაფ-
ლაოზე რომ არიან დასაფლავებულნი, მგონი, ეს შენ ჩემზე უფრო იცი.

— მდაა, ეხ! — ამოიხრა განერვიულებულმა ვაჟკაცმა. — შენი-
საქმე სხეას რა ენაღვლება — გამწარებით მიახალა მოხუცს და წასასვლე-
ლად პირი იბრუნა.

— მოიცა, სკენდერ, — მოხუცი ადგა და განიერ ბეჭებში ჩავლო ძა-
რღვიანი ხელი მეზობელს, — მასე რეიზა ლაპარაკობ! სხვაი კი არა, კარ-
ის მეზობელი ხარ შენ ჩემი, კაი მეზობელი, კაი კაცი, საკუთარ სულს მი-
რაჩევნიხარ. ჩემმა უმცროსმა შვილმა რომ გააკეთა, მგონი, იმფერი კაცს
არ გაუკეთებია ამ ქვეყანაზე, ვირბინე, ვიტეხე თავი და, სოფელი გავა-
ცინე. ჰოდა, შენაც ჩემსავით არ დაგემართოს. ახლა კი ვარ კმაყოფილი,
მაგრამ წარსულს დაივიწყებ?... იმას ვამბობ, მაშინ რომ გავბეჩდი! ჩემი
ეთერისთანა რძალი, მგონი კაცს არ ეყოლება, სკენდერ!

— ეს კი მართალი თქვი, დურსუნ ბიძია, ეთერისთანა რძალს მართ-
ლა ბევრი ინატრებდა!

* * *

ეს იყო ათი წლის წინათ.

დურსუნმა თავისი ორი ვაჟი სოფელში ცალცალკე დაახახლა, ქა-
ლიშვილებიც გაათხოვა, უმცროსი ვაჟი, თემური თბილისში ექვსი წელი
სწავლობდა, — ზოოვეტერინარული ინსტიტუტი დაამთავრა. თბილისი-
დან რომ დაბრუნდა, რამიზ ინაშვილის ქალიშვილი უნდა ეთხოვა. დურ-
სუნი და რამიზი წინასწარ მოლაპარაკდნენ. იმავე კვირას, როცა საქმე
გადაწყდა, თემურმა მამის უკითხავად ზაბით ზოიძის ქალიშვილს ხელი და-
ატანა და შინ მოიყვანა.

მოხუცმა თოფს დავლო ხელი და მოსაკლავად გამოეკიდა შვილს.. შეზობლებმა დაკავეს, თორემ ნამდვილად მოქლავდა, ეთერს შინ აღარ მოესვლებოდა, არც თემურს დაედგომებოდა სოფელში და თბილისში წავიდნენ.

არავითარ შემთხვევაში არ შევურიგდებიო, იძახდა მოხუცი და თოფს თან ატარებდა. მისთვის რომ გეეითხა, საამისო საბაბიც ჰქონდა. როცა თემური პატარა იყო, დურსუნსა და ზაბითს ზიარი ყანა ჰქონდათ, მოსავალი რატომლაც თანატოლად ვერ გაიყვეს და ჩეუბი მოუვიდათ, დურსუნმა ზაბითი იქვე ყანაში მაგრად მიბეგვა. როცა ეზოში ჩადიოდა, თოფისხმა გაისმა, კიდევ კარგი, დურსუნი ღმერთმა შეიწყალა, ტყვია, რომელიც ზაბითმა ესროლა, ფეხში მოხედა. ჩბილში. ორი წელი ერთმანეთს მოსაკლავად სდევდნენ. რა არ იღონეს, მაგრამ ვერ შეარიგეს ისინი. და ახლა მისმა ვაუმა მტრის ქალიშვილი შემოიყვანა სახლში. თოფს აიღებს ხელში დურსუნი, აბა რას იზამს?!

ხუთი წელი მარტოდ ცხოვრობდა მოხუცი.

* * *

— სკენდერ, ეთერის მაგიერ სხვა ქალი რომ მომიყვანოს თემურმა, სახლს დავტოვებ! ჰოდა, გაჩუმდი, ჩემსავით არ დაგემართოს, არ აჲყვე ეშმაკებს. ორივეს უმაღლესი დაუმთავრებია და ჩვენზე უფრო იციან თავიანთი საქმე. გზას ნუ აურევთ მათ... ჩარჩაბში გახვეული ქალები რომ მოვყვანეთ, თუ გახსოვს? ჩემი დედაბერი ნახული არ მყავდა, მშობლები მიქეს, ქალზე არაფერს არ ამბობდნენ. დავლით და ჭიბონით უშველებელი ხალხი წავედით, სახლში ისე შემოვყვანე, დანახული არ მყავდა. ღამე შევხედე და ცხვირი იყო ცარიელი. აცხონა ღმერთმა, კი ბაღნები კი დამიზარდა. მაშინ გამოუსვლელები ვიყავით. ახლანდელ ახალგაზრდებს კი მთელი დუნია მორებული აქვთ. ახლა, ამ დროში, შენმა იამზემ რომ გააკეთა, ან ჩემმა თემურმა, იგი კი არაა სირცხვილი, არამედ ისე, დაუნახავ ქალს რომ მოიყვან... აგრე საწყალმა რეზომ რომ ქნა, თავმჯდომარის დაი, მასზე ოცი წლით უფროსი რომ მოიყვანა ბიძამისის სურვილით.

— მამა, საღილი მზად არის, სტუმარი შემოაბრძანე სახლში, — აივნიდან გამოსახა მოხუცს ეთერმა.

სკენდერს ბანჯგვლიან, გაუპარსავ სახეზე ღიმილი მოეფინა, ეს კი იმის დასტური იყო, რომ მას დურსუნის ჩეუბა ჭკუაში დაუჯდა. მოხუცმა იგრძნო ეს.

— წავიდეთ, — უთხრა მან მეზობელს, — თითო ჭიქა ღვინო-ღვინით, ჩემო სკენდერ.

— ახლა მე ღვინო მინდა?! — გაიკვირვა სკენდერმა, — უღვინოდაც მთვრალი ხარ, დურსუნ ბიძია, — და გაიცინა.

— ჰო, წავიდეთ. — ღიმილით მიუგო მოხუცმა, — ბალნების კარგი ბედი პირველად აქ, ჩემს ოჯახში დავლოცოთ!

— შენ მართალი ხარ, დურსუნ ბიძია, მართალი. ახალგაზრდა რომ ვიყო, მშობლებს კი არა, მე რომ მინდა იმ ქალიშვილს მოვიყვანდი.

და შემოდგომის ერთ კვირას, მტრის ჯინაზე ღიდი ქორწილი გადაიხადა სკენდერმა. ეს ქორწილი ნამდვილი ქორწილი იყო, არავის უთქვამს, ორი „ვოლგის“ ფული შემოუვიდათო, ოჯახის ნათესავ-კეთილებმა სამახსოვრო საჩუქრები მოიტანეს, სტუმრებმა მოილხინეს, ისიამოვნეს და ნაცნობ-მეგობრებს უყვებოდნენ ქორწილის ამბავს. დურსუნ ბიძიამ იმდენი ქნა, ქორწილში ხუსიე შაქარიშვილი და მისი ვაჟიც მოიყვანა.

უხაროდა სკენდერს, უხაროდა შვილის ბედნიერება.

— ახალგაზრდა რომ ვიყო, მშობლებს კი არა. მე რომ მინდა, მეც იმ ქალს მოვიყვანდი! — იძახოდა იგი და მაღლიერების გრძნობით ეხვევდა დურსუნ ბიძიას.



პ ე პ ლ ე ბ ი

ეჰე, პეპლებო, აპრილი დადგა!
 გამოდით ბაღში,
 გამოდით ველზე!
 მეც იქ მივდივარ,
 მივდივარ, რადგან
 სულშიც ბრიალა აპრილი ჩადგა
 და ყვავილნარში ყვავილებს ვეძებ.
 ეჰე, პეპლებო, თამაში მინდა!
 თითქოს ქვეყანას
 პირველად ვხედავ.
 სიცოცხლე გვიხმობს,
 გავიდეთ მინდვრად,
 თავაწყვეტილი მოლხენა მინდა,
 ვადიდო მინდა ადგილის დედა.
 ეჰე, პეპლებო, აჩქეფდა სისხლი
 და გულს ასკდება
 მთის ნაკადებად.
 დავკოცნოთ მიწა,
 კალთები მისი,
 დავკოცნოთ კვირტზე ფუნჩულა ნისლი,
 დავლოცოთ მზე და მზის დაბადება!

შოთა ასანიშვილი

გ ი გ ი

ძველი სატვირთო მანქანა ისეთი ხმაურითა და ჭაყვაყით დაიძრა, მთელი სოფელი შარაზე გამოისროლა. ამ ჯაბახანის დანახვისას კაცს უეჭველად სიცილი წასკდებოდა: რა ფერის თუნუქისა თუ ხის ნაჭერი არ ამშვენებდა მის ექსტერიერს. შიგნეულობისა ვისაც რამე გაეგებოდა, მა-შინვე მიხვდებოდა, რა ჯახირიც, დავიდრაბაც გადახდებოდა მის პატრონს. ისე უშნოდ მითუტფუტებდა, ისე საცოლავად მიახველებდა, სევდა მიეძალებოდა ცხოვრებაგამოვლილ კაცს.

ავტოზე სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს; მოდი მისი შოფერი მოვიკითხოთ, თორემ კაცი მაიც კაცია და, რა ვიცი, არ ეწყინოს. მიღის ავტო და შოფერს ღიმილი არ შორდება სახეზე: ამ ომიანობის დროს კაცი ნახევარ ტომარა ხორბალს, ორ ტომარა კარტოფილს, ერთ ტომარა სიმინდს, ბლომად ბოსტნეულს, ორიოდე კილო ღორის ხორცს და ათას წვრილმანს რომ იშოვნის, მეტი რაღა უნდა სასიხარულოდ?! ალბათ იფიქრებთ, ერთი ოჯახი კარგა ხანს გამოიზოგავს ამდენ სანოვაგესო, მაგრამ ყოველივე ამას შოშიის შშიერი ბარტყების ხახასავით დაღებული იმდენი პატარას პირი ელოდება, ორ კვირას თუ ამყოფინეს, კარგი თაღარიგი უნდა, მეოჯახე ქალის თაღარიგი. სანახევროდ ნაშიმშილევ ორმოცდაათ უპატრონო ბავშვს აბა რა გაუძლებს!

ლუკა საჭეს ღონივრად დაბლაუჭებოდა და მეორე სიჩქარით მიუყვებოდა აღმართს. კაბინაში ბენზინის სუნი ღვინის სურნელში არეულიყო. ტიკჭორა სანახევროდაც ვერ მოეყარათ ღვინით — ავტოს ყოველ შეხტო-მა-ჩაჭლაყუნებაზე გულისგამაწვრილებლად ჭყაბუნობდა. გზა მოეხრე-



შით, მაგრამ აქა-იქ ისეთი ღრმა ორმოებით იყო დაკენცილი, საჭეს ყოჩილი, დად თუ არ ჩაეჭიდებოდა, შოფერს ჭერზე თავს შეახლევანებდა. ეტყობოდა, გზის შესაკეთებლად არავის სცხელოდა. თუმცა ამ გახურებული ომის ღროს ვიღს ეცალა ამისთვის! ვისაც ჯანი მოსდევდა და შეეძლო გერმანიისათვის პასუხი გაეცა, ყველანი ფრონტზე გაიკრიფენ. შინ დარჩენილი კი, აქაოდა, ფრონტზე არ ვვარგივარო, გათოთხარებულიყო — შეუძლებელს ეჭიდებოდა და აკი აკეთებდა კიდეც. თუმცა, ჩავლილი ამ-ბავია და, თითო-ოროლა ღვთის პირიდნ გადავარდნილი ტყეში გასულიყო. ტურასავით იქ იმალებოდა. შიმშილი იმათაც არ აჩერებდა ტყეში, შარაზე გამოდიოდნენ შინ დარჩენილების გულის გასახეთქად — იქით ის ომი, აქეთ — ეს, გაძლება არ გინდოდა?!

„არა, მაინც რა იწუწურაქა იმ ღმერთგამწყრალმა როსტომა ბრუციანმა, კარტოფილს ოქროს ფასი არ დააღია?!” თუმცა პატარები როგორც კი ვუხსენე, ხმა აღარაფერზე ამოულია. კაცმა რომ თქვას, კარფანჯრების შესაკეთებელი ხის მასალა რომ არ წამომეღო, ისედაც ვიშოვიდი ყველაფერს. ობლების ცოდვით ვინ რას დამიჭერდა, თუმცა იმ ბავშვებს სამათხოვრო არაფერი სჭირო — სანამ ცოცხალი ვარ, ლუკმას არ გამოულევ. ამისთანა მანქანას, თუ გაჭირდა, კიდევ ავაწყობ, სოფელ-სოფელ ვივლი, ქვეყანას შევაწუხებ, მუხლებში ჩავუვარდები, იმათ კი შიმშილს არ გავაკარებ, მაშ!“.

მოხრეშილი გზა თანდათან ძეძვისა და თრიმლის ბუჩქებით მოჩითულ გორაკებში შევიდა. ცას დასავლეთის ყბა შინდისფრად შესწითლებოდა, ირგვლივ ჩამავალი მზის ზომიერი შუქი იდგა. ლუკამ ბოგირს იქით, ხევის პირას მანქანა გააჩერა, მოტორი არ გამოურთავს, ვედრით ღელი-დან წყალი ამოიტანა, რადიატორი პირამდე გაავსო. რადიატორი ძველი იყო და წყალი წურწურით გასდიოდა. ლუკამ ავტო დასძრა და გორაკებზე სალტესავით შემოვლებულ გზას გაუყვა. წინ ჯერ კარგა მანქილი ედო.

ლუკას ფერმკრთალ სახეზე, ჩაშავებულ უპეებიდან შავი, სევდამორეული თვალები მოუჩანდა. თხელი ტუჩების ბოლოებში დაძაბულობა იგრძნობოდა. ადრე გათეთრებული ქოჩორი შუბლზე უწესრიგოდ ჩამოშლოდა. გამხდარი გულმუცელითა და იდაყვებით ჩახვეოდა საჭეს, თითქოს მანქანის სააღერსოდ მოუცლიაო.

აღრეული შემოდგომა იდგა. თრიმლის წითელ-ყვითლად შეფერილ ბუჩქებს მზის სხივების ნარჩენები კიდევ უფრო მეტ სინაზეს მატებდა.

ხელმარჯვნივ, გორაკის ჩამოფლეთილი ფრიალოს თავზე ლუკამ ორ კაცს მოჰკრა თვალი. ერთ მათგანს გარდიგარდმო თოფი ჰქონდა გადაკიდებული. ლუკას ცივმა ოფლმა დაასხა.

— ოხ, მე მაგათი!.. — ჭავრიანად შეიგინა. „უნდა გავასწრო, მანამ გორას გადაივლიან და გზას გადამიჭრიან, უნდა გავასწრო!.. მოსახვევაძლე მიტირს, მერე გზა სწორდება, ცოტა თავევეცაა, იქ ჩემს ფეხებს და-მეწევიან. — აბა „ჯღანო“, ეხლა არ მიღალატო, თორემ ჩემი ხელით გა-დაგაგდებ ხრამში!“ ავტო თითქოს მიუხვდა ლუკას, სიჩქარეს უმატა, გვერდები აიკეცა და გაენთო. ლუკამ მარჯვენა ხელი საჭეს შეუშვა, ჩექ-მის ყელისაკენ ჩააცურა, მამა-პაპურ ხანჯალს თითები მოუცაცუნა და ცოტა დამშვიდდა.

„ცოცხალი თავით არაფერს გავატან, თუ მომკლავენ, მომკლან!..“

„ოთფი არა ჰქონდეთ, კარგი იყო, ორივეს ისე გაგიხდიდი!..“ — ცოტა შეტი მოუვიდა ლუკას.

„ბიჭი უნდა წამომეუვანა. რაო, რას ამბობდა? ეს ერთი კვირაა ყოველ ღამე ერთი ლამაზი გოგო მესიზმრებაო, ყვავილების დიდი თაი-ჯული მოაქვსო. თან მეკითხება, გელა, ხომ არ გშიაო. მე ვეუბნები, ცოტაზე მშია-მეთქი. ის მპირდება, ხვალ რომ მოვალ გემრიელ საჭმელ-საც მოგიტანო. რა საჭმელი, რისი საჭმელი, მეორე ღამესაც ისევ ყვა-ვილების თაიგულით მოდის, მარტო ყვავილების თაიგულითაა. გელა და-კაცდა.. კარგათა ვქენი, რომ არ წამოვიყვანე“. — ათასნაირი ფიქრი აე-ჰალა ლუკას.

ხეობაში ბინდი ჩამოწვა. ლუკამ სინათლე ჩართო — ცალი ფარი აი-ნთო, მეორე ბრუციანი თვალი მთლად გამოშრეტილი ჰქონდა. აღმოსავ-ლეთით მთვარე ამოცურდა. მოკრიალებულ ცაზე ვარსკვლავები ოქროს-ფრად ცახცახებდნენ. ირგვლივ საზარელი სიჩუმე იდგა — არც ფრინ-ველის ხმა, არც ცხოველის, მხოლოდ ლუკას ავტო მიიწევდა დაგრეხილ აღმართზე ხვენეშა-ვიშით, მხოლოდ ის ეხმიანებოდა გამოყრუებულ არემარეს.

„უნდა გავასწროთ, სხვა გზა არა გვაქვს!“

„გრამს ვერაფერს წაიღებენ, ჯერ ჩემ ცხედარს გადააბიჯებენ, მე-რე.. ყველაფერი შენზეა „ჯღანო“, — ლუკას ცხედრის ხსენებაზე ბეჭებ-შუა ცივი ოფლი წყალივით ჩაეღვარა.“

„თუ გავასწარით, ყველაფერი რიგზე იქნება, თუ არადა!.. — ფიქრს ჯელარ აგრძელებდა ლუკა.«

„გუშინ შავ პურზე და ვაშლზე გადაიარეს ბალლებმა, ყველაფერი გამოილია!..“

— იქნებ შენიც რომ ურევია, იმიტომ გეწვის იმ პატარებზე გული?! — თითქოს ვიღაც წამოეპარა ზურგიდან და ნიშნის მოგებით წასჩურჩულა-



— ჩემსას მამა მაინცა ჰყავს... იმ ობლების ცოდვით საკუთარებულებულის მოფერება მჩქვენია ხოლმე...

— მალე შეიძლება აღარც შენსასა ჰყავდეს მამა, — არ ეშვებოდა აძეზარი ჩხა.

— შეიძლება, ყველაფერი შეიძლება!

როგორც იქნა, აათავა აღმართი. მარჯვნივ გაიხედა: იქ, სადაც მთის ფერდი და გზა ერთმანეთს ეხლებოდნენ, ჯერ მიმოფანტული ბუჩქები გამოჩნდა. მერე შორს ორი სილუეტიც გამოიკვეთა — ისინი გამალებით მოიწევდნენ წინ.

— გადავრჩი! — იყვირა ლუკამ და ავტო მესამე სიჩქარით გააკრა სწორ გზას.

ლუკამ თითების ტკივილი იგრძნო, ნერვიულობისაგან ისე ჩაფრენოდა საჭეს, ხელის მტევნები ერთიანად გალურჯებოდა. საჭეს ორივე ხელი შეუშვა, შვებით ამოისუნთქა. „ჯლანი“ გათამამდა, ლალად მიკუნტრუ-შობდა სწორეზე. გაიხარა, მხრები გაშალა, ერთ ხმაზე მიიმღეროდა რაღაცას.

უპატრონო ბავშვთა სახლამდე ათიოდე კილომეტრილა იყო დარჩენილი. ბუჩქნარს აქა-იქ ხეები შეერია — ტყე იწყებოდა. მოკლე მრუდე აღმართის შემდეგ ისევ სწორი გზა გაწვა. „ჯლანმა“ სიჩქარეს უმატა. შორს ავტოს შეუზე სავაზნებებგადაჯვარედინებული კაცი გამოჩნდა: ფეხები გაეჩაჩნა. ცალ ხელში თოფი ეჭირა, თავზე შავი ფაფანი ისე ჩამოეფხატა, სახე არ უჩანდა.

„ვერ გადავურჩით ამ მათხოვრებს, „ჯლანო!“ ეს უკვე ჩვენს სურვილსა და ძალას აღემატება, რას იზამ! დავეჯახოთ? სისულელეა, ვინ დაგაჯახებინებს თავს, გვერდზე გახტება და გესვრის. გადმოვიდე და მერე იქნებ? ვეცდები, მაგრამ ეს ბოლო ღამეა მე და შენი ერთად ყოფნისა. ბოლო ღამეა ჩემ ბიჭის მამა რომ ჰყავს, ხვალ რომ დადგება ღამე... ეხ!“...

კაბინაში წრიპინის ხმა გაისმა. ლუკას გაეცინა. გაახსენდა: ახლად დაწნულ კალათაში თეთრი ბაჭია იჯდა. „ეს სურვილი მაინც შემესრულებინა ბიჭისათვის“. — ინატრა ლუკამ — „თუმცა იქნებ არ წაიყვანოს იმ მათხოვარმა, იქნებ ვერც კი შენიშნოს. თავი თუ მოხადა კალათს, გაიქცევა. ეხ, ბაჭია! ჰქეუა რომ გქონდეს დაელოდებოდი შენსავით ობოლ ბიჭს, მამის ცხედრის სანახავად რომ ამოიყვანდნენ!“

შეიარაღებული კაცის მოხაზულობა იზრდებოდა, სიკვდილიც იზრდებოდა! ლუკა მექანიკურად მიარახრახებდა ავტოს. ვერაფერი მოეფიქრებინა ბავშვების გადასარჩენად, საჭმელის გადასარჩენად. „ნუთუ ესაა ჩემი ბოლო? ნუთუ ჩელით უნდა ჩავაბარო?.. არა, ცოცხალი თავით

არაფერს გაგატან! იქნებ ვაჭობო? სისულელეა... ცარიელი ხელებით გამარტინოვანი ჰერი ჰქვია ჩემო „ჯლანო“.

ყვითელი მთვარე ზანტად მიჰყვებოდა ავტოს. სასოწარკვეთილებას უფრო აძლიერებდა ეს ცივი, არამიწიერი შუქი.

იარაღში ჩამჯდარი კაცი გაუნძრევლად ელოდა თავის მსხვერპლს. ოციოდ მეტრი აშორებდა კაცსა და „ჯლანს“. „გზის პირას მდგარა, ჭივიანია“. — გაიფიქრა ლუკამ და კიდევ უფრო უკლო სიჩქარეს. „იქნებ გავექცე, უცებ მოვუმატო გაზხსა და გავიქცე?!“ — გაუელვა ლუკას. — „გასრის, უეჭველად გესვრის. იქნებ ამცდეს!“ სახეზე ოფლმა ზოლებად იწყო დენა, თვალის ძირები დაუწვა მლაშე სითხემ.

ლუკამ თვალები დახუჭა, საჭეს ჩაეხუტა, შუბლით ზედ დაეყრდნო. ერთხანს კიდევ იგორა „ჯლანმა“, მერე საბოლოოდ ამოახველა და გაჩერდა.

სიჩუმე ჩამოწვა. ფოთოლიც კი არ შრიალებდა.

ლუკა ელოდა... თავაწეული გაქვავებულიყო და ელოდა.

ირგვლივ კვლავ სიჩუმე იდგა.

ლუკა ვერაფერს გრძნობდა გარდა ოფლით დაფარული ცივი სხეულისა.

სიჩუმე არავის დაურღვევია.

ლუკამ ღონე მოიკრიბა, კაბინის კარი გამოაღო, ხელმარცხნივ გაიხედა.

გამოფულურავებული ბებერი რცხილის ხე გზის პირას სავაზნეგაღა-კიდებული კაცივით დაყუდებულიყო.

ლუკას სიცილის თავიც აღარ ჰქონდა, გაეღიმა, ძლიეს წაჩლახუნდა ბებერი ხისაკენ, ორივე ხელით მოეფერა:

— რამდენჯერ ამივლ-ჩამივლია იმ გზაზე და კაცად კი არა, ხედ მაიც რატომ ერთხელ ვერ შეგნიშნე, შე ძველო!

ყვითელი მთვარე ოქროთი აფერადებდა ძველ სატვირთო მანქანას.



მ ი ლ ა ხ უ რ ბ

შეზავრო, ნუთუ არ გინახავს
ჩემი მილახურა,
მოშრიალე სიმინდები,
იქვე წნულის ხულა,
ცივ წყაროში ჩაძირული

ყელ-ყარყარა სურა.
არ იქნება რომ ხანდახან
არ წაგძლიოს სულმა,
და ისევ არ ინახულო
ჩემი მილახურა.

მ ა მ ღ ე რ ე თ

მაშლერეთ იასამნებთან,
გულს შეემატოს ხალისი,
გავზომავ მთების სიმალლეს,
სადაც არწივთა ხმა ისმის.
მომეცით ოცნებისათვის
სორში თელების ადგილი,
ვიმღერებ მძლავრად ალვებთან,
მე ხომ სტვირი კარ გათლილი,
დამალევინეთ ის წყარო --
იქ უსურვაზის ფოთლითა,

დიდ ბარაკონის ტაძარში
ქარმა დამახრჩოს კოცნითა.
შევიჭრა გრძელი ნაწნავით
ტყეში ქართული კაბითა,
რომ მზის სარკეში ვიხილო
სიზმარი გრძელი ღამისა.
ამხედრდეს ისევ ჭაბუკი
იმ ფერმკრთალ მთვარის ცხენითა,
და კუზიანი ხის ახლოს
ვაჟმა გამთვალის მზერითა.

დ ა ვ ე ს ი ზ მ რ ე ბ ი

ჩამიდგით მკერდში,
ჩამიდგით
შიშველას მთების ფილტვები,
ვიმღერებ მძლავრად,
და შემდეგ...

მზეჭაბუკს დავესიზმრები.
მომეცით სააგარაკოდ
ჭალაში ღმარუს მინდვრები,
და ბალახების ხალიჩით
იქ მომიზადეთ მზითვები.

ძველი საბძელი

ევლარ დახურავს მამა ძველ საბძელს,
ქარს აუხდია ყველა ყავარი,
შიგ აღარ ჰყრია ოქროსფერი ბზე,
აღარ ფუსტუსებს ბებო თამარი.

აღარც დედა ჰყრეფს მთის ქალაკოდას,
აღვებს ქოჩრიანს თავს ბანს ავდარი.
დგას მარტო ობლად იმ ძველ საბძელთან
ფიქრთან მებრძოლი, ძველი ჭადარი.

3000 ჭანვები

გეგმით ეროვნო

ოკეანე დიდხანს ეურჩებოდა ჩვენს გემს, მაგრამ ვერას გახდა და ახლა ნელა ირწევა.

„რა ბუმბერაზია ეს ოკეანე, როგორ იკრებს ძალას“, ვფიქრობ ჩემთვის.

გეშიც ნელა ირწევა.

ესეც ძალას იკრებს ალბათ.

ტროპიკების მზე უკანასკნელ სხივებს სტყორცნის ალაგ-ალაგ შეჭუშულ სადაფისფერ ღრუბლებს...

— ლეილა!

— რა იყო, ჯუმბერ?

— ოკეანეს გადახედე.

— მერე რა.

— იმ ორ შადრევანს თუ ხედავ?

— ჰო, ორ შადრევანს ვხედავ.

— ვეშაპებია.

— ეპვი არ მეპარება.

ლეილა ილუმინატორის მინას ეთამაშება თავისი მოგრძო თითებით. მე მოაჭირს ვეჭიდები.

ჩვენი გემი მიიჩქარის.

— ლეილა!

— რა იყო ჯუმბერ?

— ამოლენა ვეშაპს მუჭისისხო გული ჰქონია, თურმე.

— რა ეშველება?!

— ვეშაპმა თუ მოინდომა, ვემსაც გადააბრუნებსო, ამბობენ.

სამდევრო გენერალური სამსახური

ლეილა იცინდა, რაღაცას შეპხარის, ილუმინატორის მინაზე რამდენიმე „ჯ“ მოხაზა. მონახაზი არ აჩნდება მინას. ლეილა ჯიუტობს. ქედმოთაც უდრეკელი გოგონაა. ოკეანეც დაჯაბნა თითქოს.

— ლეილა!

— რა იყო ჯუმბერ?

— შეხედე, კიდევ შადრევნები!

— ვეშაპებია.

ოკეანე შადრევნების ბაღად იქცა. წელან რომ ვნახეთ, სწორედ იმ ორ შადრევანს გარს ევლება ვეშაპთა გუნდი.

საოცარი ჩოჩქოლი ასტეხს ვეშაპებმა.

ჩვენი გემი ახლა ნელა მიღის.

მეზღვაურები გემბანზე გამოვიდნენ და განცვიფრებით შესცემიან ვეშაპების ჭირითს.

— აი, საოცრება თუ გინდა, — გაიკვირვა ერთმა.

— მართლაც კი, — დაუმოწმა მეორემ.

— რაღაც ზეიმია, — თქვა მესამემ.

— ვეშაპების ქორწილია, — დაასკენა ვიღაცამ.

ვეშაპებმა წრე მოხაზეს.

ორ შადრევანს გარს უვლიან გოლიათები.

ხან ოკეანის ქვესკნელისაკენ გაექანება და ხანაც შხუილით ამოვარდება ვეშაპი.

ოკეანის ზედაპირი ათუხთუხდა თითქოს.

„ვეშაპთა ქორწილი“ მორევივით ბრუნავს.

ოკეანე ჯერ განაცრისფერდა.

მერე გაშავდა.

ვეშაპებსაც გადაედოთ შავი ფერი.

შადრევნების შხუილი მიწყდა.

ვარსკვლავები აციმციმდნენ აქა-იქ.

— ჯუმბერ!

— რა იყო, ლეილა?

— ვეშაპი გონიერი ცხოველია, თურმე.

— ?!

— ვეშაპიც ადამიანივით გვირგვინს იდგამსო, ამბობენ...

და სულ მალე ჩვენი გემის დვრინს ბანი მისცეს შორიახლო მიმავალმა გემებმა.

დიდია ოკეანე!

ადამიანის გული კი ოკეანეზეც დიდია ხშირად.

წერების ერთობლივი გამარჯვებულებები

დავარ გიგინეიშვილი

პატარა ბობი

ამბავია უტყუარი,
მამაჩემის ნაამბობი,
აფრიკაში ცხოვრობს თურმე
ზანგის ბიჭი, შავი ბობი.
ქუდი ხურავს საოცარი,

თითქო იყოს ბუდე ორბის.
მეგობრები უყვარს ბობის,
დიდი ბურთი უყვარს ბობის,
არ თამაშობს „ომობანას“
და არ უყვარს სიტყვა „ბომბი“.

დედის დარიგება

ჯერ ისწავლე, ჯერ ისმინე
და მერე სთქვი სათქმელი,
აწონილი სიტყვის ფასით
გახსენ გულის სარქველი.
უველაფერი მშობლიური
ახარე და შეიტყბე,

ლურჯქათიბა ველმინდვრების
გულისფერთქვა შეიტყვე.
მერცხლის ენით აჭიკჭიკდი,
დედა ენა დამარცვლე,
გახსოვდეს: წყალს ვერ ახვეტავ,
ერთხელ უკვე დანაქცევს!


ნ ი ნ ი ს

პაწაწინა ყვავილო,
დედის გულის ვარდო,
დედის გულის სიხარულო,
დედის გულის დარდო.

შვილო ჩემო, ნორჩო შვილო,
ჩემო თეთრო გედო,
მაგ შენს პაწაწინა გულში
მამულის მზე გენთოს.

აღრე დილით, ზღვაზე
წამიყვანა ბებომ,
ასე მითხრა, საჭმელს
აქ მეტი აქვს გემო.
ვკამ და თანაც ვუსმენ
ზღვის ჩურჩულს და ჩქამებს,

ბებოს ვეკითხები —
დარჩა კიდევ რამე?
ელიმება ბებოს,
მხრებს იფუთნავს თავშლით,
და თოლია თეთრი
თევზს დაეწებს უგაში.



დოც. აღ. ჩავლეიშვილი

გამზრდელ-გამზრდილის ურთიერთობის საკითხებისათვის აკაკი წერეთლის „გამზრდელში“

საკითხი ეხება აკაკი წერეთლის „გამზრდელში“ საფარ-ბეგის ამორალური საქციელის მიზეზის გარკვევას. რატომ ჩაიდინა მან ასეთი უზნეო მოქმედება? ამ საკითხის გაშუქების დროს სამ მიზეზს ასახელებენ.

პირველია თვითონ საფარ-ბეგის ახსნა-განმარტება. როგორც პოემის შინაარსიდან ვიცით, ბათუმ უთხრა საფარ-ბეგს: შენი პირშავობა შევიტყვე და დღეიდან ჩვენ ორს შუა ტყვია არის მოციქულიო. ამის გაგონებაზე საფარ-ბეგი გაქვავდა და ბოლოს

ძლივს წარმოსთქვა: „მართალი ხარ,
აღარა მაქვს მე საოქმელი!
შემაცდინა თვით ეშმაკა,
და დამრია ცოდვილს ხელი“. (ტ. V, ვვ. 245).

* იბეჭდება კამათის წესით.

როგორც ამ სტროფიდან ჩანს, საფარ-ბეგი მიზეზად ეშმაკს ასახელებს. ასეთი ახსნა ვერ უძლებს კრიტიკას. აქ ეშმაკი არაფერ შუაშია და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. შეშინებული კაცის ამგვარი თავის მართლება მოკლებულია ყოველგვარ რეალურ საფუძველს.

მეორე მიზეზად უნდა დასახელდეს თვითონ აკაკი წერეთლის მოსაზრება: ადამიანში არსებობს ისეთი ბუნებრივი მონაცემი, რომელსაც ვერ სცვლის წვრთნა და სწავლა. ეს მონაცემები მონაწილეობენ ადამიანის ზნეობრივ საქციელში.

საფარბეგიც მან გაზარდა
ისე, როგორც სხვები ჟველა,
მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამ
თუ ბუნებამც არ უშველა.
(ვვ. 247).

აქ სიტყვა „ბუნებამც“ იმის მა-
უწყებელია, რომ ყველაფერი სა-
ზოგადოებრივ გარემონდე არ და-
იყვანება, რადგან ბუნებრივ-ბიო-
ლოგიური მონაცემიც ღებულობს
მონაშილეობას ადამიანის პიროვ-
ნების ფორმირებაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგიერ-
თი მკვლევარის გაგებით „ბუნება-
ში“ იგულისხმება საზოგადოებ-
რივი პირობები, სოციალური ვი-
თარება. ამასთან დაკავშირებით
ჩვენ მოვიტანთ ერთ ციტატას,
რომელიც საფუძვლიანად უარ-
ყოფს დასახელებულ გაგებას: „სი-
ტყვა „ბუნებამც“ ამ კონტექსტში
ნიშნავს არა გარემოს, „საზოგა-
დოებრივ წრეს“, არამედ ადამია-
ნის... აღსაზრდელის ინდივიდუა-
ლურ თვისებას, სუბიექტურ ხასი-
ათს, მის შინაგან ბუნებას. მართა-
ლია, აკაკი ადამიანის ფორმირე-
ბაში აღმზრდელს, გარემოს, სა-
ზოგადოებრივ წრეს მთავარ მნი-
შვნელობას ანიჭებს, მაგრამ ეს
არ კმარაო ამბობს პოეტი, თუ
აღსაზრდელს არა აქვს „ბუნებით“
მოცემული... მიღრ ეკილება.“.
(ი. ლაცაბიძე, იხ. „სახალხო განა-
თლება“, 4 მაისი, 1955 წ.). ამგ-
ვარ ახსნას ჩვენ ვერაფერს დავუ-
მატებთ და ყოველთვის უნდა გვა-
ხსოვდეს, რომ „ბუნების“ ცნება
აკაკის არ დაპყავს საზოგადოებ-
რივ წრემდე, სოციალურ გარემო-
მდე. ასეთია ავტორისეული ახსნა
საფარ-ბეგის ამორალური მოქ-
მედების მოტივისა.

ამ ბოლო დროს გამოითქვა მე-
სამე მოსაზრება, რომელიც ჩვენი
აზრით ყოვლად მიუღებელია
და სწორედ მის უარყოფას ისა-
ხავს მიზნად ჩვენი ეს პატარა ფი-
ლოლოგიური შენიშვნა.

ეს გაგება საფარ-ბეგის უზნეო
საქციელის მიზეზს ხედავს თვით
ვამზრდელში — პაჭი-უსუბში. სა-
კვირველია, მაგრამ ფაქტია. ერთ
საგაზეთო წერილში წერია: „სა-
ფარ-ბეგი ნამდვილად ვერაგი და
მუხანათი პიროვნებაა“, მაგრამ,
თურმე, საფარ-ბეგის ასეთ ვერა-
გულ მოქმედებაში ბრალი პაჭი-
უსუბს მიუძღვის: „რა გონებრივი
ავლადილება უნდა შეეძინა მას
ისეთი აღმზრდელისა გა ნ, რომელიც
მხოლოდ ყურანის დოგმებს
ჩასჩინინებდა თავის მოწაფეს“
(სიმ. სხირტლაძე, „აღმზრდელო-
ბითი მომენტი აკ. წერეთლის „გა-
მზრდელის“ შესწავლისას“. იხ.
გაზ. „სახალხო განათლება“, 13/II,
1952 წ.). აღბათ, აქ ავტორს მხე-
დველობაში აქვს პოემის ის ადგი-
ლი, სადაც პაჭი-უსუბის შესახებ
ნათქვამია:

ჰირში, ლხინში საზოგადოდ
უმისობა არ იქნება;

ხელის გულზე უწერია

თვით მაჟმადის წმინდა მცნება.

(გვ. 346).

ზემოდასახელებულ ადგილს მო-
სდევს პაჭი-უსუბის გამაქიქებელი

მსჯელობა: „ბუნებრივია, რომ ასეთი ცალმხრივი განათლების მქონე, ყოველგვარი საკოლო აღზრდის გარეშე დარჩენილი საფარი ცხოვრების მკაცრ გამოცდას სრულიად მოუმზადებელი შეცვდებოდა, რამაც კრიტიკულ მომენტში კიდევაც იჩინა თავი“. ალბათ, „ცხოვრების მკაცრ გამოცდაში“ ავტორი გულისხმობს საფარ-ბეგის მარტოდ დარჩენას ნაზიძროლასთან და ამ შემთხვევაში საფარის თავის შეკავება დიდ „კრიტიკულ მომენტად“ მიაჩნია. და თუ საფარ-ბეგმა თავი ვერ შეიკავა, ეს, თურმე, იმიტომ, რომ „მისი მორალური აღზრდის წყარო მეტად ცუდი სათავიდან მომდინარეობს: მის ფსიქო-ფიზიკურ სამყაროს ასაზრდოებდა და ავსებდა მეტად ჩამორჩენილი, ნახევრად ველური, მაჰმადიანური, დაახავსებული ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი“ (იქვე). სიმ. სხირტლაძე დინჭი და დაკვირვებული მკვლევარია და ამიტომ ძალზე საკვირველია მისი ასეთი დასკვნა: „ჸაჭიუსუბი მაჰმადიანური რელიგიის ფანატიზმით იყო შეპყრობილი და ნამდვილი აღმზრდელისათვის საჭირო ცოდნა და პედაგოგიური დახელოვნება მას არ ჸქონია. უდავოა, რომ ასეთი აბსტრაქტული, მეცნიერული თვალსაზრისით უმწიო ცოდნის პატრონი ადამიანი, გონიერივი თუ ზნეობრივი სრუ-

ლყოფის მხრივ ბევრ რამეს და კლებდა თავის აღზრდილებას და უკარ-ბეგის მარცხის წყაროც მისი აღზრდის ცალმხრივობა და შეზღუდულობა“ (იქვე, ხაზგასმა ჩვენია, ა. ჩ.).

ამ მსჯელობის შესახებ შეგვეძლო მარტივად გვეთქვა, რომ იგი არაა სწორი და წარმოადგენს უმართებულო ბრალდებას ჰავი-უსუბის წინააღმდეგ, მაგრამ მოკლედ მაინც უნდა ვთქვათ შემდეგი:

ზოგიერთი პიროვნება სარწმუნოებით მაჰმადიანია, მაგრამ მის დოგმებს ცხოვრებაში არ ასრულებს. ასეთები ყურანის მოძღვრების განხორციელებას კი არ ემსახურებიან, არამედ დიდი პატრიოტული შემართებით იბრძეონ საზოგადოებრივი სიკეთის განხორციელებისათვის. ესენი მაჰმადიანები არიან მხოლოდ რელიგიური კუთვნილების მიხედვით და არა თავიანთი რწმენით.

ზოგიერთი პიროვნება თავისი სარწმუნოებით მაჰმადიანია, ისლამის სჯულს აღიარებს და მის მოძღვრებას ასრულებს. ასეთი პიროვნებაც შეიძლება იყოს მოწინავე და არ შეიძლება ითქვას, რომ რაკი იგი თავისი რელიგიური რწმენით მაჰმადიანია, ამიტომ არ შეიძლება პროგრესული მოღვაწე-

იყოს. ასევე, პიროვნება შეიძლება თავისი რწმენით ქრისტიანი იყოს, მაგრამ ამავე დროს თვალსაჩინო პროგრესულ მოღვაწეობას ეწეოდეს. პროგრესული მოღვაწეობის წინაპირობას არ წარმოადგენს ურწმუნოება. იყვნენ მოღვაწეები, რომლებსაც ღმერთი სწამდათ, ბიბლიის დოგმებს ქადაგებდნენ, მაგრამ შესანიშნავ მოღვაწეთა პლეადას მიეკუთვნებოდნენ.

ჩვენი აზრით, ამგვარი ტიპის მოღვაწეებს მიეკუთვნება პაჭიუსუბი, როგორც გამზრდელი.

ჩვენ, რასაკვირველია, „ყურანის“ დამცველის როლში არ გამოვდივართ, გვჯერა, რომ „ყურანი“ ქადაგებს მორჩილებას, იგი ადამიანის გონების ოპიუმია, მაგრამ მასში არ სწერია, რომ პიროვნებამ თავისი მეგობრის ცოლი შეურაცხოს, ძალა იხმაროს და თავისი პირუტყვული ვნებები დაიკმაყოფილოს.

პაჭიუსუბის შესახებ პოემაში ნათქვამია:

არც გვარით, არც ვაჟკაცობით,
არც სიმღიდრით, არც ქონებით,
პაჭიუსუბ ცნობილია
მხოლოდ ჭკუთ და გონებით.
ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის, —
არც ტკუილი ქადილია,
სადაც კია გვარიშვილი
ყველა მისი გაზრდილია.

ერთობული
გამზრდაში

საფარ-ბეგიც მან გაზარდა ისე, როგორც სხვები ყველა, მაგრამ მარტო წერთა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა.

(გვ. 246).

აქ „ბუნებამც“ იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი არ არის დამოკიდებული ბუნებრივ მიღრეკილებებზე. აკავი არ ვარდება ასეთ უკიდურესობაში, რომ ყველაფერი ბუნებრივი მონაცემებით ახსნას. მაშინ გამზრდელის როლი სულ მოიხსნებოდა და წვრთნაც ზედმეტი იქნებოდა. აკავის გაგებით, რასაკვირველია, მთავარია საზოგადოებრივი წრე, სოციალური გარემო. აღზრდა, როგორც პედაგოგიური ღონისძიება თავის თავად უდიდესი სოციალური მოვლენაა, მაგრამ ბუნებრივი, თანდაყოლილი თვისებები მნიშვნელოვანია და ყველაფერი აღზრდაზე არ ყოფილა დამოკიდებული. რაღაც მცირენაში ილი რამდენიმე რაც არ არის დამოკიდებული აღზრდელზე. აი ამ მცირენაში თავი იჩინა. საფარის საქციელში და შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ პაჭიუსუბის თვითმკვლელობა ეს არის ერთგვარი ცდა ბუნების მი მცირენაში ილი აღზრდელისადმი და-

მორჩილებისა. ბუნებამაც ქედი
უნდა მოიხაროს აღზრდის წინაშე
და ეს უნდა შეძლოს აღმზრდელ-
მა. აյ არაფერ შუაშია ის, რომ
„ჰავი-უსუბს ხელის გულზე ეწე-
რა თვით მაჲმადის წმინდა მცნე-
ბა“. ჰავი-უსუბმა თვით მოიკლა
არა იმიტომ, რომ იგი მაჲმადიანი
იყო, არამედ იმიტომ, რომ მან
როგორც პედაგოგმა, ვერ შეძლო
ყველაფერი აღზრდის სფეროში
მოექცია ~~ე~~ ჩვენ სწორად მიგვაჩნია
ის დასკვნა, რომელიც გამოიტანა
პროფ. გ. თავჭიშვილმა: „ჰეკვიანი

და გონებით ცნობილი აღმზრდელი
ლი თავის საზოგადოებრივ შრო-
მას შესცემის ისე, როგორც სა-
კუთარ სიცოცნლეს. მან ნახა თა-
ვისი შრომის უქმი ნაყოფი და სი-
ცოცხლე გაიუქმა. მეტად ულმო-
ბელია ეს განაჩენი საკუთარი თა-
ვის მიმართ, სამაგიეროდ ეს არის
აღმზრდელის სიბრძნე, მისი პასუ-
ხისმგებლობის დიდი მწვერვალი“.
პასუხისმგებლობის ამ დიდ მწვე-
რვალზე აჲყავს აკავის პედაგოგე-
ბი და ამაში მდგომარეობს ამ უკ-
ვდავი პოემის მთავარი მნიშვნელ-
ობა.

პროფ. ჩ. შაველაშვილი

ქართული გვარების ისტორიის საგითხისათვის

ქართული გვარების გენეზისისა და ისტორიის საკითხებს თავის ღრმობები ეხებოდნენ ივანე ჭავახიშვილი, სიმონ ჭანაშვილი, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, შოთა ძიძეგური, ალექსანდრე ღლონტი, გიორგი როგავა, მიხეილ ალავიძე და სხვ. მათ არა ერთი საგულისხმო მოსაზრება აქვთ გამოთქმული ამ მეტად საინტერესო პრობლემაზე. ამ მიმართულებით დიდი ხანია მუშაობს დოც. ილია მაისურაძეც. სწორედ ამითომ, როდესაც ამას წინათ საუბარი ჩამოვარდა იმაზე, თუ რომელი საუკუნიდან გვხვდება ქართულ გვარებში დაბოლოება —ძე, —შვილი, გადაწყდა, მიგვემართა ი. მაისურაძისათვის. მართლაც, წერილობით დავუკავშირდით ონომატოლოგს და ვსთხოვეთ, თავისი შეხედულება გამოეთქვა. პასუხმაც არ დააყოვნა. მივიღეთ მეტად საგულისხმო შინაარსის ბარათი, რომელიც აქვე მოგვაქვს.

„ცნობილია, რომ გვართა საწარმოებლად გამოყენებული ორი ფუძე-სუფიქსიდან (—ძე, —შვილი) უძველესია —ძე. მაგრამ იგი იმთავითვე არ იყო „საგვაროვნო“ დაბოლოება. სანამ სტაბილური ქართული გვარები ჩამოყალიბდებოდა, —ძე-ს მხოლოდ მამაშვილობის ონიშენა ეკისრებოდა. ძველ ნუსხებში ხშირად ვეცდებით პიროვნების დასახელებას სახელისა და მამისახელის საშუალებით, რაც გამოყენებული იყო მრავალ მოსახლე ადამიანთა შორის ერთის გამოსარჩევად; მაგალითად, ზაქარია ასპანის ძე და ზაქარია გრიგოლის ძე (იხ. „ქართლის ცხოვრება“). ეს იყო პირველი საფეხური გვარების წარმოშობის გზაზე. გვარის ფუნქციით მამისახელის დასახელება (ასპანის ძე) მაშინ აღიჭურვა, როცა ზაქარიასთან ერთად მისი შთამომავლობითი შტოს ყველა წარმომადგენელი ასპანისძე-დ იქნა მოხსენებული. ამასთან ერთად ასპანისძემ მოგვცა ასპანიძე“.

„ეს გადასვლა მამისახელობიდან მყარ გვარზე, — განაგრძობს ი. მაისურაძე, — ერთბაშად როდი მომხდარა. ეს იყო სოციალური ვითარებით შეპირობებული ხანგრძლივი პროცესი, რომელიც წერილობითი ძეგლების ჩვენების თანახმად, V საუკუნიდან მოყოლებული თვით XVIII საუკუნემდე გრძელდებოდა ისე, რომ პარალელურად პიროვნების ვინაობის აღნიშვნის ერთი საშუალებაც გვხვდებოდა და მეორეც.

ზოგი ინდივიდი (უმთავრესად დაბალი ფენებიდან, მაგალითად, გადამხდელი ყმა-გლეხი — კომლის მეთაური) მხოლოდ მამისახელობით (ე. ი. უგვაროდ) აღირიცხებოდა საბეგრო დავთარში, ზოგი კი (არისტოკრატიული ფენებიდან) — გვრით (ნასყიდობის წიგნებში, სიგელ-გუჯრებში და სხვ.).

შუა საუკუნეების ბოლოს, ე. ი. საშუალო ქართულში — ძეს გვერდით — შვილიც ამოუდგა პირველად როგორც მამიშვილობის მაჩვენებელი, შემდეგ კი როგორც გვარის გამფორმებელი ფუძესუფიქსი“.

— შვილი სუფიქსი გვარში პირველად დასტურდება „ამირანდარეჯანიანში“ (XII საუკუნე). ეს არის გვარი ჭიშიშვილი.

— შვილი კომპონენტიანი გვარები, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცე-

ლებული, ხოლო — ძე კომპონენტიანი გვარები — უფრო დაცვულეთ საქართველოში.

გ. როგავას სიტყვით, მეგრული — სქუა („შვილი“) კომპონენტიანი გვარები (გოგოლა-სქუა, კინწურა-სქუა, ნადარე-სქუა...) ქართული — შვილ კომპონენტიანი გვარების თარგმანს წარმოადგენს და სულ ახალი წარმოებისა ჩანს. ქართული — შვილ კომპონენტიანი გვარების უფრო ძველი მეგრული შესატყვისია — სქირ კომპონენტიანი გვარები: პაპა-სქირ-ი, წულე-სქირ-ი, კვეკვე-სქირ-ი, გაბე-სქირია... — სქირ სუფიქსიანი გვარები ქართული გამოთქმით — სქირ გვხვდება XVII საუკუნის დოკუმენტებში.

ეს უაღრესად საინტერესო დაკვირვება შეიძლება ილუსტრირებული იქნეს სათანადო მაგალითებით (ამაზე ქვემოთ). ახლა კი ვეცდებით გავავრცოთ ზოგი დებულება. უპირველეს ყოვლისა, — ძე დაბოლოების შესახებ. ძე უძველეს ქართულში აღნიშნავს ვაჟიშვილს, ასული კი ქალიშვილს. ძე სიტყვის ეს მნიშვნელობა დღესაც ცოცხალია. „ვეფხისტყაოსანში“ იყითხება: „ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ“. ჩვენ კი ვიცით, რომ როსტევან მეფეს ძე არ ჰყავდა. სამეფოს ამშვენებდა მისი ერთაღერთი ქალიშვილი — ასული — თინათინი. ერთი შეხედვით კიდევ უფრო უცნაურია პოემის მომდევ-

ვნო სტრიქონი: „ასული და ჩემი ძეო“ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ როსტევანს ქალიშვილიც ჰყოლია და ვაჟიშვილიც? არა, არ ნიშნავს: საქმე ისაა, რომ საშუალო საუკუნეებში, როგორც ეს პროფ. ვ. ღონიშვილი მშვენივრად დაასაბუთა, ძე მემკვიდრესაც ნიშნავდა. „სხვა ძე არ ესვა მეფესა“ ნიშნავს სხვა მემკვიდრე არ ჰყავდა და მეფესაო. ძე სიტყვის საშუალოსაუკუნეობრივი გაეგბა, როგორც მემკვიდრისა, დღევანდელ ქართულშიც არის შემონახული. ეს არის სიტყვა ზე-სიძე, რომელიც აკად. ა. შანიძის ვარაუდით, მიღებულია ძე-სიძისაგან და რომ ელიც შემდეგ ზედ-სიძედ გადაკეთებულა. ზე-სიძე (ანუ ზედ-სიძე) ნიშნავს სარძლოს ოჯახში მოყვანილ სიძეს, ჩასიძებულს.. მაშასადამე, ფორმათა განვითარება ასე წარმოგვიდგება: ძე-სიძე, ზე-სიძე, ზედ-სიძე. „ძალიან საყურადღებოა, რომ ცოლეურთას ოჯახში ძოსულ სიძეს დაერქვა ძე-სიძე, ე. ი. მემკვიდრე სიძე. ამით დასტურდება მისი უფლებრივი მდგომარეობა“ (ა. შანიძე).

ვ. ჯავახიშვილი წერდა, რომ ურა ხვადი ცხენის სახელია. მაგრამ ქართული გვარების ანალიზი გვარწმუნებს, რომ წინათ ეს სიტყვა ურის სახით კაცზეც ითქმოდა და ვაჟიშვილსაც ნიშნავდა. ასეთი გვარები აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ახლაც არის დაცული (გიგაური, დავითური,

საბაური, ბუჩქური...). ასე ნაწილი რმოები გვარები აღმოსავლეთ საქართველოშიც უკვე XVIII საუკუნეში ძე-თი და შვილი-თ დაბოლოებულ წარმოებას უთმობს ასპარეზს და დასავლეთ საქართველოშიც ასე ნაწარმოები გვარები ამავე პროცესის გამო უნდა იყოს გამჭრალი. მართლაც ოკრიბულში დასტურდება ასეთი რამ: გოტიაშვილი — კაცი, ქალი; გოტიაული — გათხოვილი ქალი გოტიაშვილების გვარიდან; სიბილაძე — კაცი, ქალი; სიბილაური — გათხოვილი ქალი სიბილაძეების გვარიდან (ოტ-კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, გვ. 172).

შვილის მნიშვნელობით ძველად გამოიყენებოდა წული, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა მამარობითი სქესის არსებას. შემდეგში სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა. იგი გამოხატავდა ბავშვს საერთოდ. წული შედის რთული სიტყვების შემაღენლობაში: ძმის-წული, დის-წული, ქალ-წული, დედა-წული, უფლის-წული, სეფე-წული. ეს უკანასკნელი, ნიკო მარის ახსნით, აღნიშნავს სახლის უფროს შვილს. ვ. თოფურიამ სეფე ეტიმოლოგიურად მეფეს დაუკავშირა. ამ ტერმინს თანამედროვე ქართულში თუ გადმოვიდეთ, უნდა ვიხმაროთ სამეფო მაშასადამე, სეფე-წული სამეფო შვილი. აქედან გასაგები ხდება ტერმინები: სეფე-ქვეყანა (სამეფო ქვეყანა), სეფე-დროშა (სამე-

ოთხთავის სხვადასხვა რედაქცია
ში (IX და X საუკ.) პარალელუ
რად იხმარება შვილი და ნაშობი,
გვევდება შვილიშვილიც, მაგრამ
ზოგ ძეგლში ეს უკანასკნელი გა-
დმოცემულია აღწერითად; შედა-
რებით გვიან იღებს იგი ტერმინის
მნიშვნელობას.

როგორც ი. მაისურაძე შეინშ-
ნავს, ქართული გვარების მრავა-
ლფეროვან საწარმოქმნო საშუა-
ლებებში ადვილად შეინიშნება მე-
ტი პროდუქტიულობის მაწარმოე-
ბლები. ასეთებია საერთოდ ქარ-
თული —ძე, —შვილი, სეანურში
შემორჩენილი —იან, სამეგრელო-
ში გავრცელებული —ია, —ვა,
მთის კილოებისათვის დამახასიათ-
ებელი —ურ. შედარებით ნაკლე-
ბი პროდუქტიულობისაა —ოვან,
—ოსან, —ენ.

მაგალითები.

—ძე: აბულაძე, მაისურაძე, ჭო-
ველიძე, ხერხაძე, ჯლამაძე.

—შვილი: მამისაშვილი, ფოლა-
დაშვილი, დოდაშვილი, მირიანაშ-
ვილი.

—იან: ასათიანი, გიორგობიანი,
გოლეთიანი, ახვლედიანი, ისიანი.

—ია: ქაჯაია, დარსალია, წუ-
ლაია, მუავია, კარტოზია, ხუნწე-
ლია, ფანცულაია.

—ურ: ბაშარული, გიგაური, აფ-
ციაური, ბექაური, ფიცხელაური.

—ოვან: ჩიქოვანი, გელოვანი,
ხიტოვანი, ბაგრატოვანი.

—ოსან: წილოსანი.

5 „ჭოროხი“ №3

65

ფორმაზა), სეფე-დარბაზი (სა-
მეფო დარბაზი)...

ჭიათურობის კვალი აზის გურულ

გვარებს: ლლონტი, უღენტი, კორ-

ტი, ჭიბუტი...

ქართულში არის ისეთი გვარე-

ბი, რომლებიც წულ ფუძეს ვარა-

უდობენ: წულაია, წულუკიძე,

წულაძე, წულეისკირი. ალ. ლლო-

ნტის მიერ ცხაკიას რაიონში და-

დასტურებული საკუთარი სახელი

წურა წულაიასაგან უნდა მომდი-

ნარეობდეს.

დღც. ი. მაისურაძე თანამედ-

როვე ქართულ ონომასტიკონში

წარმოების თვალსაზრისით სამი

ტიპის გვარებს გამოყოფს:

1. ჩამომავლობის აღმნიშვნელ

ფუქტა დართვით მიღებული (ძე,

შვილი, ბერი, სკირი: ლორთქიფა-

ნიძე, ჭანაშვილი, ბერიანიძე, პა-

პასკირი);

2. სპეციალური საგვარეულო

აფიქსებით გაფორმებული (იან,

ია, ავა, უა: დავითულიანი, ქალ-

დანი, ქაჯაია, როგავა, გულუა...).

3. მარტივფუძიანი გვარები —

გვარებად ქცეული საზოგადო სა-

ხელები: ჯოლბორდი, შერმადინი,

დარბაზისელი, მოლოდინი, მუგი-

რი, მოწყობილი, მენაბდე, მეღვი-

ნეთუხუცესი, მუხრანბატონი,

ცი-სისთავი, ლომქაცი, მამასახლისი,

პირველი.

სპეციალური ლიტერატურიდან

ვიცით, რომ შვილი ძველ ქართ-

ულ ძეგლებში აღნიშნავდა რო-

გორც ვაჟიშვილს, ისე ქალიშვილს.

—ელ, მ-ელ, —არ გამოყენებულია გეოგრაფიულ სახელთაგან მიღებულ გვარებში (თუხარელი, მაჩაბელი, ხოტივარი).

თავისებურია გვარები: ჯაში, ბუთხუზი, თაბაგარი, მიზანდარი, ერისთავი, სიმსივე, ტულუში, ჯანდიერი.

შესაბამისი რიცხვითი სახელები უძევთ საფუძვლად გვარებს: პირველი, ორმოცამე, ასათიანი, ასათაშვილი.

ი. მაისურაძე თავის ახალ ნაშრომში „ქართველურ გვართა წარმოების ზოგი საკითხი“ მიუთითებს, რომ ვეღდებით წარმოების თვალსაზრისით „მდიდარ“ ფუძეებსაც. ისინი სხვადასხვა მაწარმოებლით სხვადასხვა გვარს წარმოქმნიან. მაგალითად, გელა: გელაშვილი, მგელაძე, გელოვანი, გელავა, გელაური.

პაპა საკუთარი სახელიცაა. იგი დასტურდება თ. უორდანიას „ქრონიკებში“.

არსებითი სახელის „პაპა“ თანამედროვე შინაარსი, როგორც მაის ან დედის მამა (ბაბუა), პირველად დასტურდება XI-XII საუკუნეებში ისტორიკოსებთან და შოთას „ვეოჭისტყაოსანში“. უფრო აღრეულ ძეგლებში შესაბამისი ცნება აღწერითად გაღმოიცემოდა.

პაპა: პაპაშვილი, პაპიაშვილი,

პაპიძე, პაპავა, პაპასქუა, პაპისმერავალი დოვი, პაპასქირი.

ბალ: ბალიაშვილი, ბალიძე, ბალხამიშვილი, ბალიაური.

სულა: სულავა, სულაბერიძე, სულაშვილი, სულუხია, სულაძე უჩა: უჩაძე, უჩანევიშვილი, უჩა-ვა.

საბა: საბანიძე, საბაშვილი, საბაძე, საბაური.

იგივე მკვლევარი განაგრძობს: ამის საპირისპიროდ გვაქვს ისეთი გვარებიც, რომელთაც ზედიზედ ორი დაბოლოება მოუდის. ორმაგი სუფიქსაციის გვარებია: ბერიანიძე, დაბიანიძე, ხუციანიძე, ქობლიანიძე, ნიშნიანიძე (იან+ძე); ლვინაძეური (ძე+ურ), გურიელიძე (ელ+ძე); ოდიშარია, ხუნწარია, ხოშტარია, ცხომარია (არ+ია); ჯვარელია, ხობელია, ხონელია (ელ+ია); გაბისკირია, ბუდისკირია (სკირ+ია); გალდავაძე, ბალდავაძე (ავა+ძე).

მთის კილოებში (უმთავრესად, ხევსურულსა და ფშაურში) ზოგიერთი ძე-დაბოლოებიანი გვარი საკუთარ სახელად ქცეულა. ასეთებია: ბერიძე, ვამარაძე, მორაისძე, ნათელაძე, აბაისძე, ვაჟიძე (იხ. ი. მაისურაძე, ქართველურ გვართა წარმოების ზოგიერთი საკითხი, გვ. 36-37).

ზოგიერთი ქართული გვარის საგნობრივი მნიშვნელობა სხვა ტომის ხალხთა აღმნიშვნელ ფუძეს

ვარაუდობს, მაგრამ მათთან არა-
ვითარი კავშირი არა იქვე. მაგა-
ლითად, თურქია, ბერძენი, რუსია,
რუსიძე, ებრალიძე, სომხიშვილი,
ოსიტაშვილი, თათარაშვილი, ყა-
ზახაშვილი და სხვ. გულისხმობს
შესაბამის (თურქი, ბერძენი, რუ-
სი, ებრაელი, სომეხი, ოსი, თა-
თარი, ყაზახი) ფუძეებს. ზოგი
გვარი თვეების ქართულ სახე-
ლებს ვარაუდობს: იანვარი (იანვა-
რაშვილი), თებერვალი (თებერვა-
ლიძე), მარტი (მარტაშვილი), მა-
ისი (მაისაია, მაისურაძე, მაისაშ-
ვილი), ოქტომბერი (ოქტომბერი-
ძე).

გვარებად გამოყენებულია საქა-
რთველოს სხვადასხვა ძუთხის
მცხოვრებთა სახელები. მაგლი-
თად, ხევსური — ხევსურიშვილი,
მოხევე — მოხევიშვილი, თუში —
თუშიშვილი, ფშავი — ფშაველა,
ფშაველიშვილი, ფშავლიშვილი;
გურია — გურული, გურიელი,
გურულიშვილი, გურიელიძე; იმ-
ერელი — იმერლიშვილი; აჭარა —
აჭარაძე; რაჭა — რაჭველიშვილი
(გ. ახვლედიანის აზრით, რაჭა-ლე-
ჩეუმი ეტიმოლოგიურად ნასვანა-
რი ჩანს. სვანურად კურდღლელს
ჰქვია „რაჭუ“ („რაჭვ“). როგორც
ირკვევა, კურდღლელი იყო რაჭის
ტოტემი და აქედანაა მისი სახე-
ლწოდება. ამ მოსაზრებას მშვენი-
ვრად ასაბუთებს მ. ალავიძე); მეგ-
რელი — მეგრელი, მეგრელიძე,
მეგრელაძე, მეგრელიშვილი; ლაზი

— ლაზიშვილი; აფხაზი — აფხაზიშვილი; აფხაზავა, აფხაზიშვილი; სვანი — სვანიძე, სვანაძე, სვანიშვილი; ქართლი — ქართლიშვილი; ქუთა-თური — ქუთათელაძე; გავახი — გავახია, გავახაძე, გავახიშვილი, გავახიძე; მესხი — მესხია, მესხი-შვილი, მესხი, მესხაძე; ოდიში — ოდიშიძე, ოდიშარია, ოდიშიშვი-ლი; ოკრიბა — ოკრიბელაშვილი.

როგორც ცნობილია, ქართველებს მაჰმადიანების (თურქების, სპარსელებისა და სხვა) ენებზე ეძახიან გურჯებს (თურქულად გურჯუ), ქართველთა ქვეყანას კი — გურჯისტანს. „გურჯ“ ფორმიდან ნაწარმოებია საკუთარი სახელები გურჯა (დადასტურებულია სამეგრელოში, სოფ. თამაკონში), ხოლო მე-18 საუკუნის ცნობებში საქართველოს შესახებ აღ. ლილონტის მიუკვლევია სახელისათვის — გურჯუა. იმერეთსა და ქვემო რაჭის სოფ. ტოლაში გვხვდება გვრიგ გურჯიძე. ირანელებისა და თურქების მეშვეობით „გურჯი“ ფორმა გავრცელდა მრავალ სხვა ხალხშიაც, კერძოდ, ჩრდილო კავკასიაში. აქედან მოდის ოსური „გურძ“ (თუ გურდზ) — საქართველო, „გურძიაგ“ — ქართველი და იქნებ „გურჯ“ — ტანადი, ახოვანი; ამავე აღმოსავლური ფორმიდან მოდის რუსული ტრანსლიტერაციის მიხედვით „გურჯი“ (ს. ჯანაშია).

ლეჩხუმს ძველად თაკვერი ერქვა. ამ უკანასკნელისგანაა წარმომდგარი გვარი თაკვარელია (ვ. თოფურია).

ი. მაისურაძის სიტყვით, სატომო სახელები ხშირად იქცეოდნენ ადამიანთა სახელებად. ამის მაგალითებია: კახა, მესხა, ჭავახა, რომელებიც გვირებშია ჩაქსოვილი (კახაძე, მესხაძე, ჭავახაძე). ისეთივე გვარია სანიკიძე, რომლის ფურქე სანიკი, საკუთარ სახელად ქცეული, სვანთა ძველ სახელწოდებას ემთხვევა. ამავე სახელწოდების ძირეულ სახელს (სან, ზან) გვიჩვენებს შემდეგი გვარები და სოფლის სახელები: სანაძე, სანიშვილი, სანოძე, სანაია, ზანავა, ზანათი, საზანო (იხ. ი. მაისურაძე, რკინა, ფოლადი და გორდა ხმალი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 31.X.1970).

ქართულში გვაქვს საკუთარი სახელი ბასი; ბასია, ბასო, ბასუკა (რაჭაში, სოფ. ჭიორაში). ბასი უდევს საფუძვლად გვარს — ბასიშვილი; ალბათ, კახი საკუთარი სახელია კახნიაშვილების გვარის საფუძველი, ხოლო ხევსურული კაცის სახელი მინდია — მინდიაშვილებისა, ცოტნე — ცოტნიაშვილებისა, ოთია — ოთინაშვილებისა, ადამი — ადამაშვილებისა. კარალეთში (გორის რაიონი) დადასტურებულია ქალის სახელი ბაბუცა, აქედან გვარი — ბაბუციძე, კაცის სახელია ბეთლემ, აქ-

ედან — ბეთლემიშვილი; ბარი შვილის გვარი ბარი, როგორც ცისაკაცია. მეურნეო იარაღს, კი არ უკავშირდება, არამედ ბარიე საკუთარ სახელს, რომელიც სამეგრელოში (სოფ. ბანდა) გვხვდება (ბარიე-ბარი-ბარიშვილი).

ქართულში დასტურდება ისეთი გვარებიც, რომლებიც უშუალოდ მიგვითოთებენ სადაურობაზე. ისინი ნაწარმოებია ადგილის სახელწოდებისაგან წარმომავლობის სუფიქსის (ელ) დართვით. ასეთებია: მეტრეველი, ამაშუკელი, მაჩაბელი, თბილელი, ბოლნელი, მარანელი, აბაშელი, ახმეტელი, ბელაქნელი, ბეთანელი, გავაშელი, კაოგარეთელი, თბინვალელი, ინწყარელი, იშხნელი, ოცხელი, შილდელი, ყანჩაველი, კორინთელი, კეცხოველი, ცაგარელი, ჭაყელი. გვხვდება ისეთი გვარებიც, რომ დებშიც სადაურობის აფიქსი — ელ ზოგჯერ არ ჩანს, ზოგჯერ კი ადვილად გამოიყოფა; მაგალითად, აბოლიშვილი (მიღებულია არბორელიშვილისაგან; არბო სოფელია გორის რაიონში), აბინძელაშვილი (შდრ. ასპინძა — ასპინძელი), ბაჭელიძე (ბაჭი სოფელია ამბროლაურის რაიონში), ბანძელაძე (ბანძა სოფელია გეგმეტორის რაიონში), ბაშალეიშვილი (ბაში სოფელია სამტრედიისა და ზუგდიდის რაიონებში), ბრელიძე (ბრეთი სოფელია ქარელის რაიონში), გომელაური (გომი სოფელია სამტრედიის, კასპის, ონის, ხაშუ-

რის რაიონებში), გორდელაძე (გორდა სოფელია წულუკიძის რაიონში), ზოდელავა (ზოდი სოფელია ჭიათურის რაიონში), კოკელაძე (კოკი სოფელია ზუგდიდის რაიონში), მალლაქელიძე (მალლაქი სოფელია წყალტუბოს რაიონში), მუსხელიშვილი (მუსხი სოფელია ახალციხის რაიონში), ხონელიძე (ხონი) და ა. შ.

ზოგი გვარი არ არის წარმოქმნილი სპეციალური საგვაროვნო დაბოლოებით. ესენი უძველეს ვითარებას გამოხატავენ, მეტად ძველი წარმონაქმნია. ასეთ გვარებს აკუთვნებს ა. მაისურაძე შემდეგს: „შერმაღინი, ბაზალი, მუხირი, ამილახვარი, ციხისთავი, ერისთავი, ათაბაგი, მდივანი, გამგებელი, ჯანდიზი, მელვინეთუხუცესი, მამასახლისი, სვანი, დვალი, აფხაზი, მესხი, გურიელი, წერეთელი, გომართელი, იშხნელი და სხვ. (იხ. „მაცნე“, 1965, №1, გვ. 242).

ბევრ ქართულ გვარს აღვილად ექებნება ეტიმოლოგია. მაგ., როგორც ა. შანიძემ დაადგინა, კველა სიტყვა ქართულში X საუკუნეში არ ჩანს. კველა ნიშნავს ტურფას, მშვენიერს, ლამაზს. კეტელა საკუთარ სახელადაც იქცა. ასეთი სახელი შეიძლება კაცსაც დარქმეოდა და ქალსაც. ამ სახელიდანაა ნაწარმოები გვარი კეპელიძე, რომელიც გავრცელებულია განის რაიონში, აჭარაში, ნაწილობრივ გურიაშიც. კეკელა ფორმაში ბოლო კიდური ა წარმოშო-

ბით კნინობითის მაწარმოებელია, დარჩენილი კეკელ გაორკეცებული ფუძეა. მის პირველ ნაწილში ლ არის დაკარგული. თუ მას აღვაღენთ, გვექნება: კელ-კელ → კეკელ → კეკელა → კეკელიძე. ასეთი გზა გავლო ამ ფორმამ (იხ. ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, გვ. 23-32).

დათუსანი, ჩიქოვანი, გელოვანი და სხვა ამგვარი გვარების მშვენიერი ეტიმოლოგია მოგვცა მ. ალავიძემ.

გ. როგავა მიუთითებს, რომ ფეოდალური წყობილების დაღი აზის მეგრულ გვარებს, რომელთაც დაერთვის ჰერონ კომპონენტი: გეგე-ჰერო-ი, სიტყვასიტყვით — „გეგეს ყმა“, ვაღა-ჰერო-ია — „ვაღას ყმა“, ბა-ჰერო-ია (პაპა-ჰერო-ი) „მღვდლის-ყმა“.

მეგრული „ჰერო“ (ყმა) ფუძის პირვანდელი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ვაჟი, ყმაშვილი. ეს ფუძე უნდა უკავშირდებოდეს გურიაში გაერცელებულ ვაჟის საკუთარ სახელს ჰოლა (აქედან გვარი ჰოლაძე). „ჰერო“ ფუძის ძირია ჰე (ჰ); კანონზომიერი შესატყვისი ქართული ჰე ძირისა ჰოლა ფუძეში, — ორ და ოლ სუფიქს-დეტერმინანტებია.

უძველესი წარმოშობისა ჩანს აგრეთვე — ბერ სუფიქსიანი გვარები — კახა-ბერ-ი, სულა-ბერიძე, გოგი-ბერი-ძე და სხვ. კახა-ბერ-ი სიტყვასიტყვით იქნება კა-



ხას ვაჟი, ქახას შვილი. შდრ. ჭანური ბერე „ვაჟი“, „შვილი“.

ამგვარად, ქართულ გვარებში პატრონიმისტიკული ფუძე — სუფიქსი შვილის მნიშვნელობით გვხვდება შემდეგი: -შვილ, -ძე, -სქირ, -სქუა, -ბერ.. (იხ. გ. როგვარ, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის: ქმ, XIII, 1955, გვ. 1-2).

როგორც ცნობილია, ქართულში ადრიდანვე გავრცელდა ბერძნულ-რომაული და ებრაულ-ასურული სახელები. სპარსული სახელები ჩვენში განსაკუთრებით IV-V საუკუნეებში ვრცელდება. VII საუკუნეში შემოიჭრა ორაბული სახელები, XVI საუკუნიდან მომდლავრდა თურქული, XIX საუკუნეში — რუსული და XX საუკუნეში ამათ ევროპული სახელებიც მიემატა.

ა. შანიძე, ეხება რა თეოფორულ სახელებს, ქართულში, აღნიშნავს, რომ ისეთ სახელებს, როგორიცაა: მეფისა, მამისა, დედისა და გულისა და ამათგან ნაწარმოებ გვარებს არ უნდა ჰქონდეთ კავშირი სარწმუნოებასთან. ა. შანიძე, სხვათა შორის, იხილავს ორ გვარს — მეფისაშვილსა და მამისაშვილს.

ა. შანიძის აზრით, მეფისაშვილში გამოიყოფა სახელი მეფისა. ასეთი სახელი წარმოიშვა, უთურდ, საქართველოს მეფეთა ძლიერების ხანაში. ასეთი სახელი მე არ შემხვედრია, მიუთითებს ა. შა-

ნიძე, მაგრამ, უეჭველია, ერგო უდევს საფუძვლად მეფისაშვილების გვარს.

მიზანდასახულობით ეს სახელი, ალბათ იგივეა, რაც შაპყული („შაპის მონა“, რომლისგანაც ნაწარმოებია გვარი შაპყულიშვილი, ან შაპყულაშვილი), რუსული გაფორმებით შაპყულოვი. შაპყული-შვილები (შაპყულოვები) ცხოვრობენ წყნეთსა და ბაგებში, თბილისის ახლოს.

სახელი მამისა-ს შესახებ ა. შანიძე მიუთითებს, რომ ასეთი რამ გე ქალის სახელად გამიგონია, მაგრამ იგი შეიძლება კაცის სახელიც იყოსო. „არ ვიცი, განაგრძობს მკვლევარი, კაცისად უნდა ვიგულისხმოთ ის სახელი თუ ქალისად, რომელიც საფუძვლად დასდებით მამისაშვილების გვარს“ (იხ. „მაცნე“, 1967, № 2, გვ. 200).

მამისა ქალის სახელად უფრო ძველია, ვინემ კაცისად. ალლონტს მამაკაცის სახელად მამისა დადასტურებული აქვს პირველად ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის აღაპებში, ხოლო კაცის სახელად საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მიერ 1964 წელს გამოცემული ადამიანთა სარეკომენდაციო სახელების სიაში.

ცნობილია, რომ საქართველოში ცველაზე მეტად დაახლოებით 40-დე გვარია გავრცელებული. მათგან პირველ რიგში უნდა დავა-

სახელოთ გაფარიძე. გაფარა ფრინველია. ასე უწოდებენ ჩხიკვს უმტრესად აღმოსავლეთ საქართველოში, ამრიგად, გაფარა და ჩხიკვი ერთიდაიგივეა. გაფარადან თუ გაფარიძეა ნაწარმოები, ჩხიკვიდან დასავლეთ საქართველოში ხშირია გვარები ჩხიკვიშვილი და ჩხიკვაძე.

კინა ქართულად ნიშნავს პატარას, მაგ., კინა-ბიჭი, ფსევდონიმი კინა-ფშაველა, მისი შესატყვისია ციცქა, რაც აგრეთვე პატარას ნიშნავს. კინადან ნაწარმოებია ქართული გვარები კინაძე, კინაველიძე, ციცქადან — ციცქიშვილი.

საბერძნეთიდან შემოვიდა სახელი ნიკოლოზი (ნიკო). „ნიკე“ ბერძნულად გამარჯვების ღმერთის სახელია და ოთარგმნება, როგორც „გმარჯვება“. ეს ძირი გავრცელებული გვარების — ნიკოლაიშვილის, ნიკოლეიშვილის, ნიკოლოზიშვილის, ნიკოლაძის, ნიკოლავას საფუძველია (იხ. გრ. ზარიძე, ყველაზე გავრცელებული გვარები საქართველოში. გაზ. „თბილისი“, 12 დეკემბერი, 1961, გვ. 3).

ქართული გვარები იძლევიან ძვირფას ცნობებს ენის, ერის, ქვეყნის ისტორიისათვის. აბა, დააკვირდით ამ გვარებს თვითონვე თუ არ ღალადებენ თვითი ისტორიაზე: დალაქი — დალაქიშვილი, ზეინქალი — ზეინქლიშვილი, მექვაძე — მექვაბიშვილი, ქურდი —

ქურდაძე, ქურდიანი, მჭედელი მჭედლიძე, მჭედლიშვილი, დურგალი — დურგლიშვილი, ნაბადი — მენაბდე, ბუკი — მებუკე, კალატოზი — კალატოზიშვილი, ფეიქარი — ფეიქრიშვილი, მაჭანკალი — მაჭანკალაძე, ბაზიერი (ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშველ-მწვრთნელი და ყურისმგდებელი) — ბაზიერიშვილი, ხარატი — ხარატიშვილი, ხარაზი — ხარაზიშვილი, მეჯლანე — მეჯლანუაშვილი. სასიამოვნო ასოციაციებს იწვევს გვარები: ხაჭაპური — ხაჭაპურიძე, თიკანი — თიკანაძე, პური — პურიჭამიაშვილი, შველი — შველიძე, ღვინო — ღვინიაშვილი, ღვინიანიძე, ღვინერია, ღვინეფაძე, კალმახი — კალმახელიძე, წიწილა — წიწილაშვილი, ქათამი — ქათამაძე, გოჭი — გოჭაშვილი, სადილი — სადილიანი; ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგრძნობინებს გვარები: გამგონეიშვილი, მგალობლიშვილი, კეთილაძე, მშვენიერაძე, საყვარელიძე, სიხარულიძე, ოქროპირიძე, ირემაშვილი და სხვ. პირიქით, არასასიამოვნო ასოციაციები ახლავს გვარებს: მასხარა — მასხარაშვილი, თაგვი — თაგვაძე, ყრუ — ყრუაშვილი, საძაგელი — საძაგლიშვილი, ყვირილი — ყვირილიანი, ცალი ქალამანი — ცალქალამიძე, ხვადაგი — ხვადაგიანი, გიური — გიურმყრელი, ფეხმოჭრილი — ფეხმოჭრილაშვილი (დაწვრილებით იხ. ალ. ღლონტი, ქარ-

თული ლექსიკოლოგია, გვ. 127-
134). თითქოს ვარდის სურნელე-
ბა ახლავს გვარებს: ვარდი — ვა-
რდიაშვილი, ეკალი — ეკალაძე,
ია — იაშვილი, ენძელა — ენძე-
ლაძე, მიმოზა — მიმოზაშვილი და
სხვ. ბატონყმური ურთიერთობის
ანარეკლი იგრძნობა გვარებში:
ბატონი — ბატონიშვილი, გზირი
— გზირიშვილი; სავაჭრო კაპიტა-
ლის დარი აზის გვარს ჯიბიძე.

მეგრული ძირები ივარაულება
გვარებში: თოფურია (მეგრულად
თოფური — თაფლი), კურცხალია
(კურცხ — ღვიძება), ოდიშარია
(ოდიში — სამეგრელო), პაპავა
(პაპა — მღვდელი), პაპასქირი (პა-
პა — მღვდელი, სქირი — შვილი).
სხულუხია (სხული — მსხალი),
ქორთუა (ქორთუ — ქართველი),
ქობალია (ქობალი — პური), ტო-
რონჯაძე (ტორონჯი — მტრედი),
ღვინერია (ღვინი — ღვინო), ჭი-
თანავა (ჭითა — ჭითელი), ძეკონია

ჭყონი — მუხა), ჯირენანას (ჭვერიანი
რი — კარგი) და მრავალი სხვ.
ქართული გვარები უზარმაზარი
ოკეანეა, უდიდესი ლინგვისტიკუ-
რი მუზეუმია, რომელშიც, რო-
გორც თავანეარა წყაროში, გარკ-
ვევით ჩანს ჩვენი ერის წარსული,
აქმდება და მომავალი.

მაშასადამე, ქართული გვარები
უტყუარი სარკეა ქართველი ერის
ისტორიისა. მათში უკუფენილია
ენის ისტორიის უმნიშვნელოვანე-
სი მომენტები. ქართული ონომას-
ტიკონი, ცალკეული გვარების
ეტიმოლოგიური ჩვენება მეტყ-
ველებს ჩვენგან საუკუნეებით და-
შორებულ მოვლენებზე, საზოგა-
დოებრივი ცხოვრების სხვადასხვა
სფეროზე, ენის ისტორიაზე. ამი-
ტომ გადაუდებელი ამოცანაა ქარ-
თველურ გვარ-სახელთა ლექსიკო-
ნის შეღვენა-გამოცემა, შემდეგ კი
ქართული გვარების ეტიმოლოგი-
ური ლექსიკონის გამოქვეყნება.

ნები ცავიშვილი

აჭარული დიალექტის სამეურნეო ლექსიკიდან

„რაც უნდა მდიდარი და დახვეწილი იყოს სალიტერატურო ენა, მისი შემდგომი განვითარება ცოცხალ მეტყველებასთან კავშირის გარეშე წარმოუდგენელია“ (არნ. ჩიქობავა). მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ქართული სალიტერატურო ენაც დიალექტებით საზრდოობს (იგულისხმება, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ლექსიკა). ამ დიალექტთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აჭარული, რომელიც ისტორიულად შეპირობებული საყურადღებო თავისებურებებით ხასიათდება.

ჩვენ ამჟამად წარმოვადგენთ მხოლოდ რამდენიმე საინტერესო ლექსიკურ ერთეულს, რომლებიც ან ნაკლებად გვხვდებიან სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებში, ან განსხვავებული მნიშვნელობის მატარებლები არიან. ჩვენი ცალკეული დაკვირვებანი, რა თქმა უნდა, წინასწარი ხასიათისაა. ვეყრდნობით, ძირითადად,

შუახევის რაიონში, კერძოდ კა, მარითის ხეობაში 1971 წელს შეკრებილ მასალებს.

გოხი — ქართულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებში ძირითადი მნიშვნელობა ამ სიტყვისა შემდეგია:

1. დიდი ქვა, ლოდი, კლდის ნატეხი, მაგარი ჯიშის რიყის ქვა... „ეს პატარა მდინარე... ჩაჩრიალებდა ყვითელ გალიბულ ლოდებზე და გოხებზე“ (ვაჟა).

2. გოხი (გოხისა), გოხა (გოხასი) — გაუტეხელი, ურწყავი, მაღალი ადგილი, უბალახო და მწრაი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი II) შდრ.: თუშური გოხი, მრ. გოხები — მსხვილი ქვა... (3. ხუბუტია). ქიზიყური გოხი — კლდის მონატეხი დიდი ლოდივით (სტ. მენოვაშვილი).

ამ მნიშვნელობით აჭარულ დიალექტში „გოხი“ ჯერჯერობით არ არის ფიქსირებული. მაგრამ გვაქვს ზმა „დაგოხვა“ — მიწის

მსხვილი ბელტების (გოროხთა) დაშლის მნიშვნელობით. მაგალითად: „რომ დავთესავთ, ხამათ გოროხს დავგოხავთ“ (ს. წაბლანა).

საინტერესოა, აგრეთვე, ტოპონიმები: სოფ. კოხი (ქობულეთის რ-ნი), გოხინაური (შუახევის რ-ნი), კოხნარი... „გოხინავი“ და „საკოხია“ (მაჭახლის ხეობა). „გოხინავი მძიმე, ბელტი მიწაა, გოროხად ადგომა იცის“.¹

„გოხი“ მწირი, ხრიოკი მიწის მნიშვნელობით დაღასტურებული აქვს დოც. შ. ნიუარაძეს. მასვე აღნიშვნული აქვს ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობანი: „1. ღორმუცელა, გაუმაძღარი, მსუნავი; 2. მკვახე, უმწიფარი, საჭმელად უვარებისი ხილი (შდრ. ქართლური „გოხვა“ — განურჩევლად, დაურიდებლად მოკრეფა მწიფე და მკვახე ხილისა. იხ. ქვლ. II—ნ. ც.); გადატ. უკმეხი, უხეში, გაუთლელი; 3. ფუტკარი, რომელიც მიატოვებს საკუთარ სკას და მზა თაფლს დაეპატრონება სხვის სკაში.²

ჩვენ გვაინტერესებს უკანასკნელი მნიშვნელობა (პირველი, ვფიქობთ, მისგან უნდა მომდინარეობდეს). მარითის ხეობაში ძირითადად სწორედ ამ მნიშვნელობით

იხმარება. „გოხი“ — ესაა დამშეული, ან „დედოდაკარგული“³ უსფუსებული სკა, მიჭრილი სხვა (მეზობელ) სკასთან. გვხვდება შედგენილ შემასმენლადაც: „გოხის ადგომა“ („აღგება გოხი“).

„თუ დედოდა მუუკდა სკას, საჭმელი დიელია, გამრავლება არ შეუძლია, მიადგება საღ სკას. იმას ქვია გოხი. შეიქნება ჩხუბი, ორივე სკა დეიმისობა“ (ს. წაბლანა); ან: „რო ხილავ, ყველა (სკა) ერთადნა ხილო. ერთს თუ ხილავ, თაფლის სუნი დადგება და მეორე სკიდან გადმეიჭრება ფუტკარი, ადგება გოხი, ამ ნახილ სკაში მივა, რომ შეჭამადი შუუჭამოს, მაშინ იღუპება ორივე სკა“ (ს. ღლვანი).

„გოხი“ უწოდეს მეზობლის კართან თავშეყრილ, მოთამაშე ბავშვებსაც: „მაგზე რამ მიგიყვანათ, გოხი ხარ, გოხი?!“ (ს. მაწყვალთა).

საიდან უნდა მომდინარეობდეს „გოხის“ ეს მნიშვნელობა?

შეიძლება ვიფიქროთ: „გოხი//„გოხი“ ხომ იხმარება დასავლურ კილოებში სეტყვის მნიშვნელობითაც და „მომხდური ფუტკარიც“ სეტყვასავით მოდის, თითქოს (ე. ი. ლოგიკურ ასოციაციასთან გვქონდეს საქმე!)....

ჩვენს ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ძვ. ქართული ენისათვის ცნობილი „გოხინი“ — ღორთ საკურშილო ტუხინი (კერშილობა —

1 ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობის სამეურნეო ყოფა ტოპონიმიების შუქშე, მაცნე № 1, 1966, გვ. 106.

2 შ. ნიუარაძე, ქართული ენის ავარული დალექტი. ლექსიკა, ბათ., 1971, გვ. 149.

ნადირთ მაკინტლობა, მაკიანობა)“.
იხ. საბა და ნ. ჩუბინაშვილი; მსგა-
ვსია: გოქინი-კოქინი-ვირის ყრო-
ყინი (საბა). საქმე გვაქვს ხმაბაძ-
ვით სიტყვებთან და აფუსფუსე-
ბული სკაც, იქნებ „გოხინობს“,
ე. ი. იქნებ ერთი და იგივე ძირის
სიტყვებთან გვაქვს საქმე?

მ ო დ უ ლ ი — გამოფიტული
ჩიწა (ძირითადი მნიშვნელობა).
ნ. ჩიგავაძე, მთური შიწათმოქ-
მედება აჭარაში, საღისერტაციო
ნაშრომი. გვ. 44. შდრ.: გურული
„მოდულა — ე. ი. დიდი ხნის
ყანობით გამოფიტული მიწა“
(ს. უღენტი). ლაზ.: „იმ მიწას, რო-
მელიც 4-5 წლით დასვენებულია,
აღრემი (ყამირი) ეწოდება, ორი-
სამი წლის დამუშავების შემდეგ
კი — მოდული“:³

მარიოს ხეობაში ჩავიწერეთ
ასეთი ნიუანსითაც: „მიწა თუ და-
ისვენებს და მერე მოხნავ — მო-
დულია; ნამუშავ, დასვენებულ მი-
წას მოდული ქვია, უნამუშევარს
— ხამი“ (ს. წაბლანა).

შუახევში ერთ-ერთმა ინფორმა-
ტორმა გვითხრა: „მოთხრილ ყა-
ნას, დასათვალ გამზადებულს, მო-
დული ჰქვიაო“.

ეს ნიუანსები კვლავ შესამოწ-
მებელია.

სიტყვის ძირითად მნიშვნელო-
ბასთან დაკავშირებით კი გვებადე-

³ მ. ვანლიში, ა. თანდილავა, ლაზეთი,
თბ., 1964, გვ. 80.

ბა კითხვა: ხომ არ ერთიანდება
იგი „ა ო დ ვ ა“, „ა ო დ ი ლ ი“,
„ო დ ო შ ი“ სიტყვების -ოდ-ფუ-
ძესთან: მ ო დ უ ლ ი ← „მ ო დ-
ვ ი ლ ი“ — ამხმარი, გამოფიტუ-
ლი. შდრ.: ქართლური იოდება—
აოდვა ხდება; ა ო დ ი ლ ი — მარ-
ცვლის დასრულება-დამწიფებამ-
დე ამხმარი ან ჩამჭკნარი ყანა,
ცხელი ქარისა და დიდი სიცხისა-
გან. აჭარულ დიალექტში გავრცე-
ლებულია ო დ ო შ ი ც — მწიფე-
ბაში შესული სიმინდი ან პური.
გვხვდება ზმნაც: „შეოდოშდა“ —
მწიფებაში შევიდა. გვხვდება ეს
სიტყვა სხვა დიალექტებშიც: ქარ-
თლურში, ლეჩხუმურში, ხევსუ-
რულში. ამ უკანასკნელში „ადო-
ში“ ნიშნავს „ნედლ ყანას“ (ალ-
ჭინჭარაული).

გარევული სემანტიკური და
ფონეტიკური კავშირი უნდა იყოს
ამ სიტყვის -ოდ-ფუძესა, ჭინურ
ორდო, ორდოშ (ქართულ — აღ-
რე) სიტყვებსა და ცნობილი მეგ-
რული ხალხური სიმღერის „ოდო-
ის“ რეფრენთან.

ოდო, ოდოის ეტიმოლოგიაზე
მოსაზრებები წამოყენებული აქვთ
ნ. მარს და ვუკ. ბერიძეს. ნ. მა-
რი ამ სიტყვის ასეთ აგებულებას
წარმოგვიდგენს: ო-დიშ, საღაც ო
ქართულ სა-ს ეტოლება, დიშ
კი=ღიბ-ძიხ-ჭიქ.⁴ ვუკ. ბერიძე კი

⁴ ს. ჭანტურიშვილი, ნადური სიმღერა
„ოდოის“ საკითხისათვის, „მაცნე“,
1970, № 6, გვ. 98.

ო-ს ფუძისეულად მიიჩნევს და ოღიში ნათ. ბრუნვაა = ოღ-ის ქვეყანს. „ოღი“ კი მოსავლისა და ჰირნახულის ღვთაებაა.⁵ საინტერესო მოსაზრება წამოაყენა ამ საკითხზე ს. ჭანტურიშვილმა:⁶ იგი ერთმანეთთან აკავშირებს შემდეგ ტერმინებს: „უნდილი“, „დაოდვილი“, „ოდიანი“, „ოდოშლერი“... მისი აზრით, „ოდოდა“ უნდა უკავშირდებოდეს ცა-ღრუბლის ღვთაება „ობი“-ს, რომლის სეანური სახელწოდებაა „ვობი“, ანუ „ვები“. „ოღი“ სეანური „ვობი“-ს მეგრული სინონიმი უნდა იყოს.

რუ—1970 წელს შუახევსა და მის ახლომახლო სოფლებში ჩაწერილ მასალებში ჩვენი ყურადღება მიიქცია რუმ, როგორც მიწის (ყანის) გარკვეული მონაკვეთის (ფართობის) აღმნიშვნელმა ტერმინმა; იტყვოდნენ: „ერთი რუ ყანა, ან ორი რუ ყანა მოვხანიო“, მაგრამ ეს ფართობი არ იყო მტკიცედ განსაზღვრული.

მარიოთის ხეობაში ჩაწერილი მასალების მიხედვით, რუს ძირითადი მნიშვნელობა იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებში: კვლებს შორის გაყვანილი სარწყავი არხი. „მოხვის ღროს ღარუებ“, ან „რომ მოხნავ,

მოხნულში ღარუებ და მონებ-ვწყლავ“ (ს. წაბლანა).

ეს რუ სხვადასხვა სიღიღისაა და დამოკიდებულია ყანის რელიეფზე: „მინდორში რუ პატარა უნდა. გვერდში ღიღი უნდა, რომ არ გადასკდეს ნეხვწყალი“.

რუს გაყვანა, „ყანის ღარუება“ ხდება პირველი, ძირული ხენისას. საინტერესო რომ, ხარის მიერ პირველად გატანილ კვალსაც რუს უწოდებენ: „ძირულს რო ხნავ გუთნით, კვალი რომ გაგაქ, ის რუა“ (ს. წაბლანა); „ხარი რომ მიწას გაჭრის, კვალი რომ გავა, იმას ქვია რუ“ (შუახევი).

რუ მოხნული ყანის მონაკვეთია, ვიღრე სარწყავი არხი გავიღოდეს. ამიტომ ხარის შესვენებასაც ასე ზომავენ: „სამ რუზე შესვენებ ხარს“. (ს. წაბლანა).

რუ ჰქვია წისქვილის არხსაც: „წყალი მიღის რუში. დაქანებამდე ბელლარი ქვია, მერე — ღარა“ (ს. სამოლეთი).

ხევსურულში რუვი (ნასათარი) ჰქვია, აგრეთვე, წინასწარ გამზადებულ, შვეულ გზას ხეების დასაცურებლად (ა. ჭინჭარაული).

მაშ, რუ თავდაპირველად, შესაძლებელია, ნიშნავდა, საერთოდ, გაჭრილ, გაკვალულ მიწას; დარუება — კვალის გატანას. შემდეგ კი გაჭრილი მიწის ვიწრო ზოლს, გარკვეული მნიშვნელობის მქონეს.

5 ვუკ. ბერიძე, ოღი, ოღიში და ოღოია, „მნათობი“, 1959, № 12.

6 ს. ჭანტურიშვილი, დასახ, ნაშრომი, „მაცნე“, № 6, 1970, გვ. 97-104.

ფიჭინა — სამი წლის დეკეული: „ერთ წლამდე ხბოა, ორ წლამდე — ნაბერწალი, მერე, სამწლიანი — ფიჭინაა“ (მთა ჩირუხი, ს. დარჩიძეების იაილა); „სამი წლისა ფიჭინაა“ (ს. პაპოშვილები).

ეს სიტყვა უნდა მომდინარეობდეს ქართველური ენებისათვის საერთო ფუძიდან: კან-მეგ. ფუჭიდან, რომელიც შეესიტყვება ქართულ ფურ-ს (შდრ. ყური — ყუჯი, ხარი — ხოჯი).⁷ ფუძეში ხმოვნის ცვლილება (უ→ი) იქნებ გამოწვეულია თურქულ ფიჯ-თან ასოციაციით (ფონეტიკურად იგი გამართლებულია). აჭარულ დიალექტში ეს უკანასკნელიცაა დაცული „ბუშის“ მნიშვნელობით. ზოგიერთი მთხოვნელის განმარტებით, ფიჯინა მაშინ ჰქვია დეკეულს, თუ „ადრე დეკეულობს“.

მაშ, ფიჯინა უნდა მომდინარეობდეს ფუჯი — ფუჯინა-დან, შდრ.: ფუჩინა; ამ სიტყვაში უნდა იყოს დაცული ქართველური ფუძე ფუჯი: ფური.

ჭიორი // ჭორი — ფუტკრის კვერცხი (თუ — მატლი?).

„გამოსვლისპირაა, ყვავილის ზიდვას რო დეიწყებს ფუტკრი, მაშინ დებს ჭიორს (კვერცხს)“ (ს. წაბლანა).

საინტერესო „ჭორის ჩასხმა“
„ჩასხვა ჭორის კვერცხის გამოსვლის და მატლის გამოსვლის კვერცხის რო დადებს, — ჭორი ჩასხაო, — ვიტყვით (ს. დღვანი). მაგრამ „სამ დღეს უკან დაწვება პირველი კვერცხი, მერე ფუტკარი აძლევს მაგას შერბეთს, მერე ითვლება ჭორათ. ცუდი ამინდებით შეიქნა, ჭორი ფუტდება: პროხი ტოვებს მაგას და ფუტკარი, ყველა ერთათ, თავს იყრის სადედურში... ყველა ნაწილს დედო ველარ დაათბუნებს და გაფუჭდება ჭორი“ (ს. დღვანი); ან „კვერცხის რო მატლი გახდება, მაგას ქვია ჭიორი“ (ს. გოგაძეები).

ეს ფუძე დაცულია, აგრეთვე, ზმნაში: „ამჭორვა“: „ამიმჭორდა წყალი“, ე. ი. დამიობდა, დამიმატლიანდა“.⁸

მსგავსი მნიშვნელობით ეს სიტყვა სხვა დიალექტებში ჯერ არ უნდა იყოს დადასტურებული. განმარტებით ლექსიკონში არის ჭიორა (ჭიორასი): „იგივეა, რაც ჭიოტა“, ხოლო ჭიოტა: „...პატარა, წვრილი“. (შდრ. ჩიორა).

ჭიორი ფონეტიკურად მსგავსია ჭიორასი, სემანტიკურადაც — როგორც პატარა. მაგრამ, შესაძლებელია, იგი უფრო სხვა წარმომავლობისა იყოს: „ჭორი“ ზანურ ფუძედ გამოიყურება. მნიშ-

7 არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ. 1938, გვ. 78.

8 ცნობა მოგვაწოდა ფილოლოგიურ მეცნ. კანდ. ალ. მსხალაძემ.

უნელობით იგი უახლოვდება ქართ. წილ-ი და წულ-ი სიტყვებს (-ილ, -ულ, -ორ შესაბამისად, ფუძის გა-მფორმებელი აფიქსებია), მაგრამ წილ-ს მეგრულ-ჭანურში „ჭკირ“ შესატყვისება (წულ-ის ზანური შესატყვისი არ ჩანს. სვანურში კი მას „ჭუშ“ შესაბამება).⁹ საკითხი დგას — იორ და — ორ სუფიქსთა ურთიერთმიმართების შესახებაც. ჭორ-ფუძე მეგრულში სხვა მნიშვნელობით გვხვდება: ჭორი, ჭოროფა — „ხშირი ავდრები“, რომელიც ქართული წყალის შესატყვისია.¹⁰

ეს ფუძე აჭარულ ღიალექტში დაცულია ზმნაში „გამჭორვა“ — გაუღენთა.¹¹

გვხვდება „დამჭორვაც“; „მლა-შე, ჭარბმარილიანი ყველის, ხორცისა და მისთ. განელება ცივი წყლით, ზედმეტი მარილიანობის

გამოტანა წყალში გაღინობით, მხალეულის წამოდუღება და წვენის გადაწურვა სიმწარის მოსაცილებლად“.¹²

ხელვაჩაურის რაიონში ჩვენ ჩავიწერეთ ამის საპირისპირო მნიშნელობა: „დავმჭორე ხორცი—მარილი დავყარე, არ გაფუჭდესო“. შედრ.: „ამიმჭორდა წყალი“.

თუ ვივარაუდებთ, რომ იგივე ფუძეა (ჭორ: წყალ) ფუტკრის კვერცხის (მატლის) აღმნიშნელი ჭიორი (ჭორიც), მაშინ ასოციაციით შერქმეულ სახელთან უნდა გვქონდეს საქმე: ფუტკარი კვერცხს „ნიალვარივით“, უამრავს ყრის (?). საინტერესოა ამ მხრივ ზემოთ აღნიშნული გამოთქმა „ჭორი ჩაასხაო“.

ვიდრე გადაჭრით რაიმე ითქმოდეს, ეს სიტყვა საძიებელია, რათქმა უნდა, სხვა კილოებშიც.

9. გ. მაჭავარიანი, საერთო ქართველ-ური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965, გვ. 30.

10 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 81; გ. თოფურია, წყალ-ფუძის შესატყვისისათვის ზანურში, „მაცნე“, 1971, 2, გვ. 117.

11 ცნობა მოგვაწოდა ფილოლოგიურ მეცნ. კანდ. აზ. ახვლელიანშა.

12 შ. ნიუარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

შოთა თორეაძე

შემომითი რეზერვების ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნის ისტორია

საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგარი სერიოზული ეკონომიური ამოცანების გადაჭრის გზაზე უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა შრომითი რეზერვების ერთანი სახელმწიფო სისტემის შექმნას.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებამ „სსრკ სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის შესახებ“ საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნას და იგი იქცა ამ სისტემის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად.

ბრძანებულება ითვალისწინებდა პროფტექნიკური განათლების სისტემის მეშვეობით ყოველწლიურად 800 ათასიდან ერთ მილიონამდე კვალიფიციური მუშახელის მომზადებას სახალხო მეურნეობის დარგებისათვის. დამტკიცდა სასწავლებლების სამი ძირითადი ტი-

პი: სახელოსნო სასწავლებლები ორწლიანი სწავლების ვალით; რკინიგზის სასწავლებლები ასევე ორწლიანი სწავლებით; საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები მასობრივი პროფესიის მუშათა მოსამზადებლად განსაკუთრებით მეტალურგიული, ქვანახშირის, სამთამაღნო მრეწველობისა და მშენებლობისათვის.¹

სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი-სა და სსრკ სახკომსაბჭოს 1941 წლის 22 აპრილის დადგენილებით სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს ევალებოდა 1941 წლის 5-დან 20 ივნისამდე მიეღო საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში 325 ათასი, ხოლო სახელოსნო და რკინიგზის სახელოსნო სასწავლებლებში 5 ივნისიდან 2

1 ა. ღუნაევი. სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის როლი მუშათა კვალიფიციური კადრების კვლავწარმოების საქმეში სსრკ-ში, სმოლენსკი, 1958 წ. გვ. 3.

აგვისტომდე — 329 ათასი კაცი.²

1940 წლის 2 დეკემბერს დაიწყო მეცადინეობა 621 სახელოსნო, 122 რკინიგზის სახელოსნო და 806 საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში.³

შრომითი რეზერვების ერთიანი სახელმწიფო სისტემა ითვალისწინებდა და ინარჩუნებდა ყოველივე დაღებითს, მანამდე არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების მიერ დაგროვილ გამოცდილებას და ამასთან ერთად მოწოდებული იყო აღმოფხვრა არსებული ნაკლოვანებანი მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

სსრკ მუშათა კლასის შევსების მომზადების ახალი სისტემის თავისებურებანი გამოიხატებოდა შემდეგში: სახელოსნო, რკინიგზისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეები წარმოადგენს სახელმწიფო შრომითს რეზერვებს, რომელთა ხარჯზე ხდება მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის შევსება აუცილებელი კვალიფიციური კადრებით; სახელმწიფო გეგმაზომიერად ამზადებს სახალხო მეურნეობისათვის მუშა სპეციალისტებს საჭირო რა-

ოდენობით და აგზავნის მათ კოლეგიალური კეულ დარგებში; შრომითი რეზერვების სასწავლებლების დაკომპლექტება ხდება ორგანიზებულად ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის ხარჯზე. მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის ყველა ხარჯი სახელმწიფომ იყისრა და სასწავლებლებმა ფართოდ გაულეს კარი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობას, მისცეს მას სრული საშუალება პირადი სურვილისა და მიღრეკილების მიხედვით აირჩიოს პროფესია. საწარმოო სწავლება შრომითი რეზერვების სკოლაში დაუკავშირდა ისეთი პროდუქციის დამზადებას, რომელსაც უშუალო საწარმოო ღირებულება აქვს. ეს ხელს უწყობს შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი შეგნებული დამკიდებულების ჩამოყალიბებას და წარმოადგენს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს.

აქ შეიძლება გავიხსენოთ თ. დოსტოევსკის „მკვდარ სახლში“ აღწერილი ეპიზოდი, როცა პატიმრებს აძლევენ მორებს, რისგანაც ფიცარს ამზადებენ. ისინი ფიქრობენ, რომ მათ მიერ დამუშავებული ხე რაღაც საქმეს ხმარდება. მაგრამ, როგორც კი გაიგებენ, რომ მათი შრომით შექმნილი მასალა ტყუილად იყრება, არავის ესაჭიროება და მათი გარჯა ფუჭია, ყველანი გულს აიცრუებენ მუშაობაზე მიუხედავად იმისა, რომ ისინი არაფერს იღებენ. ცხადია.

2 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, ანაზერი 1, ნაწ. 9, ს. 11645, ფ. 108-110.

3 ფ. ჩერკაშვილი. სოცმეზიბრება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, გ. პროფესიებამომცემლობა, 1960, წ., გვ. 4.

1. ასარგებლო შრომა აინტერე-
სებს, სტიმულს აძლევს ადამიანს
თუგინდ ანაზღაურებასაც არ მო-
ელოდეს.

მოსწავლეთა შრომის დაკავში-
რება უშუალოდ საწარმოო ღირე-
ბულების მქონე პროდუქციის შე-
ქმნასთან დიდმნიშვნელოვანი ფა-
ქტორი იყო ამ სისტემის სკო-
ლების ცხოვრებაში. შრომითი
რეზერვების სასწავლებლებსა და ა
და სკოლებში იქმნება პირობე-
ბი ახალგაზრდობის ინდივი-
დუალური ნიჭისა და მიღ-
რეკილების გაფურჩქნისათვის.
სასწავლებლებში ახალგაზრდობა
გარდა ზოგადსაგანმანათლებლო,
ზოგადტექნიკური ცოდნის მიღე-
ბისა და პროფესიის მიხედვით
პრაქტიკის გავლისა, გადის პოლი-
ტიკური აღზრდის გარევაულ სკო-
ლას, იძნეს კულტურული ქცევის
ჩვევებს, ხდება კოლექტივისტი,
იზრდება მეგობრული ურთიერთ-
დახმარების აუცილებლობის
რწმენით, რასაც გადამწყვეტი
გნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის
მუშათა კლასის სოციალისტური
შეგნების ჩამოყალიბების საქმეში.

ასეთია ის თვისობრივი ცვლი-
ლებები, რაც შრომითი რეზერ-
ვების ერთიანი სახელმწიფო სის-
ტემის ჩამოყალიბებამ განაპირობა
ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეო-
ბისათვის კვალიფიციური მუშა-
კადრების მომზადების საქმეში.
ამრიგად შეიქმნა საშუალება პრა-
ქტიკულად განხორციელებულიყო

მუშათა კლასის კულტურული და
ტექნიკური დონის საინჟინრო-
ტექნიკური მუშაკების დონემდე
სწრაფად ამაღლების ამოცანა და
ამით შემცირებულიყო, ხოლო მო-
მავალში მოსპობილიყო განსხვავე-
ბა ფიზიკურსა და გონებრივ შრო-
მას შორის.

სახელმწიფო შრომითი რეზერ-
ვების სისტემისაღმი ხელმძღვანე-
ლობა დაევალა ამ საქმისათვის
სპეციალურად შექმნილ სსრკ სა-
ხალხო კომისართა საბჭოსთან არ-
სებულ შრომითი რეზერვების
მთავარ სამმართველოს, ხოლო
მოკავშირე რესპუბლიკურში ჩამო-
ყალიბდა შრომითი რეზერვების
რესპუბლიკური სამმართველოები.
სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-
უმის 1940 წლის 2 ოქტომბრის
ბრძანებულება ითვალისწინებდა
ქალაქისა და სოფლის ახალგაზრ-
დობის გარევაული ნაწილის გაწ-
ვევას პროფექციურ სასწავლებ-
ლებში. ამ ბრძანებულების საფუ-
ძველზე საქართველოს კპ(ბ) ცენ-
ტრალური კომიტეტის ბიურომ
1940 წლის 14 ოქტომბერს მიიღო
გადაწყვეტილება სახელოსნო,
რკინიგზის სახელოსნო და საფაძ-
რიკო-საქართველო სწავლების სკოლ-
ებში ახალგაზრდობის გაწვევის
შესახებ. ამ გადაწყვეტილების
თანახმად ქალაქებსა და რაიონულ
ცენტრებში იქმნებოდა კომი-
სიები საბჭოების აღმასკომების
თავმჯდომარეთა ხელმძღვანელო-
ბით, რათა გაწვევას (მობილიზაცი-

ას) პეტონიდა ორგანიზებული ხასიათი. ქალაქებიმებისა და რაიონმების მდივნებს ეკისრებოლდათ პეტონალური პასუხისმგებლობა კონტრინგენტის დროული შეგროვების, სამედიცინო გასინჯვის ორგანიზაციისა და კოლმეურნეობიდან გაწვეული ახალგაზრდობის ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით უზრუნველყოფისათვის კოლმეურნეობათა ხარჯზე, თანახმად მთავრობის დადგენილებისა.⁴

საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ სახეომსაბჭოს 1941 წლის 22 აპრილის ერთობლივი დადგენილებით საქართველოში პროტექტინგური განათლების სასწავლებლებში ახალგაზრდობის გაწვევის გეგმა ითვალისწინებდა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში 2.100 და სახელოსნო და რეინიგზის სახელოსნო სასწავლებლებში 3.650 მოსწავლის მომზადებას.⁵

რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გაუჩაღეს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ყველა ქალაქსა და რაიონში, ყველა საწარმოსა და კოლმეურნეობაში შრომითი რე-

4 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, ნაწ. 8, ს. 10657, ფ. 39, 40.

5 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტ. არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, ნაწ. 9, ს. 11645, ფ. 108-110.

ზერვების ახალი სისტემის, მისი სკოლების და არსებული პროფესიული სიების ფართო პრობაგანდის, ახალგაზრდობის მიზიდვის მიზნით. ახალგაზრდობას აცნობდნენ სწავლების პირობებს, მათვების სანტერესო პროფესიებს, აძლევდნენ პროფესიულ ორგანტაციას.

თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ცხინვალში, ჭიათურაში, წულუკიძეში, ბორჯომში, ტყიბულში, სამტრედიაში, აკარმარაში კვალიფიციური მეტალისტების, მშენებლების და მეშახტეთა მოსამზადებლად სამრეწველო საწარმოთა, სამინისტროთა და უწყებათა ბაზაზე შეიქმნა 10 სახელოსნო სასწავლებელი ორწლიანი სწავლების ვადით. ამავე ვადით შეიქმნა მემანქანეთა თანაშემწევების, გზის სამსახურის ბრიგადირთა, ორთქლმავალთა და ვაგონთა შემცეთებელი ზეინკლების ორი სასწავლებელი და მეტალისტების, მშენებელთა და სამთამადნო მრეწველობისათვის მუშა კადრების მოსამზადებლად ცხრა ექვსთვიანი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა.⁶

საქართველოს ახალგაზრდობა ენთუზიაზმით გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას და მასობრივად დაძრა პროფტექტინგური სასწავ-

6 მ. ფ. ჩიხლაძე, ე. ი. ტყებუჩავა, საქართველოს მუშათა კლასის ახალგაზრდა და თაობა, თბ., „ნაკადული“, 1968 წ. გვ. 31.

 ლებლებისაკენ ახალი პროფესიების ასათვისებლად, რაც ეგზომენსაჭიროებოდა ჩვენი რესპუბლიკის სწრაფად მზარდი სახალხო მეურნეობის დარგებს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ასეთი შედარება: სსრკ უმაღლესი საბჭოს 1940 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებამდე რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში ითვლებოდა 2.270 მოსწავლე, ხოლო ბრძანებულების შემდეგ პირველმა ნაკადმა პროფ-ტექნიკური განათლების ყველა ტრიპის სკოლაში 4.700 შეადგინა. ესე-იგი, მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა 206,6 პროცენტით.⁷

რესპუბლიკის სახელოსნო, რკინიგზის სახელოსნო და საფარიკო-საქარხნო სწავლების დაწესებულებებში ხელმძღვანელ, პედაგოგიურ, საწარმოო და აღმზრდელობით სამუშაოზე გაიგზავნა პედაგოგიური და საწარმოო გამოცდილების მქონე სპეციალისტები. მათთან ერთად შრომობნენ ძველი პროფტექნიკური განათლების სკოლების გამოცდილი მუშაკები. ბევრი მუშაკი მოვიდა საბაზო სამრეწველო ორგანიზაციებიდან.

ახალი სისტემის შემოღებისთანავე სასწავლო გეგმებში მეტი ღრო დაეთმო საწარმოო სწავლე-

ბას, მოსწავლეები მუშაობდნენ სრულფასოვან ნედლეულზე მასალაზე, ნამდვილ თანამედროვე დაზგებსა და მოწყობილობაზე, უშაალოდ სამშენებლო ობიექტებსა და მოქმედ ტრანსპორტზე. თეორიული სწავლება მიმართული იყო იქეთ, რომ მიეცათ მოსწავლეთათვის აუცილებელი ტექნიკური და ეკონომიკური ცოდნა წარმოების ძირითადი პროცესების შესახებ, გაეცნოთ მათთვის მეტად მაღალნაყოფიერი, მოწინავე მეთოდები შრომის ორგანიზაციისა საწარმოებში.

სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის ორგანიზაცია საქართველოში იქცა ერთ-ერთ სერიოზულ და აუცილებელ პირობად რესპუბლიკის მუშათა კლასის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, იგი იყო მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების უმნიშვნელოვანესი საქმის ორგანული ნაწილი და, თუმცა საქართველოში არ იგრძნობოდა ისე, როგორც სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებში ეროვნული მუშათა კადრების ნაკლებობა პროცენტული შედარებით, მაგრამ შრომითი რეზერვების სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებამ მანც დიდი ბიძგი მისცა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებას ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე.

1941 წლის 26 იანვარს ჩატარდა

⁷ უურნალი „პლანოვო ხაზიაისტვო“, მოსკოვი, 1940 წ., № 11, გვ. 36.

საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლების მუშათა და პედაგოგთა პირველი რესპუბლიკური თათბირი ახალ სისტემაზე გადასცლიდან ორი თვის მუშაობის შედეგების შესახამებლად. აქ შეჯამდა სასწავლო-საწარმოო სწავლებაში, აღმზრდელობით და კულტურულ მასიურ მუშაობაში მიღწეული პირველი წარმატებები. აღინიშნა, რომ საბაზო საწარმოთა დაკვეთების შესრულებაში განსაკუთრებით თავი ისახელეს თბილისისა და ბორჯომის №№ 1, 3, 5, 6, 7, თბილისის № 1 რკინიგზის, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ბორჯომის, ჭიათურის, ტყიბულის, აკარმარას №№ 1, 4, 5, 7 საფაძრო-საქარხნო სწავლების სკოლებმა. მაგრამ ამასთანავე ერთად აღინიშნა სასწავლო პროცესისადმი ზოგიერთ სასწავლებელში სუსტი ხელმძღვანელობა, პედკოლექტივთან არასაკმაო მეთოდური მუშაობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისუსტე, მოსწავლეთათვის სამუშაო აღვილების

ორგანიზაციის ნელი მიმდინარეობა და და უსაკმაობა და სხვ. აღინიშნა მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, აუცილებლობა.⁸

საქართველოში საფაძრიკო საქარხნო სწავლების სკოლების პირველი გამოშვება მოეწყო 1941 წლის მაისში. სახალხო მეურნეობაში მიიღო 1.500-ზე მეტი ახალგაზრდა მშენებელი, სამთამაღნოდა ქვინაბშირის მრეწველობის, რკინიგზის ტრანსპორტის კვალიფიციური მუშა. ეს იყო შრომითი რეზერვების სახელმწიფო სისტემის მიერ მომზადებული მუშათა პირველი ნაკადი. გარდა ამისა აღნიშნულმა სკოლებმა შესრულეს 317 ათასი მანეთის სახელმწიფო დაკვეთები.⁹

ამრიგად თვით ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ კვალიფიციურ მუშათა მომზადების ახალმა ფორმაში მოლიანად გაამართლა და სახ. შრომითი რეზერვების სისტემის შექმნის იდეამ გაუძლო პირველ გამოცდას.

8 მ. ჩიხლაძე, ე. ტყებუჩავა, საქ. მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობა, თბ., „ნაკადული“, 1968, გვ. 35.

9 იქვე, გვ. 36 (თანხა ნაჩვენებია ფულის ახალი კურსით).

ამისან თავართეიღაძე

ვაჭრობა და მშრომელთა მაზარიალური კათილდღეობის ზრდა ეჭარაში

კომუნისტური პარტიის პროგ-
რამაში და სკეპ XIX ყრილობის
გადაწყვეტილებებში საბჭოთა ვა-
ჭრობა დასასიათებულია როგორც
ხალხის მზარდ მომხვენილებათა
დაკმაყოფილების აუცილებელი
.პირობა.

საბჭოთა ვაჭრობა წარმოადგენს
სასაქონლო მიმოქცევის ფორმას,
რომლის საშუალებითაც ხორციე-
ლდება სახალხო მოხმარების საქ-
ონლის გეგმიანი მოძრაობა წარმო-
ებილან მოხმარებლამდე. იგი
სხვადასხვა სოციალური ჯგუფების
ეკონომიური ურთიერთობის ერთ-
ერთი ძირითადი ფორმაა. ვ. ი. ლე-
ნინი მიუთითებდა, რომ „ეკონო-
მიური კავშირი გლეხობასა და
მუშებს შორის, ე. ი. მიწათმოქ-
მედებასა და მრეწველობას შო-
რის, შეუძლებელია, გარდა გაცვ-
ლა-გამოცვლისა, გარდა ვაჭრობი-
ლა“.¹

ვ. ი. ლენინის მითითებები სო-
ციალისტურ მშენებლობაში ვაჭ-
რობის მნიშვნელობისა და ამოცა-
ნების შესახებ მთლიანად ინარ-
ჩუნებს ძალას კომუნიზმის მშენე-
ბლობის პერიოდში.

საბჭოთა ვაჭრობის უმნიშვნელ-
ოვანეს მაჩვენებელს წარმოადგენს
საცალო საქონელბრუნვა. მასში
გამოსახულებას პოულობს რეალ-
იზებული საქონლის ღირებულება.
საცალო საქონელბრუნვის გეგმა
სახალხო მეურნეობის განვითარე-
ბის ერთიანი გეგმის შემადგენე-
ლია. საცალო საქონელბრუნვის
ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა
ბრუნვის მოცულობა და სტრუქ-
ტურა, წარმოადგენს გვაძლევს სა-
ხალხო მოხმარების დონეზე. საცა-
ლო საქონელბრუნვის გეგმის და-
მუშავების დროს გაითვალისწინე-
ბა ეკონომიური განვითარების თი-
თქმის ყველა მხარე. იმის გამო,
რომ მოკავშირე რესპუბლიკებისა
და მათში შემავალი ტერიტორიუ-
ლი ერთეულების ეკონომიური გა-
ნვითარების დონე ერთნაირი არ

1 ვ. ი. ლენინი, თხ. გ. 33, 1953.
. გვ. 173.



მისი მატება ორჯერ და მოტივი მაღალი იყო და 31 მილიონ 907 ათას მანეთს მიაღწია.

აჭარაში საცალო საქონელბრუნვის მძლავრი განვითარება ასახვის პპოვებს ბრუნვის მოცულობის გაანგარიშებით ერთ სულ მოსახლეზე. 1970 წელს აჭარის ერთ მცხოვრებზე 502 მანეთის საქონელი მოდიოდა, მაშინ როცა, მთლიანად საქართველოს მასშტაბით იგი 492 მანეთს შეაღენდა.

საცალო საქონელბრუნვის განუწყვეტელი გადიდებით დასტურდება, ჯერ ერთი, სოციალისტური წარმოების სისტემატური აღმავლობა, მეორე მხრივ, აჭარის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის შეუნე ლე პე ლი ზრდა.

საცალო საქონელბრუნვის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ბრუნვის სასაქონლო სტრუქტურა. საქონელბრუნვის მოცულობა ვაკრიბის რაოდენობრივი, ხოლო ბრუნვის სტრუქტურა ხარისხის მიხედვით განვითარება იყოს სრულყოფილი, თუ მას გავაშუქებთ ყველა ძირითადი ასპექტიდან. მთავარ ასპექტს კი წარმოადგენს საცალო საქონელბრუნვის მოცულობა და ზრდის ტემპი.

აჭარის საცალო საქონელბრუნვა 1960 წლის 88 მილიონ 600 ათასი მანეთიდან 1970 წელს გაიზარდა 155 მილიონ 463 ათას მანეთამდე. მხოლოდ უკანასკნელი სამი წლის ბრუნვის ნამეტი ორჯერ აღემატება ომამდელი პერიოდის ათი წლის (1930-1940) ბრუნვის ნამეტი. თუ 1961-1965 წლებში ბრუნვის ნამეტმა შეაღვინა 12 მილიონ 691 ათასი მანეთი, მომდევნო 1966-1970 ხუთწლეულში 4,3 პროცენტით გაიზარდა არა-

არის, განსხვავებულია მათი საცალო საქონელბრუნვის განვითარების ტემპიც. მაგალითად, საქართველოს სსრ ბუნებრივ-კლიმატური და სოციალურ-ეკონომიკური პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, ამის მიხედვით განსხვავებულია მოსახლეობის ფულადი შემოსავალი და მყიდველობითი ფონდები. ყოველივე ეს გადამწყვეტი გავლენას ახდენს რესპუბლიკის შიგნით საცალო საქონელბრუნვის განვითარების მიმართულებებსა და დონეზე, რაც თვალსაჩინოდ დასტურდება აჭარის მაგალითზე.

აჭარის, ისე როგორც სხვა ტერიტორიული ერთეულების, საცალო საქონელბრუნვის განვითარების ანალიზი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს სრულყოფილი, თუ მას გავაშუქებთ ყველა ძირითადი ასპექტიდან. მთავარ ასპექტს კი წარმოადგენს საცალო საქონელბრუნვის მოცულობა და ზრდის ტემპი.

აჭარის საცალო საქონელბრუნვა 1960 წლის 88 მილიონ 600 ათასი მანეთიდან 1970 წელს გაიზარდა 155 მილიონ 463 ათას მანეთამდე. მხოლოდ უკანასკნელი სამი წლის ბრუნვის ნამეტი ორჯერ აღემატება ომამდელი პერიოდის ათი წლის (1930-1940) ბრუნვის ნამეტი. თუ 1961-1965 წლებში ბრუნვის ნამეტმა შეაღვინა 12 მილიონ 691 ათასი მანეთი, მომდევნო 1966-1970 ხუთწლეულში

სასურსათო საქონლის ხვედრითი წონა, ამასთან არსებითი ძვრები მოხდა შიდა ასორტიმენტულ სტრუქტურაში.

საქონელბრუნვის სტრუქტურის გაუმჯობესება იმის ნათელი დაღასტურებაა, რომ სისტემატურად იზრდება აჭარის მოსახლეობის ფულადი შემოსავალი და მშრომელთა მოხმარების დონე. მაგალითად, თუ 1967 წელს ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო და კონპერაციულ ვაჭრობაში აჭარის მოსახლეობის მიერ საქონლის შესყიდვის ხარჯები შეადგენდა 115,54 მილიონ მანეთს, 1968 წელს იგი გაიზარდა 126,84 მილიონ მანეთამდე, 1970 წელს კი 146,34 მილიონ მანეთამდე. ამ თანხების ფაქტიურ სასაქონლო ბრუნვასთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ აჭარის მოსახლეობის მყიდველობითი ფონდების თანხებიდან 8-13 პროცენტი ადგილზე არაა გამოყენებული მისი დანიშნულებით, ანუ სახელმწიფო და კონპერაციულ ვაჭრობაში საქონლის შესასყიდად.

ამის ძირითადი მიზეზია აჭარისათვის საქონლის მიწოდების ორგანიზაციის ნაკლოვანებები. მართალია, გამოყოფილი ფონდები წლიდან წლამდე იზრდება, მაგრამ ფულადი შემოსავლის ზრდის ტემპი გაცილებით უფრო მაღალია. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარისათვის გამოყოფილი სასაქონლო ფონდების მნი-

შენელოვანი ნაწილი არ შეესაბამის მება მოსახლეობის მოთხოვნის სტრუქტურას.

ყოველივე ეს თავის მხრივ იმას ადასტურებს, რომ აჭარაში არსებობს საცალო საქონელბრუნვის კიდევ უფრო მაღალი ტემპით განვითარების ჩეზერვები და შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობის გამოუყენებელი მყიდველობითი ფონდების გათვალისწინებით. ამავე მიმართულებით მოქმედებს აჭარის საკურორტო ზონაში ყოველწლიურად ქვეყნის სხვადასხვა რაიონებიდან 100 ათასამდე არაორგანიზებული დამსვენებლების მიერ საქონლის შესასყიდად შემოტანილი თანხები.

აჭარაში ვაჭრობის შემდგომი განვითარებისა და ამით მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის უფრო სწრაფი გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა სასაქონლო ფონდების ზრდა. როგორც სკეპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებშია მოთითებული, სასაქონლო ფონდების სისტემატური გადიდება მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდის გადამწყვეტი პირობაა.

აჭარისა და მისი ტერიტორიული ერთეულებისათვის სასაქონლო ფონდების გამოყოფა ყოველწლის არ ემყარება მტკიცედ გაანგარიშებულ სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, კერძოდ მოსახლეობის რაოდენობას და სოციალურ სტრუქტურას, მოსახლე-

ტესად ავტონომიური რესუბლი.
კინ გარედან შემოზიდული საქონლოება
ნლით იფარება.

სასაქონლო რესურსების ზრდა-
სა და მოხმარების საგნებით მო-
სახლეობის უზრუნველყოფაში
მატერიალური წარმოების დარგე-
ბთან ერთად დიდი როლი აკისრია
თვით სავაჭრო ორგანიზაციებს.
ვაჭრობის ფუნქცია არ ამოიწურე-
ბა წარმოებისაგან მიღებული სა-
ქონლის მოსახლეობაზე დაყვა-
ნით. ამასთან იგი მოვალეა უკუ-
ზემოქმედება მოახდინოს წარმო-
ებაზე, რათა გაიზარდოს წარმოე-
ბული პროდუქციის მოცულობა,
გაუმჯობესდეს ხარისხი და გაფა-
როვდეს ასორტიმენტი.

ვაჭრობის ზემოქმედება წარმო-
ებაზე, მის ძირითად ფუნქციასთან
ერთად, არის ვაჭრობის დიდი მნი-
შვნელობის მაჩვენებელი სოცია-
ლისტური კვლავწარმოების პრო-
ცესში.

უკანასკნელ პერიოდში წარმოე-
ბისა და ვაჭრობის ეკონომიური
ურთიერთობის მრავალი ფორმა
დამკვიდრდა. მათ შორის ყველაზე
მთავარია სამეურნეო ხელშეკრუ-
ლებები. სამეურნეო ხელშეკრულ-
ების როლის განმტკიცებას გარ-
კვეული აღგილი უჭირავს პარტიის
ეკონომიურ პოლიტიკაში. ა. ნ.
კოსიგინი XXIV ყრილობაზე მოხ-
სენებაში აღნიშნავდა, რომ წარ-
მოების უზარმაზარი მასშტაბი
სულ უფრო მაღალ მოთხოვნას
უყენებს მიწოდების ვალდებულე-

ობის ფულად შემოსავალსა და
მყიდველობით უნარს, ქალაქისა
და რაიონების ეკონომიკის თავი-
სებურებებს (მრეწველობისა და
სოფლის მეურნეობის განვითარე-
ბის დონე) და სხვ.

გამოყოფილი სასაქონლო რესუ-
რსები მთელი რიგი წლების მანძი-
ლზე ვერ ფარავს საცალო საქონე-
ლბრუნვის გევმას, ზოგიერთ
წელს კი, მართალია, ფარავს სა-
ცალო საქონელბრუნვის გეგმას.
მაგრამ არ აღმატება მას. მატება
კი უცილებელია საგეგმო წლის
ბოლოს საქონლის მარაგისა და
დანაკარგები! შესავსებად.

აჭარისათვის სასაქონლო ფონ-
დების გამოყოფის დროს მუდამ
როდია მხედველობაში მიღებული
მისი. როგორც ეკონომიური ერ-
თეულის, თავისებურებანი, სახე-
ლდობრ, აქ ფართოდ განვითარე-
ბული საკურორტო მეურნეობის
არსებობა და საქონელზე სასხვა-
რაიონო მოსახლეობის მზარდი
მოთხოვნა.

სასაქონლო რესურსების დაგ-
უგშვის პროცესში ნაკლებადაა გა-
თვალისწინებული მაღალმთის ნი
რაიონების შედარებით დაბალი
სასაქონლო მოხმარება და აჭარის
მთისა და ბარის მოსახლეობის
ცხოვრების დონის დაახლოების
ამოცანები.

დაბოლოს, აჭარის სასაქონლო
ფონდებში ნაკლებად შეიმჩნევა
ადგილობრივი რესურსების ზრდა
და საცალო საქონელბრუნვა უმე-

გათა განუხრელად შესრულებას, მოსახლეობის მოთხოვნათა გულ-მოდგინე შესწავლას, წარმოების სწრაფ და მოქნილ გარღავმნას მოთხოვნის შეცვლის შესაბამისად.

წარმოებასა და ვაჭრობას შორის ეკონომიურად მიზანშეწონილ სამეურნეო ურთიერთობაზე და საქონლის მიწოდების რაციონალურ ორგანიზაციაზე დიდად არის უამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. საქონლის მიწოდებაში ასახვას ჰპოვებს წარმოებისა და ვაჭრობის ეკონომიური ურთიერთობის მთელი პროცესი და იგი ამყარებს თანაფარდობას საქონელზე მოთხოვნასა და მის მიწოდებაში.

ამჟამად წარმოებისა და ვაჭრობის ურთიერთობას არეგულირებს ახალი დებულება „სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის დადგენილებით.

მიწოდების ყველა წინანდელი პირობისაგან განსხვავებით, ამ დებულების მთავარი თავისებურება ის არის, რომ იგი ათავისუფლებს სახელშეკრულებო ურთიერთობას ზედმეტი აღმინისტრაციული რეგულირებისაგან.

ამის შედეგად 1970-1971 წლებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უფრო სრულყოფილად შეახამეს ცენტრალიზებული და-

გეგმვა აღვილობრივ საწარმოთა სამეურნეო ინიციატივასთან, შემდგომ განვითარდა რაციონალური სამეურნეო კავშირები სამრეწველო საწარმოებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს შორის და მიღწეული იქნა ვაჭრობის დაკვეთით მაღალი ხარისხის საქონლის გამოშვების მიზვნელოვანი ზრდა.

მოპოვებული წარმატებების მიუხედავად, მრეწველობისა და ვაჭრობის ეკონომიურ ურთიერთობაში ნაკლოვანებები მაინც ბევრია. მათი ძირითადი მიზეზია საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის არასათანადო შესწავლა და შეცდომები წარმოებისადმი წარდგენილი შეკვეთების ეკონომიურ დასაბუთებაში. ამიტომ აჭარაში წარმოებისა და ვაჭრობის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა აყენებს საქონელზე მოთხოვნის შესწავლის ძირეული გარდაქმნის საკითხს. საჭიროა მივაღწიოთ წარმოებაზე ვაჭრობის ზემოქმედების იმგვარად ამაღლებას. რომ სასაქონლო რესურსები, რომლებიც საცალო საქონელბრუნვის უზრუნველყოფისათვის შემოიზიდება, შეესაბამებოდეს აჭარის მოსახლეობის მოთხოვნის სტრუქტურას არა მარტო საერთო თანხით, არამედ ხარისხითა და ასორტიმენტითაც. არ იქნება სიმართლეს მოკლებული თუ ვიტყვით, რომ სავაჭრო ორგანიზაციებმა უმეტეს შემთხვევაში იციან მხოლოდ ის, რაზედაც მოსახლეობის

გველაზე დიდი მოთხოვნაა, ხოლო ზოგიერთ არასასურსათო საქონე-ლზე მოთხოვნის მეცნიერული შე-სწავლა აქამდე თითქმის არ ხდება.

წარმოებისა და ვაჭრობის ურ-თიერთობის გაუმჯობესებისა და ადგილობრივი რესურსებით მოსა-ხლეობის უზრუნველყოფის დიდ-მნიშვნელოვანი ფაქტორია აჭარის ადგილობრივი მრეწველობის ყო-ველი ღონისძიებით განვითარება. ამასთან იგი ხელს შეუწყობს ად-გილობრივი ნედლეულის, ენერგე-ტიკული და შრომითი რესურსე-ბის უფრო სრულად გამოყენებას და საქონლის ასორტიმენტის შე-

ხამებას მოსახლეობის მოთხოვნების თან. შემდგომ უნდა ამაღლდეს ადგილობრივი წარმოების ტექნი-კური და კულტურული დონე, რა-თა მის მიერ გამოშვებული პრო-დუქცია მიუახლოვდეს საკავშირო მრეწველობის პროდუქციის საუ-კეთესო ნიმუშებს.

ამ ღონისძიებათა გატარება მნი-შვნელოვნად გაადიდებს სასაქონ-ლო რესურსების მოცულობას. განამტკიცებს ვაჭრობის მატერია-ლურ ბაზას და შემდგომ აამაღ-ლებს აჭარის მოსახლეობის ცხოვ-რების დონეს.

საყურადღებო ნაშრომი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ ახლახან გამოაქვეყნა შ. ჯაფარიძის მონოგრაფია „აჭარის პარტიული ორგანიზაცია სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში“ (რედაქტორი პროფ. ი. მირცხვლავა). ეს მით უფრო მისასალმებელია, რომ აღნიშვნული საკითხი ლიტერატურაში დღემდე მკრთალად ყო გაშუქებული.

თემის შესწავლისათვის ავტორს დიდი შუშაობა გაუწევია; არქივებში მრავალი საინტერესო, მათ შორის დღემდე უცნობი მასალა გამოუვლინებია, რომელთა კრიტიკული შექმნათ, არსებული ლიტერატურის გათვალისწინებით, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოთა სახელმძღვანელო მითითებების მომარტვებით დამტლი საკითხები კარგად გაშუქებდა.

ნაშრომის პირველ თავში გადმოცემულია აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ისტორია. ავტორი სწორად ახასიათებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საქართველოში შექმნილ მდგრმარეობას და ამ ფონზე წარმოაჩენს აჭარ-

შ. ჯაფარიძე, აჭარის პარტიული ორგანიზაცია სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1972.

ის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების დაქვეითებას, რამაც მოსახლეობა არსებული წყობილების წინააღმდეგ ააშედრა. აქევე განხილულია მეცნიერებური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საერთო მიმართულება, მისი კავშირი ანტანტის იმპერიალისტებთან და ამ უკანასკნელთა პოზიცია საქართველოს მიმართ.

მეორე თაეში გაშუქებულია პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლის პერიოდში (1921-1925 წ.წ.). ავტორს სწორად აქვს მომარტვებული 1921 წელს ამიერკავკასიის კომუნისტებისადმი გამოგზავნილ ვ. ი. ლენინის წერილები, რომლებშიც მოცემულია სახელმძღვანელო დებულებები მასრის სამეურნეო-კულტურული ცალკეობის აღმავლობის და საერთოდ იქტომბრის რევოლუციის მონაბეჭდთა დაცვის შესახებ. ამ მითითებათა საფუძველზე ავტორი თანმიმდევრულად გვიჩვენებს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების ორგანების შექმნა-განმტკიცებას, მათი მოღვაწეობის თავისებურებებსა და დამახასიათებელ ნიშნებს, ამ კუთხის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის მნიშვნელობას, სოფ-

ლის მეურნეობისა და მრეწველობის აღ-
დგენა-განვითარებისათვის პარტიული
ორგანიზაციის ზრუნვას.

ამ თავში დიდ ინტერესს იწვევს სა-
კითხი — „ლენინური გაწვევა“ და მისი
როლი აქარის პარტიული ორგანიზაციის
განმტკიცებაში“. აქ გადმოცემულია ის
დიდი მწუხარება, რაც ამ კუთხეში გამო-
იწვია ლენინის გარდაცვალებამ. „არ და-
რჩენილა არც ერთი სოფელი, დასახლე-
ბული პუნქტი, რომ მოსახლეობა არ ჟე-
კრებილიყო სამგლოვარო მიტინგებზე,
სადაც ფიცს სდებლნენ, რომ მტკიცებ
გაჭვებოლნენ ლენინის მიერ ნაჩვენებ
გზას, არ გადაუხვეველნენ ბოლშევიკების
გენერალურ ხაზს და ბოლომდე მიიყვან-
ლენ ლენინის მიერ დაწყებულ საქმეს —
სოციალიზმის მშენებლობას“. ამ ფიცმა
კონკრეტული გამოხატულება პერვა პარ-
ტიაში ლენინური გაწვევის ღროს. „აქა-
რის პარტიულმა ორგანიზაციამ, სკუპ წე-
სდების შესაბამისად, პარტიის ცენტრა-
ლური კომიტეტის 1924 წლის იანვრის
პლენურის დადგენილების საფუძველზე,
ინდივიდუალური შერჩევის მტკიცებ და-
ცვით 1.000 კაციდან პარტიის რიცხვში
451 კაცი მიიღო“. ავტორი ხაზს უსვამს:
„549 განცხადებაზე პარტიული უჯრედე-
ბის მიერ უარის თქმამ დარწმუნ უპა-
რტიო მასები, რომ პარტიაში ლებულო-
ბენ მხოლოდ ღირსეულთ, შეეცნებულ და
მოწინავე ადამიანებს“. ამ ფაქტს კი მა-
შინ დიდი პოლიტიკურ-აღმზრდელობა-
თი მნიშვნელობა ჰქონდა.

მესამე თავში შესწავლილია აქარის
პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობა
სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა
და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზა-
ციისათვის ბრძოლის პერიოდში (1926-
1932 წ. წ.). ავტორი გადმოცემს სოცი-
ალისტური ინდუსტრიალიზაციის როლს
კომუნისტური საზოგადოების მშენებ-
ლობაში და აშკარავებს პარტიის ლენი-
ნური კურსის წინააღმდეგ ტროკისტულ-
ზინოვიევური „ახალი ოპოზიციის“ რევო-

ზიონისტული პოლიტიკის არს, ამასთან,
სათანადო მასალის საფუძველზე ერთწერებუ-
ნებს აქარის პარტიული ორგანიზაციის
საქმიანობას პარტიის გენერალური ხაზის
დაცვისათვის ბრძოლაში, ყურადღებას ამ-
ახლილებს აქარის საოლქო და ბათუმის
საქალაქო კომიტეტის 1926 წლის 6 აგ-
ვისტოს პლენურმისა და აქარის პარტიული
ორგანიზაციის მე-9 კონფერენციის (1929 წლის დეკემბერი) გადაწყვეტილე-
ბებზე, რამდენადაც მთში ისახა . ამ
კუთხეში სოციალისტური ინდუსტრიალ-
იზაციის შეუფერხებელი განხორციელე-
ბის კონკრეტული ღონისძიებები.

ნაშრომში განხილულია ინდუსტრიალი-
ზაციის პერიოდის სამრეწველო მიერქ-
ტების (ნავთობგადასამუშავებელი ქარხა-
ნი, ნავთსადენი, აწესი და სხვ.) მშენებ-
ლობა, პარტიული ორგანიზაციის საქმია-
ნობა ძველი საწარმოების ტექნიკური რე-
კონსტრუქციის, საერთოდ სოციალისტუ-
რი მრეწველობის მეცნიერულ საფუძვე-
ლზე განვითარების, შეკიბრებისა და და-
მკრელური მოძრაობის გაშლის, პროდ-
უქციის გამოშვების ზრდის დაწერება-
სა და მუშაობაში არსებულ ნაკლოვანე-
ბათა სწრაფი აღმოფხრისათვის.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის
განხორციელებას მოჰყვა მუშათა კლასის
არამარტო რიცხობრივი ზრდა, არამედ
მნიშვნელოვან ძვრები ამ კლასის ცხო-
ვრებაში. ამიტომაც სათანადო მასალის
მომარწვებით ნაშრომში ნაჩვენებია მუ-
შათა კულტურული ღონის ამაღლება,
წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდა-
ცია, ფაბრიკა-ქარხნებში პარტიის წევრ-
თა რიცხვის ზრდა, მათი გავლენა საწარ-
მოთ პროცესის შემდგომ სრულყოფასა
და შრომის სოციალისტური ფორმების
დამკავშირებაში.

ნაშრომში დახასიათებულია აქარის
გლეხობის გადასვლა მსხვილი კოლექტი-
ური მეურნეობის რელებზე. ამ მიზნით

განხილულია კომპერაციული მოძრაობის პირველადი ფორმები (სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და საკურედიტო კომპერაციები), აგრეთვე პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა კომპერატიულ მოძრაობაში შშჩომელთა მიზიდვისათვის, სოფლებიდან კერძო ვაჭართა და სპეცულანტების განდევნისათვის, ავტორს საინტერესო მასლა მოაქვს სასოფლო-სამეურნეო საკურედიტო ამხანაგობის წარმოშობა-განვითარებისა და განსაკუთრებით იმ დღი დახმარების შესახებ, რასაც მთავრობა აჭარის სოფლის მეურნეობას უწევდა. იგი საგანგებოდ ჩერდება კოლმეურნეობათა წარმომადგენლების პირველი ყრილობის მუშაობაზე. რამდენადაც მისმა გადაწყვეტილებებმა უდიდესი როლი შეასრულა აჭარაში საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების, კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცება-გაძლიერების საქმეში.

სოფლის სოციალისტური გარდაქმნის სურათი არ იქნებოდა სრული, თუ არ გუჩვენებდით საბჭოთა მეურნეობების შექმნა-განვითარების პროცესს. ამიტომ ავტორმა გარკვეული ადგილი დაუთმო აჭარაში პირველი საბჭოთა მეურნეობების შშენებლობის ისტორიას, მათი სამეურნეო-ტექნიკური ბაზის შემდგომი ზრდისა და სრულყოფის საკითხებს.

ნაშრომის ბოლო თავში განხილულია სახალხო მეურნეობის ჩეკონსტრუქციისა და კულტურული ჩევოლუციის განხორ-

ციელებასთან დაკავშირებული საკითხები ავტორს მოაქვს ვრცელი სტატისტიკური მასალა 1933-1937 წლებში შემცირებული და ტექნიკური ბაზის გაფართოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცების შესახებ. იგი სწორად შენიშვნას, რომ მოპოვებული წარმატებან განაპირობებდნენ მოსახლეობის ეკონომიური და კულტურული მდგრამარეობის მკვეთრ აღმავლობას. მართლაც, სასკოლო და კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელის გაფართოება, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის გატარებული ღონისძიებანი, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება, ქალაქები და სოფლად სოციალისტური ყოფისა და კულტურის თანდათანობითი დამკიდრების მკაფიო მაჩვენებელი იყო. ასეთია ნაშრომში დასმულ საკითხთა ფართო წრე. ავტორის პასუხები საბუთოერია და დამაჯერებელი. თემა ისოლირებულად კი არაა განხილული, არამედ დაკავშირებულია საერთოდ საბჭოთა ქავეყანაში სოციალიზმის შშენებლობის პროცესთან. ამის შედეგად ავტორმა ამ პროცესის არა მარტო საერთო კანონზომიერება გაარკვია, არამედ კონკრეტულთავისებურებებსა და დამახასიათებელნიშნებზეც მიუთითა. ვფიქრობთ, წიგნინტერესით გაეცნობა მკითხველი საზოგადოება.

ა. ცურგულაპა.

მეჩაიეთა შრომის ფინანსურის საკითხები

საქართველო
განვითარების
მინისტრი

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფსიქოლოგიური მეცნიერების მიღწევათა გამოყენება სახალხო შეტრენინგის უაღესლ დარგებში. მეცნიერებისა და ტექნიკის ინტენსიურმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ისეთი პრობლემები, როგორიცაა ადამიანი და მანქანა, კიბერეტიკა და ფინანსური, კომერცია და ფინანსური, მეცნიერებული ორგანიზაციის ფინანსური და სხვ.

ფინანსურის აქტუალური პრობლემების დამუშავებასა და მისი შედეგების გამოყენებას სახალხო მეურნეობაში სერიოზული ყურადღება ექცევა ჩვენს რესურსებით. ამის მეტობით დადასტურება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ფინანსურის მდგრამარებისა და მისი შემდგომი განვითარების“ და ოპერატორის სახალხო მეურნეობაში გამოუწევების ღონისძიებათა შესახებ“.

ასაზენილებელი ლინიური, რომ სკა 24-ე ყრილობის მიერ დასახული ამოცანები და მეცნიერებულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ღონე ფინანსურის მეცნიერებას ახალ მოთხოვნებს უყენებს. შრომის ნაყოფიერების გასაღილებლად ახალი ტექნიკის აოვისებისა და მაქსიმალური გამოყენების ეფექტიანობისათვის, წარმოების მართვის მოწინავე წეთოდების დანერგვისათვის ბრძოლაში უნივერსელოვანენი როლი მიეკუთვნება შრომით საქმიანობის ფინანსურულ ფაქტორს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო-კულტურით სამუ-

ა. ართილყვა, მეჩაიეთა შრომის ფინანსურის საკითხები. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1972 წ.

შოგებს შრომის ფინანსურისა და საინჟინრო ფინანსურის დარგში. რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგები თავიანთ მუშაობაში ჯერადებას არ აქციებს შრომის ფინანსურის ფაქტორს: შრომის მეცნიერებული ორგანიზაციის შემუშავების, ახალი ტექნიკის დაგეგმვისა და დანერგვის დროს არ ითვალისწინებენ საინჟინრო ფინანსურისა და შრომის ფინანსურის საკითხებს.

ამ დადგენილებით ცალკეული ორგანიზაციებს ეგალებათ, მიმდინარე ხუთწლებში საინჟინრო, სოციალური და შრომის ფინანსურის სპეციალისტები ჩააბარ მუშაობაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და დაპროექტების ეფექტუანობის ამაღლებისათვის, ახალი ტექნიკის აოვისებისა, მართვისა და შრომის მეცნიერებული ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებისათვის.

ამ დადგენილების პრაქტიკული განხორციელების ერთ-ერთ საწყისად შეიქლება ჩაითვალოს გამომცემლობა „საბჭოთა აჭარას“ მიერ ახლოხან გამოშვებული შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ღოცელობით აგრი ართილყვას წიგნი „მეჩაიეთა შრომის ფინანსურის საკითხები“.

შრომის ფინანსურის მეცნიერებული შესწავლა საქართველოში აკად. ლ. უზნაძის სახელთანაა დაკავშირებული. მან 1924-25 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა შრომის ფინანსურის კურსი. პრაქტიკული ნაბიჯი კი ამ დარგში გაღიალგა. 1928 წელს, როდესაც ლ. უზნაძე შეიმუშავა ვატმანების ფინანსურის მეთოდება და ის გამოყენა თბილისის ტრამვაის ვატმანთა პირველი ფინანსურის შემოწმებისას. ამ პერი-

ოდში დ. უზნაძემ და მისმა თანამშრომლებმა შეისწავლეს ავტომანქანების მძლოლების, ორთქლმავლის მემანქანების, ვარტანებისა და სხვათა ფსიქოტექნიკური თავისებურებანი. 1937 წლიდან საპროფო კავშირში ამ მიმართულებით მუშაობა შეწყდა, რაღაცაც ფსიქოტექნიკის მიერ წამოყენებული საკითხები ზოგჯერ წყდებოდა მეცნიერული ანალიზის გარეშე. მაგრამ ფსიქოტექნიკის ზოგერთი დადგებითი გამოცდილების გამოყენებამ დღესაც შეიძლება საჩვებლობა. მოვგოტანოს. ამ ბოლო დროს მიღწეულია გარევული წარმატება შრომის ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებულია სანინიჭობით საკითხებით ფსიქოლოგიაში, ტექნიკის მართვის ფსიქოლოგიური პრობლემების შესწავლაში, შემუშავებულია კვლევისა და მასალების დამუშავების ახალი მეთოდები, გამოკვეყნებულია მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები, ამასთან შეინიშნება სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების შრომითი ფსიქოლოგიის საკითხების შესწავლისადმი ინდივიდუალული დამოკიდებულება; თითქმის არაფრი არ კოდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ვლ. გრიგოლავას შრომს, „ჩაის მკრეფავის ინდივიდუალური მუშაობის დაგეგმვის ფსიქოლოგიური თავისებურებანი“, უურნალი „საქართველოს კონომისტი“, 1959 წ. № 1) ამ მიმართულებით რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებისა და უმაღლეს სასწავლებლებში ყურადღების ცენტრი მეტწილად გადატანილი დიდი სამრეწველო ქალაქების საფააბრიკო-საქარხნო შრომის ფსიქოლოგიურ თავისებურებათა, ადამიანის მიერ ტექნიკის (შრომის იარაღების) გამოყენებისა და მართვის ფსიქოლოგიური საკითხების შესწავლაზე.

როგორც სარეცენზიონ წიგნის ავტორი აღნიშნავს, არის შრომის ისეთი სახეები, ვანსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში,

რომლებსაც აღამიანი ახორციელებს ხელებით, იარაღის გამოყენებლად. ერთ-ერთ ერთი ასეთი სახეა ჩაის ფოთლის კრეფა. მიუხედავად ჩაის საკრეფი მანქანის გამოყენებისა, ჩვენს რესპუბლიკიში ჯერჯერობით დიდია ჩაის ფოთლის ხელით კრეფის ხვედრითი წილი. ამიტომ, გარდა თეორიულისა, დიდია ამ საკითხის შესწავლის პრაქტიკული მნიშვნელობა.

ჩაის ხელით კრეფის პროცესის ფსიქოლოგიური ანალიზი პირველი ცდა ამ სახის შრომითი საქმიანობის ფსიქოლოგიურ შესწავლაში. ავტორი განიხილავს შემდეგ საკითხებს: ჩაის კრეფის პროცესი, ჩაის კრეფის ჩვევის ზოგერთ თავისებურება, ჩაის კრეფის ჩვევა და აღამიანის ტემპერამენტი, ნებისყოფის როლი მეჩინეთა წარმატებაში.

ჩაის კრეფის პროცესის ფსიქოლოგიური დახასიათების შემდეგ ავტორი განიხილავს კრეფის ჩვევის დაუფლების ზოგერთ საკითხს და აღნიშნავს, რომ ჩაის კრეფის პროცესთან დაკავშირებულ მოძრაობათა სისტემის ცალკეული კომპონენტების დაუფლება, მათი ჩვევად გადაწევა დამოკიდებულია ისეთ პიროვნებისულ თვისებებზე, როგორიცაა ნებისყოფა, ტემპერამენტი, პრაქტიკული საქმიანობის დაუფლების საერთო უნარულებლობანი, კრეფის ინსტრუქციის გაცნობიერება და სხვა. ავტორი ასაბუთებს, რომ ჩაის კრეფის ჩვევების მიღება უფრო ადგილია აღრეულ ასაში. არა მარტო სპეციალისტი ფსიქოლოგებისათვის, არამედ მასობრივი მკითხველებისთვისაც მისაწვდომად არის გაღმოცემული უურადღების ფსიქოლოგია, მისი როლი ჩაის კრეფაში.

ნაშრომში საფუძვლიანად არის გაშუქებული ორი ხელით კრეფის დაუფლების სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, კრეფის სისტრაფესა და მოკრეფილის ხარისხს შორის დამოკიდებულების საკითხი.

ავტორი იძლევა შრომითი საქმიანობის განწყობისეულ ახსნა - დასაბუთებას: „შრომითი საქმიანობის ფსიქოლოგიურ პირობას შეაღენს წირმოსახული სიტუაციისა და განზრავის საფუძველზე პიროვნების მთლიანი მომართვა-მომზადება მოქმედებისათვის, ხოლო შრომის პროცესში ხდება თვით ამ წინასწარ განსაზღვრული მოქმედების პრაქტიკული განხორციელება“ (გვ. 10).

საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის საკითხები.

ჩაის კრეფის ჩვევის თავისებურების დახასათებისას ავტორი მიუთითებს იმ ფსიქიურ აქტივობაზე, რაც ხორციელდება ჩაის ხელით კრეფის სენსომოტორული ჩვევის დაუფლების ღრმის. სხვა სახის მოძრაობითი ჩვევებისაგან განსხვავებით, ჩაის კრეფა საჭიროებს მხედველობით აღქმასა და კონტროლს, ურომლისოდაც ვერ მივიღებთ მაღალი ხარისხის ნედლეულსა და ვერც კარგ მზა პროდუქციას.

ჩაის ხელით კრეფის ჩვევის დაუფლე-

ბისას შრომის ნაყოფიერების გაღიღება-სათვის მნიშვნელობა აქვს პიროვნების ტემპერამენტს. ნაშრომში მოცული ტემპერატურის ცნების განსაზღვრული დახასათება ტიპების ფსიქო-ბიოლოგიური დახასათება, ნაჩვენებია ცალკეული ტიპების ინდივიდუალური თავისებურ ბანი და მათი პროფესიული ვარგისანი ბა. ავტორი ვარაუდობს, რომ ჩაის ხელით კრეფის ჩვევის დაუფლებასა და შრომის ნაყოფიერების გაღიღებაში უკანონო შედეგს უნდა აღწევდნენ ქოლერიკული და სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანები. კარგი იქნება თუ მომავალში ავტორი მოახდენს ამ თეორიული მოსაზრების ექსპერიმენტულ შემოწმებას.

დაბოლოს, მკითხველი ეცნობა ნებისყოფის როლს ჩაის მკრეფავის შრომით საქმიანობაში.

ა. ართილაყვას ნაშრომი კარგი საჩუქრია ჩაის მკრეფავების, აგრონომების, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის.

ი. პეპელგავა.

6 109/118

ვალი 40 ვაკ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„ЧОРОХИ“
ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 76118